პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 მარტი **შაბათი** 2010
№ 065 (13 053) ფასი 60 თეთრი

>> გვერდი 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიმეოროთ მარიუპოლი!

ერთი წლის წინ, მარიუპოლში...
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ჩვენი კორესპონდენტის რეპორტაჟი ტრაბზონიდან >> გვერდი 12

გუშინ ეროვნულზე. დინამო-ლოკომოტივი 1:0
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

>> გვერდი 2-3

>> გვერდი 5

ქართული ფეხბურთი

საქართველოს თასი 1/2 ფინალი. პირველი მატჩები

ეროვნული ნაკრები

ქეცბაია: აგვისტომდე სოლიდურ გუნდთანო...



თემურ ქეცბაია

ევროპის 2012 წლის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე ჩვენს ეროვნულ გუნდს ჯერჯერობით ერთი ამხანაგური მატჩი აქვს შეთანხმებული. 11 აგვისტოს მოლდოვასთან გასვლითი პაექრობა შესარჩევი ციკლის წინ, ფაქტობრივად, გენერალური რეპეტიცია იქნება. არადა, ჩვენი მეტოქეები მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისშიც ჩაატარებენ საკონტროლო შეხვედრებს. 3 მარტის ესტონეთთან მატჩმაც დაგვანახვა, რომ ჩვენს მთავარ გუნდს შესარჩევის დაწყებამდე მინიმუმ კიდევ ერთი (მოლდოვას გარდა) ამხანაგური თამაშის გამართვა სჭირდება. ჩვენი ინფორმაციით, თავად ნაკრების თავკაც **თემურ ქეცბაიას** უთქვამს, აგვისტომდე ერთი საკონტროლო მატჩის გამართვა გვინდა, მაგრამ გაცილებით სოლიდურ მეტოქესთანო. ამ საკითხზე ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები უკვე მუშაობენ. ამის შესახებ ფედერაციის გენერალურ მდივან **რევაზ არველაძეს** ვესაუბრეთ.

„დიახ, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიას სურს, აგვისტომდე შედარებით ძლიერ მეტოქესთან ჩაატაროს ნაკრებმა ამხანაგური მატჩი. ამ მატჩის ორგანიზებისთვის 2-3 კვირა დაგვჭირდება, თამაში კი მაისის ბოლოს ან ივნისის პირველ რიცხვებში გვინდა გავმართოთ. საკითხის გადასაწყვეტად მაქსიმალურად ვიყენებთ ჩვენს კავშირებს. გარდა ამისა, 24-25 მარტს უეფას კონგრესზე, რომელიც ისრაელში გაიმართება, სხვადასხვა ფედერაციის წარმომადგენელს შევხვდებით... და კიდევ: ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე რამდენიმე კომპანია მუშაობს და მათგანაც ველოდებით პასუხებს“.

ფედერაციის ტექნიკური სპონსორი გერმანული ფირმა JAKO-ა, რომელთან კონტრაქტის ვადა ივნისში იწურება. საინტერესოა, სპორტული ეკიპირების მწარმოებელი რომელი კომპანია შემოსავს ჩვენს ნაკრებ გუნდებს ამ ვადის ამოწურვის შემდეგ.

„გერმანიაში ყოფნისას კომპანია jako-ს წარმომადგენლებს შევხვდით. თითქმის ყველა საკითხზე მოვილაპარაკეთ. ამ კომპანიის შესაბამისი სამსახური ჩვენს ფედერაციასთან ახალი კონტრაქტის ვარიანტს ამზადებს, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად მხარეების წილობრივი მონაწილეობაც აისახება, ანუ როგორი იქნება ეს საპონსორო ხელშეკრულება. ამ ფირმის მესვეურები დაგვპირდნენ, რომ სპეციალურად საქართველოსთვის ახალ ხაზს შექმნიან. ჩვენ ამ წინადადებას თავისი ხარჯთაღრიცხვით განვიხილავთ, ყველაფერს დავიანგარიშებთ და ქართული ფეხბურთისთვის საუკეთესო ვარიანტზე შევჩერდებით.

შეხვედრა გვქონდა hummel-ის წარმომადგენლებთანაც. თუმცა ამ ეტაპზე, ჩვენთვის უფრო მისაღები jako-ს წინადადებაა“, - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა.

ევროპაში ვიზიტისას ფედერაციის ხელმძღვანელები UBS-ბანკის წარმომადგენლებსაც შეხვდნენ, რომლის ვალიც ჩვენს ფედერაციას აქვს.

„UBS-ს ბანკის იმ ოფისის ხელმძღვანელობასაც შევხვდით, რომელთანაც ჩვენს ფედერაციას აქვს ურთიერთობა. ჩვენი წინადადება მივაწოდეთ, რომელსაც მთავარ ოფისში განიხილავენ და როგორც გვითხრეს, 10 დღეში გვექნება პასუხი. ასე რომ, 10 დღეში გავიგებთ პრინციპულად შესაძლებელია თუ არა ურთიერთობის ახალ ფორმებზე გადასვლა. მომიტევეთ, მაგრამ UBS-ის ბანკისგან არ მაქვს უფლებამოსილება და ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით“, - განგვიმარტა რევაზ არველაძემ.

დაბოლოს, სავარაუდოდ ერთ თვეში უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** კიდევ ერთხელ უნდა ეწვიოს საქართველოს.

„ მიშელ პლატინის თბილისში ვიზიტი კვლავაც ძალაშია. თუმცა მისი ჩამოსვლის ზუსტი თარიღი ჯერ კიდევ არაა დადგენილი. პლატინი თბილისში 20 აპრილიდან 10 მაისამდე პერიოდში ჩამოვა“, - აღნიშნა არველაძემ.

დავით ცაბაძე

უფავორიტო წყვილები

დღეს მარტვილსა და გორში საქართველოს თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები ჩატარდება. ერთი შეხედვით, „მარტვილი“-“ვიტ ჯორჯიას“ და „სპარტაკი“-“დინამოს“ წყვილებში ფავორიტების გამოცნობა რთული საქმე არ უნდა იყოს. მაგრამ, სათასო სპეციფიკიდან გამომდინარე, ფავორიტის ცნება დროებით მაინც დავივიწყოთ. მით უმეტეს, რომ ნახევარფინალები ორრაუნდიანია და პირველ მატჩში არასასურველი შედეგის მქონე გუნდს კიდევ ეძლევა ფინალის საგზურის მოპოვების შანსი.

მარტვილი-ვიტ ჯორჯია
23.03. მარტვილი. ცენტრალური
15:00

საქართველოს თასის ოცწლიანი გათამაშების ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა ნახევარფინალში პირველი ლიგის გუნდი გავიდა! წინდაწინ უნდა ითქვას, რომ ამ სიტუაციაში შემთხვევითობა ნამდვილად უნდა გამოვრიცხოთ: დაბალი რანგის გუნდმა შესაძლოა „შემთხვევით“ ერთი ან ორი ეტაპი გაიაროს, მაგრამ ნახევარფინალამდე ასე „მისვლა“ გამორიცხულია.

ალსანიშნავია, რომ დღევანდელი მეტოქისგან განსხვავებით „მარტვილი“ უფრო ადრე ჩაერთო თასის გათამაშებაში: მეთექვსმეტედფინალში ერთრაუნდიან დაპირისპირებაში სტუმრად ხობის კოლხეთს მოუგო (2:0); მერვედფინალში ასევე ერთი მატჩი ტარდებოდა და ამჯერად უკვე უმაღლესი ლიგის „სამტრედიას“ აჯობა (2:0). აი, მეოთხედფინალში კი ახალგაზრდა მწვრთნელის **მალხაზ ჟვანიას** გუნდმა ურთულესი ბრძოლა გადაიტანა ასევე პირველი ლიგის ბინადარ, მაგრამ თავისზე ბევრად ცნობილ და სახელიან გუნდთან ფოთის „კოლხეთთან“. პირველი შეხვედრა მარტვილში ჩატარდა და ნულოვანი ფრით დამთავრდა.

საპასუხო მატჩის წინ წყვილის უპირობო ფავორიტად, რალა თქმა უნდა, მასპინძლები მიიჩნეოდნენ: შემადგენლობით, ტრადიციით თუ ფინანსებით „კოლხეთი“ ხომ ბევრად აღემატება „მარტვილს“. საკმაოდ დაძაბული და დრამატული ბრძოლა წარიმართა, საბოლოოდ კვლავაც საყაიმო ანგარიშით (1:1) რომ დასრულდა. ოღონდ, სტუმრად გატანილი გოლის წყალობით ნახევარფინალის საგზური „მარტვილს“ დარჩა. ალსანიშნავია, რომ ორივე მეოთხედფინალურ შეხვედრაში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა „მარტვილის“ მეკარემ **ჯონი შეროზიამ**; ეგ კი არა, ფოთში, მატჩის მიწურულს, როცა ანგარიში 1:1 იყო, შეროზიამ მასპინძელთა ფორვარდს **გელა ციკოლიას** პენალტიც აუღო!

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი საფეხბურთო გარემო იქნება დღეს მარტვილის სტადიონზე; თანაც, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მასპინძელთა მეტოქე ხომ საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი და სულაც მოქმედი ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ არის. სხვათა შორის, მოტივაციის ნაკლებობა არც **გელა გომელაურის** გუნდს უნდა ჰქონდეს: კლუბის არსებობის განმავლობაში „ვიტ ჯორჯია“ მეექვსედ არის ნახევარფინალში, თუმცა წინა ხუთი ცდა ფინალში გასასვლელად წარუმატებელი აღმოჩნდა. „ვიტ ჯორჯია“ ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული კლუბია, ორჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, 2009 წლის დეკემბერში პირველად მოიპოვა სუპერთასიც, აი, თასი კი კვლავაც მიუწვდომელ ოცნებად რჩება.

ეს კი არა, როგორც უკვე ალვნიშნეთ, ფინალშიც არასდროს გასულა: ნახევარფინალში ორჯერ ქუთაისის „ტორპედოს“ ბარიერი ვერ დასძლია, თითოჯერ კი - „ზესტაფონის“, „ლოკომოტივის“ და „ოლიმპის“. განსაკუთრებით მტკივნეული, ალბათ, 2001-02 წლების გათამაშება იქნებოდა, როცა პენალტების სერიაში დამარცხდა „ტორპედოსთან“. თორემ, აბა, შარშანდელი ნახევარფინალის გახსენება, ალბათ, არც არავის უნდა: „ვიტ ჯორჯიამ“ რუსთავის „ოლიმპთან“ ჩატარებულ ორივე მატჩში ხომ სარეზერვო შემადგენლობა ათამაშა...

სპარტაკი-დინამო
23.03. გორი. ქართლი
15:00

„მარტვილის“ მსგავსად „სპარტაკიც“ პირველად არის გასული ნახევარფინალში. თანაც, ამ სეზონში **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდის უმთავრესი მიზანი სწორედ თასის გათამაშებაში მაქსიმალური შედეგის ჩვენება არის. მაქსიმალური შედეგის დაკონკრეტება კი, ალბათ, უადგილოდ გვეჩვენება; მით უფრო, რომ მხოლოდ ფინალში გასვლა „სპარტაკს“ ევროტურნირების საგზურს ვერ მოუტანს - ასეთ შემთხვევაში ხომ ფინალში მეტოქედ ის გუნდი უნდა ჰყოლოდა, ჩემპიონატში ოქროს მედლები განაღდებული რომ ექნებოდა.

მოკლედ, თუ „სპარტაკის“ ამბიციურ ხელმძღვანელებს თავისი გუნდის ევროტურნირებზე ხილვა სურთ, ჯერ ნახევარფინალის ბარიერი უნდა გადალახონ, შემდეგ კი თასიც მოიპოვონ. რალა თქმა უნდა, ორივე ურთულესი შესასრულებელი იქნება, თუმცა არა - უტოპიური. იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატში „სპარტაკს“, ფაქტობრივად, მოტივაცია აღარ დარჩა - ვერც ლიდერთა სამეულს შეავიწროვებს და არც გავარდნის საფრთხე ემუქრება.

ასე რომ, მთელი ყურადღება სათასო მატჩებისკენ ექნება გადატანილი. სწორედ ამ „ფრონტზე“ წარმატების მისაღწევად განახორციელა კიდევაც კლუბმა ერთიმეორეზე ხმაურიანი ორი ტრანსფერი: ახლო წარსულში საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ნახევარმცველმა **ლადო ბურდულმა** „სპარტაკში“ პირველი ოფიციალური შეხვედრა სამი დღის წინათ ჩაატარა. გუშინდელი დღიდან კი საბოლოოდ გაირკვა, რომ ასევე „სპარტაკში“ გააგრძელებს კარიერას კიდევ ერთი ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი **გიორგი დემეტრაძე**.

ნახევარფინალამდე „სპარტაკს“ არცთუ ძლიერი მეტოქეები ჰყავდა: ჯერ თბილისის IBSU-ს სძლია (2:0), შემდეგ ოზურგეთის „მერცხალს“ (6:0). შედარებით რთული გამოდგა მეოთხედფინალური დაპირისპირება ზუგდიდის „ბაიასთან“, თუმცა ორი შეხვედრის ჯამში (1:1, 2:1) ნახევარფინალის საგზური ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა მოიპოვა.

აი,ს რაც შეეხება „სპარტაკის“ მეტოქეს, „დინამოსთვის“ ყოველი სეზონის დაწყების წინ მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი მიზნებია: ჩემპიონატშიც და თასზეც წარმატების მიღწევა. ვფიქრობთ, თვითონ დინამოელებიც შეგუებულნი არიან, რომ ჩემპიონობაზე მომავლისათვის უნდა იფიქრონ; სამაგიეროდ, ყველა ღონეს იხმარენ, რომ ზედიზედ მეორედ მოიპოვონ საქართველოს თასი. ამ გათამაშებაში თასის მოქმედი მფლობელი მერვედფინალიდან ჩაერთო და პირველი ლიგის გუნდს - 35-ე საფეხბურთო სკოლას მინიმალური სხვაობით (1:0) აჯობა.

„დინამომ“ შთამბეჭდავად ვერც მეოთხედფინალში იასპარეზა - ასევე პირველი ლიგის ბინადარ საჩხერის „ჩიხურასთან“ ორივე შეხვედრა ფრედ (1:1, 0:0) დაასრულა და მხოლოდ მეტოქის მოედანზე გატანილი გოლის წყალობით მოიპოვა ნახევარფინალის საგზური. აქვე, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ პერიოდში „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს **კახა კაჭარავას** საკმაოდ სერიოზული საკადრო პრობლემებიც ჰქონდა.

საქართველოს თასის წინა ცხრამეტ გათამაშებაში ერთეული შემთხვევები თუ ყოფილა, „დინამოს“ ნახევარფინალში რომ არ ეასპარეზა. ეგ კი არა, საქართველოს თასი ყველაზე მეტჯერ (ცხრაჯერ) სწორედ „დინამოს“ აქვს მოპოვებული და მხოლოდ ხუთი შემთხვევა იყო, როცა მერვედფინალსა თუ მეოთხედფინალში ეთიშებოდა ბრძოლას.

გია ტუხაშვილი



გიორგი დემეტრაძე

ალმასკომის სხდომა

ვახტანგ ქორიძემ საააპელაციო კომიტეტი დატოვა

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში ალმასკომის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც არაერთ საკითხზე იმსჯელეს. დღის წესრიგის მთავარი თემა იყო - **ჭაბუკთა შორის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დაარსების შესახებ**, დანარჩენი კი ტრადიციული - **სხვადასხვა.**

ალმასკომის სხდომაზე, რომელმაც საათ-ნახევარს გასტანა, დაამტკიცეს:

1. ჩატარდეს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გათამაშება ჭაბუკებს შორის ორ ასაკობრივ, 1994-95 და 1996-97 წლებში დაბადებულთა შორის. თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში 16-16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ჭაბუკთა გუნდების შესატანი თანხა ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. ამ გუნდების ეკიპირებისა და ტრანსპორტირების საკუთარ თავზე აღება სფფ-ის სურს.

2. სფფ-ის გენერალურ სამდივნოსა და ბავშვთა ფეხბურთის განყოფილებას ჭაბუკთა შორის ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების დებულების შემუშავება დაევალა.

სფფ-ის ალმასკომის წევრად აირჩიეს **ვახტანგ ქორიძე**, რომელიც ფედერაციის საააპელაციო კომიტეტის წევრი იყო. დებულებიდან გამომდინარე, მას ერთ-ერთი პოსტი უნდა დაეტოვებინა. ქორიძემ ალმასკომში მუშაობა გადაწყვიტა და საააპელაციო კომიტეტს შეელია. ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** თქმით, შესაძლოა საააპელაციო კომიტეტი ახალი შემადგენლობით ხელახლა აირჩიონ.

დაბოლოს, ალმასკომის წევრისა და აფხაზეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელ **მურად ანჯაფარიძის** ინიციატივით, დაამტკიცეს მეორე ლიგის გათამაშების დებულების პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, მეორე ლიგაში გათამაშება ოთხ ზონაში ჩატარდება. ამის თაობაზე დეტალურად მომდევნო ნომრებში წაიკითხავთ.

დავით ცაბაძე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუსჯელობის სინდრომი

უდროო დროს წამოსული თოვლისა თუ სხვა კლიმატური პრობლემების გამო ტური რომ არასრულად ჩატარდება, ეს კიდევ არაფერი; იმასაც მივეჩვიეთ, ჩვენთან (თან, ყველგან და ყველაფერში) დაუსჯელობის სინდრომი რომ მოქმედებს. მაგრამ, კარგა ხანია აღარ შევხვედრივართ ისეთ ფაქტს, როცა მსაჯი თამაშს შეწყვეტს! ამასთან, არ დაგვავიწყდეს, რომ ლაპარაკია მართლაც განსაკუთრებულ შეხვედრაზე: XXVI ტურის, მესამე წრის, მეორე ეტაპისა და საერთოდ, ჩემპიონატის ერთ-ერთ უპრინციპულეს დაპირისპირებად რომ მოვინათლეთ. ტურის წინათქმაშიც („საჩემპიონო მატჩი“ რომ ვუწოდეთ) ხომ, ფაქტობრივად, მხოლოდ „ზესტაფონი“-„ოლიმპის“ შეხვედრაზე ვისაუბრეთ: ამ გუნდებს შორის ჩატარებული წინა მატჩები გავიხსენეთ, მწვრთნელების ფაქტორს განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ და, რაღა თქმა უნდა, სატურნირო მნიშვნელობაც „არ დაგვვიწყნია“...

სამწუხაროდ, ვიღაც უგუნურის არაადეკვატური ქმედების გამო მატჩი შეწყდა და ახლა ისღა დაგვრჩენია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას დაველოდოთ. მოკლედ, არასრული ტური გამოვიდა და რომ არა „ზესტაფონი“-„ოლიმპის“ სკანდალური შეხვედრა, სხვა მხრივ, „დასამდურებელი“ ბევრი არც არაფერი უნდა გვქონოდა. თანაც, სხვა გუნდების მწვრთნელ-ფეხბურთელთა გარკვეულმა ნაწილმა ხომ მართლაც დაიმსახურა, რომ ტურის რჩეულთა შორის მოგვეხსენიებინა...



სათასო აჩრდილი

კვლავაც ტურის წინათქმას გვინდა დავუბრუნდეთ, სადაც ვივარაუდეთ, რომ ჩემპიონატის სამ შეხვედრას „სათასო აჩრდილი“ უნდა დასტყობოდა. თავს ვერ დავდებთ, რომ ნახევარფინალის მონაწილე სამი გუნდი („დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „სპარტაკი“) მოახლოებული სათასო ბატალიების გამო ჩემპიონატის მატჩებს ვითომდა, გულგრილად მოეკიდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენ მიერ ნახსენები სამი გუნდიდან ვერც ერთი დაიკვეხნის იმხელა სათადარიგოთა სკამით, მწვრთნელებმა შემადგენლობის როტაცია უპრობლემოდ რომ შეძლონ. თუმცა, ვერც რეალობას გავექცევით: „ვიტ ჯორჯიამ“ და „სპარტაკმა“ ისეთი მატჩები ვერ მოიგეს, სადაც წყვილის უპირობო ფავორიტებად მიიჩნეოდნენ.

აი, „დინამომ“ კი შეძლო გამარჯვების მოპოვება, მაგრამ ამ სამ ქულას **კახა კაჭარავას** გუნდი თავისი მეკარის **გიორგი ლორიას** დამაჯერებელ და საიმედო თამაშს უნდა უმადლოდეს. საერთოდაც: ალბათ, დამაფიქრებელი ფაქტია, როცა გამარჯვებული გუნდიდან ტურის სიმბოლურ ნაკრებში მეკარე და ცენტრალური მცველი (**ალექსანდრ კრსტესკი**) მოხვდებიან. სხვათა შორის, „დინამოს“ მაკედონიელმა ლეგიონერმა ზედიზედ მეორე შეხვედრაში გამოიჩინა თავი და დაცვის ცენტრში **გურამ კაშიასთან** უკვე ისეა შეთამაშებული, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ერთგულ ფანებს მალე, ალბათ, **მილოშ კრშკოსა** და **ნედ ზელიჩის** მართლაც ჩინებული „დუეტი“ აღარც გაახსენდებათ...

...ასეა თუ ისე, არცთუ შთამბეჭდავი კი არა, აბსოლუტურად ჩვეულებრივი თამაშის წყალობით „დინამომ“ მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკვე მეორე ადგილზეც შეიძლება რეალურად ფიქრი. აი, „დინამოს“ მეტოქეს კი აბსოლუტურად განსხვავებული მიზანი აქვს. სამწუხაროდ, „ლოკომოტივი“ კვლავაც სახიფათო ზონაში რჩება, არადა, ეს ახალგაზრდული და მართლაც საინტერესო გუნდი ნამდვილად იმსახურებს უმაღლეს ლიგაში დარჩენას. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დებიუტანტი მწვრთნელის **გელა სანაიას** გუნდი ყველა შეხვედრაში „სამართლიანი თამაშის“ პრინციპით ასპარეზობს; ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ გუნდის ფეხბურთელთა ძალიან დიდი ნაწილი... მხოლოდ ენთუზიაზმზე თამაშობს.

მაგრამ „ლოკომოტივის“ მონაწილეობით ჩატარებული ისეთი შეხვედრის გახსენება მართლაც ყველას გაუჭირდება, სადაც ამ გუნდის ფეხბურთელებს ვინმე მონდომებას დაუწუნებდა. ასე იყო „დინამოსთან“ მატჩშიც, მაგრამ გამოუცდელობამ მაინც ნეგატიური კვალი დაატყო „ლოკომოტივის“ თამაშს. და კიდევ ამ გუნდზე: მეორე ეტაპის დაწყებიდან „ლოკომოტივში“ რამდენიმე ახალწვეული გამოჩნდა და გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელი სელექციაში ნამდვილად არ შემცდარა. განსაკუთრებით კი **გიორგი ჭელიძის** ზომაზე მეტად მოტივირებული ასპარეზობაა აღსანიშნავი - 25 წლის ნახევარმცველი ისე ათამაშდა, როგორც 6 წლის წინათ, **გიორგი დევდარიანის** „თბილისში“ იყო...

ახალი სახელები

„ლოკომოტივს“ რომ არ ნაეგო, „ტურის მწვრთნელის“ გამოსავლენად ბევრი ფიქრი არ დაგვჭირდებოდა. ამ შემთხვევაში კი ზუგდიდის „ბაიას“ მთავარი მწვრთნელი **ელგუჯა ქომეთიანი** (ვინც სადებიუტო სეზონს ატარებს უმაღლეს ლიგაში) უალტერნატივოა! მოქმედ ჩემპიონთან სტუმრად ფრედ დამთავრებული მატჩი, უდავოდ, წარმატებულ შეხვედრად უნდა შევაფასოთ როგორც ქომეთიანისათვის, ასევე მთლიანად ზუგდიდური გუნდისათვის. მით უფრო, რომ „ბაიამ“ შეხვედრის გადარჩენა მაშინ შეძლო, როცა მატჩის არბიტრმა გუნდის ზამბიელი ლეგიონერი **ჩისამბა ლუნგუ** გააძევა და უმცირესობაში მყოფ სტუმრებს მონდომება დაუფასდათ. თანაც, ქომეთიანმა აბსოლუტურად სწორი შეცვლები გააკეთა - მეორე ტურში მოედანზე შემოსულმა ორივე ახალგაზრდა ფეხბრთელმა, **ლევან წურწუმიამ** და **ირაკლი ეხვაიამ** თავიანთი გუნდის შეტევები საგრძნობლად გაამწვავეს და საბოლოოდ, სტუმრებმა სავსებით დამსახურებული ქულაც მოიპოვეს.

ამ შეხვედრას კიდევ ერთი რჩეული ჰყავდა - „ვიტ ჯორჯიას“ 20 წლის ნახევარმცველი **გიორგი ვასაძე** მეორე ეტაპიდან გუნდის შეუცვლელ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. „ბაიასთან“ მატჩში ვასაძემ ორი „ტყუპისცალი“ გოლი გაიტანა და მესამესთანაც ახლოს იყო, რომ არა სტუმართა გამოცდილი მეკარის **გიორგი სომხიშვილის** რეაქცია. ვასაძის კიდევ ერთი პლუსი უნივერსალიზმია - ახალგაზრდა ფეხბურთელი ერთნაირი წარმატებით ასპარეზობს ნახევარდაცვის ნებისმიერ პოზიციაზე. თუ ასე გააგრძელა, „ჩემპიონატის აღმოჩენის“ ნომინანტობაზეც სამართლიანი პრეტენზია უნდა გაუჩნდეს...

ახლა კი მცირე ადგილი... სერიებსაც დავუთმოთ; სამწუხაროდ, კვლავ ვერ მოიგო საშინაო მატჩი „სიონმა“ - ბოლნისელები ამას უკვე ექვსი თვეა (!) ვერ ახერხებენ; თუმცა, ნურც მეტოქეს დავუკარგავთ გარჯას - „სამტრედიამ“ უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ უმაღლეს ლიგაში საკუთარი ხელწერის მქონე გუნდი დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ მორიგი გოლი გაიტანა „სამტრედიის“ საუკეთესო ბომბარდირმა **ზაურ ხაჭიპერაძემ** - მეტად საინტერესო ფორვარდმა, მატჩის ბედის გადაწყვეტა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე რომ შეუძლია.

დაბოლოს, „სპარტაკი“-„გაგრას“ შეხვედრაზეც, ძლიერი ქარის „თანხლებით“ რომ ჩატარდა. ქარიო, თასიო, - ალბათ, კლიმატურმა პირობებმა და მოახლოებულმა ნახევარფინალმა იქონია გავლენა იმაზე, რომ მასპინძლებმა აუტსაიდერის დამარცხება ვერ შეძლო. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, სტუმართა გუნდისათვის ის მართლაც კოშმარული სერია დასრულდა - ზედიზედ შვიდი წაგების შემდეგ **კახა კარანაძის** გუნდმა ქულა მოიპოვა. მაგრამ, ამ მატჩში საბოლოო შედეგზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ერთი კონკრეტული ფეხბურთელის გამოჩენა იყო - მასპინძელთა შორის ხომ **ლადო ბურდულმა** ისასპარეზა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატს ოთხწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა...

გია ტუხაშვილი

დაუსრულებელი მატჩის ექო

გიორგი ვადაჭკორია

რა ვქნათ, ეს საქართველოა და ბევრი რამაა გასათვალისწინებელი

შეგახსენებთ საქმის არსს - „ზესტაფონისა“ და „ოლიმპის“ სკანდალური მატჩი 88-ე წუთზე შეწყდა. არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** თამაშის გაგრძელება შეუძლებლად ჩათვალა და მიზეზად გუნდებს შორის ატეხილი ჯგუფური ჩხუბი დაასახელა.

იმ ავადსახსენებელ 88-ე წუთზე, როცა საკუთარ ნახევარზე ბურთი „ზესტაფონის“ მცველ **გიორგი ხიდეშელს** ჰქონდა, „ოლიმპის“ სათადარიგოთა სკამიდან გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტ **იური გაბისკირიას** მიერ დარტყმული ბურთი მოედნის ცენტრში აღმოჩნდა. რუსთაველთა მტკიცებით, „ოლიმპის“ თავდამსხმელი **გიორგი ჭედია** შეცვლით უკმაყოფილო დარჩა, ემოციები ვერ მოთოკა და მაისურა იური გაბისკირიას ესროლა. ეს უკანასკნელი გამწარდა და ჭედიას ესროლა ბურთი, რომელიც მოედანზე გადავარდა...

უკვე ვწერდით, რომ ჭედია 85-ე წუთზე შეცვალეს. თუმცა არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ დაგვიზუსტა - ცვლილება 84-ე წუთზე, ბურთი კი მოედანზე მხოლოდ 88-ეზე შევარდა. ჩვენი ვარაუდი, რომ გაბისკირიასა და ჭედიას შორის კონფლიქტი შეცვლისთანავე არ მომხდარა, „ოლიმპის“ პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძემ** დაგვიდასტურა - თავდამსხმელსა და მწვრთნელებს შორის გადალაპარაკებამ რამდენიმე წუთს გასტანა, ბურთის გადაგდება კი კულმინაცია იყო...

მერე მოხდა ჯგუფური ჩხუბი, გუნდებმა ერთმანეთზე გაიწიეს, მაგრამ ხუთ წუთში ყველაფერი დაწყნარდა, გუნდები მოედანს დაუბრუნდნენ, მანამდე ერთმანეთიც გადაკოცნეს. მოკლედ, სიტუაცია დამშვიდდა და თითქოს თამაშიც უნდა გაგრძელებულიყო. ჰოდა, ისმის კითხვა - რატომ მიიღო ვადაჭკორიამ მატჩის შეწყვეტის გადაწყვეტილება, რა საფრთხეს მოერიდა არბიტრი?

პიროვნებამ, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ასეთი რამ გვითხრა: *„მოედანზე დაბრუნების შემთხვევაში, ვადაჭკორიას ორივე გუნდის მოჩხუბრები და პროვოკატორები უნდა დაესაჯა და გაეძევებინა, ეს კი თავისთავად სარისკო გადაწყვეტილება იყო. სწორედ ამის შეეშინდა მას. თავიდან ის სამი ფეხბურთელის გაძევებას აპირებდა და „ზესტაფონი“ რიცხობრივ უმცირესობაში დარჩებოდა, რადგან „ოლიმპის“ სათადარიგოთა სკამიდან კი გადავარდა ბურთი მოედანზე, მაგრამ ჩხუბი მასპინძლებმა დაიწყეს და მათ დასჯიდნენ. გაბისკირია კი მწვრთნელის ასისტენტია და მხოლოდ სათადარიგოთა სკამს თუ დატოვებდა, მოედნიდან ოლიმპელს ხომ ვერ გააგდებდნენ? ზესტაფონელთა გაძევების შემთხვევაში კი არავინ უწყის, ფეხბურთელებისა და გულშემატკივრებისგან, ასეთ დაძაბულ მომენტში, ამას რა რეაქცია შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ეს იყო, თორემ თამაშის გაგრძელებას წინ მართლაც არაფერი ედგა“.*

სხვათა შორის, კითხვაზე - ვადაჭკორიამ გადაწყვეტილება პირადი უსაფრთხოების მოტივით ხომ არ მიიღო? - ინკოგნიტო რესპონდენტმა ეს სანახევროდ დაგვიდასტურა: *„დიახ, თუნდაც ამის გამო. შესაძლებელი იყო, დარჩენილ წუთებში გუნდებს შორის ვითარება კვლავ დაძაბულიყო. მაყურებელი აქ არაფერ შუაშია“.*

მოკლედ, გიორგი ვადაჭკორიასთან კითხვები დაგროვდა. მასთან დაკავშირება რთული აღმოჩნდა, თუმცა ინტერვიუზე მაინც დაგვთანხმდა.

- რატომ მიიღეთ მატჩის შეწყვეტის გადაწყვეტილება? ფეხბურთელებმა ორთქლი გამოუშვეს, შერიგდნენ, საფრთხე უკვე აღარ არსებობდა. თქვენ კი თამაში მაინც არ განაახლეთ. რატომ?

- მოდი, კარგად გავიხსენოთ, რა ვითარება იყო მოედანზე მატჩის ჩაშლამდე. ჯერ იყო შეხლა-შემოხლა, რომელიც სამწუხაროდ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ეს ოფიციალურმა პირებმაც დაინახეს და გულშემატკივრებმაც. ასეთ ვითარებაში თამაშის გაგრძელება არ შეიძლებოდა.

- სწორედ ეს არის გაუგებარი. რატომ არ შეიძლებოდა?

- იმიტომ, რომ დაცული არ იქნებოდა ფეხბურთელების, ოფიციალური პირებისა და მსაჯთა უსაფრთხოება.

- ესე იგი, შესაძლო რისკების თავიდან აცილება გსურდათ...

- რა თქმა უნდა, როცა მსაჯი მოედანზე გადის, ყველა ნიუანსი უნდა გაითვალისწინოს და შესაძლო რისკ-ფაქტორების განეიტრალებაზე იფიქროს. ეს ფეხბურთის ფედერაციის დებულებაშიცაა გათვალისწინებული - როცა ასეთი მასობრივი კონფრონტაცია და ფიზიკური დაპირისპირება ხდება, არბიტრმა თამაში უნდა შეწყვიტოს.

- გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღეთ თუ ვინმეს მოეთათბირეთ?

- მატჩის დელეგატ შოთა ხინჩაგაშვილთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მივიღე.

- ...და მოედანი მანამდე რომ დატოვეთ, ლაინსმენებთან თუ მოითათბირეთ?

- როცა „ოლიმპის“ სათადარიგოთა სკამთან რთული ვითარება შეიქმნა, მაშინ უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ თამაშის გაგრძელება არ შეიძლებოდა.

- როგორც გვითხრეს, მეორე არჩევანი ასეთი გქონდათ: თამაში გაგეგრძელებინათ და ჩხუბის მოთავე სამი ფეხბურთელი გაგეძევებინათ, რასაც დამატებითი დაძაბულობა მოჰყვებოდა...



- მოდი, ვერსიებზე კომენტარს არ გავაკეთებ. რა გადაწყვეტილებაც მივიღე, უკვე ცნობილია. ეს იყო მძიმე გადაწყვეტილება, მაგრამ ფედერაციის დებულებით ვიხელმძღვანელე.

- რა სასჯელი ელის იური გაბისკირიას, რომლის მიერ შემოგდებულ ბურთს ეს აურზაური მოჰყვა?

- მე მოედანზე ვიყავი და ვერ დავინახე, ვინ გადმოაგდო ბურთი. ეს ჩემმა ასისტენტმა მაცნობა. ასეთ დროს მატჩი აუცილებლად უნდა გაჩერდეს და ასეც მოვიქეცი. მერე მოხდა ის, რაც ყველამ იცის - ჯერ „ზესტაფონის“ ფეხბურთელები მივარდნენ „ოლიმპის“ სათადარიგოთა სკამს, ხოლო შემდეგ - უკვე ოფიციალური პირებიც. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე აწყნარებდა როგორც ფეხბურთელებს, ისე ოფიციალურ პირებს... სამწუხაროდ, ასე მოხდა... რაც შეეხება სასჯელის ზომას, ეს სადისციპლინო კომიტეტმა უნდა გადაწყვიტოს, მე ვერაფერს გეტყვით.

>> ბე-4 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუსრულებელი მატჩის ექო

რა ვქნათ, ეს საქართველოა და ბევრი რამაა გასათვალისწინებელი

« მე-3 გვერდიდან

- ესეც აუცილებლად უნდა გკითხოთ: ზესტაფონელი გულშემატკივრების უკმაყოფილება მსაჯთა რამდენიმე გადაწყვეტილებამ გამოიწვია. მაგალითად, ზედიზედ ორჯერ, 29-ე და 30-ე წუთებზე, დავით იმედაშვილმა ჯერ ხელით გაიგდო ბურთი და ყვითელი ბარათი არ უჩვენეთ, მეორედ კი საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს - მას ხელზე მოხვდა ბურთი და მიიჩნიეს, რომ ჯარიმა უნდა დაგენიშნათ. „ზესტაფონს" კიდევ რამდენიმე საეჭვო თამაშგარე დაუფიქსირეს, „ოლიმპს" კი ერთხელ აშკარა თამაშგარე „გაუტარეს"...

- როცა ასხლეტილი ბურთი ხელზე ხვდება, ამ დროს თამაში გრძელდება.

- და რაც შეეხება პირველ ეპიზოდს?

- სანამ იმედაშვილი ხელით ითამაშებდა, მან მეტოქე მცველს ხელი უბიძგა და ჯარიმა უკვე დანიშნული მქონდა. ანუ, დარღვევაზე თავიდანვე რეაგირება მოვახდინე. თუმცა ვერ ვიტყვი, თითქოს შეცდომას არ ვუშვებ, ადამიანი ყოველთვის მართალი ვერ იქნება. მთავარია, საკუთარ სინდისთან იყო მართალი...

- ზესტაფონელი გულშემატკივარი ფიქრობს, რომ მათ საყვარელ გუნდს კონკურენტის სასარგებლოდ ჩაგრავენ და თქვენს თითოეულ გადაწყვეტილებას ამ პრიზმაში განიხილავენ. შესაბამისად, ამან თქვენც დაგძაბათ, მოწინაალმდეგეებიც და გულშემატკივრებიც...

- კი, მაგრამ ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს. მსაჯები მაყურებელსა და ფეხბურთელებს არ უნდა აჰყვნენ.

- კიდევ ერთი თემა, რომელიც ფიფას ნოვაციას ეხება - მსაჯებს შორის ყურსასმენით კავშირი გადაწყვეტილების მიღებაში გეხმარებათ?

- რა თქმა უნდა, ეს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში გვეხმარება.

- გქონიათ სურვილი, ფეხბურთელებისთვის საჯაროდ მიგემართათ?

- ასეთი საშუალება რომ მქონდეს, ვეტყოდი, რომ ემოცია დაიოკონ, მაგრამ ფეხბურთი აზარტული თამაშია და მათიც მესმის - უნდათ თუ არა, ემოციური მუხტი ჭარბობს. რა ვქნათ, საქართველოა და ბევრი რამაა გასათვალისწინებელი...

მერაბ მამულაშვილი

იური გაბისკირია: შეგნებულად არ გამიკეთებია და რა ვქნა?!

ეს რაღაც „ქათმისა და კვერცხის" თემის მაგვარია. ვინ თუ რა გახდა ჩხუბის მიზეზი - იური გაბისკირია, რომელმაც მოედანზე ბურთი გადააგდო, თუ „ზესტაფონის" ფეხბურთელები, რომლებმაც ემოცია ვერ მოთოკეს და „ოლიმპის" სათადარიგოთა მოთამაშეებს მისცვივდნენ?

გუშინ დაველაპარაკეთ ინციდენტის ერთ-ერთ მთავარ გმირს, რუსთავის „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტ იური გაბისკირიას.

- ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გკითხავთ - ბურთი მოედანზე შეგნებულად, მოწინაალმდეგის შეტევის ჩასაშლელად გადააგდეთ?

- შეგნებულად როგორ გადავაგდე, როცა ეს ყველაფერი პატარა შიდა კონფლიქტის გამო მოხდა? რა ხდება გუნდის „სამზარეულოში", ამაზე ღიად არასდროს ვილაპარაკებდი, მომხდარს ამხელა უარყოფითი ემოცია და უსიამოვნო შედეგი რომ არ მოჰყოლოდა. გიორგი ჭედია რომ შევცვალეთ, გაბრაზდა და მაისურა მოისროლა. ვერ მოვითმინე, გავმწარდი და ბურთი გავუქანე. მერიდება ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება - ვერ მოვზომე და... ბურთი მოედანზე შევარდა. თუმცა რაც შემდეგ მოხდა, ასეთ რეაქციას ვერაფრით წარმოვიდგენდი. რომ წამოვიდა ხალხი... მე რა არ მესმის, იცით? ხიდეშელს ბურთი საკუთარ მოედანზე ჰქონდა, მწვავე შეტევა რომ ყოფილიყო და ამ დროს შევარდნილიყო ბურთი, მართლა სხვაგვარად გაიგებდა კაცი, მაგრამ შემთხვევით შეგდებული ბურთის გამო ასეთი ამბავი არ უნდა ამტყდარიყო. ალბათ, ეს იმიტომ მოხდა, რომ ერთმანეთს პატივს არ ვცემთ. მე ისიც მეყოფა, კლუბმა რომ დამსაჯა.

- მომხდარის გამო უხერხულობას არ გრძნობთ?

- ვგრძნობ, მაგრამ ვიმეორებ - ეს შეგნებულად არ გამიკეთებია და რა ვქნა?! ჩვენ რას გვეჩხუბებოდნენ? მოეგოთ ზესტაფონელებს და წავიდოდნენ სახლში მშვიდად. რატომღაც, ვიღაცამ იყვირა, ჩვენს ფეხბურთელებს რუსთაველთა სათადარიგოები აგინებენო. „ზესტაფონში" ბევრი ყოფილი ოლიმპელი და ჩვენი მეგობრები თამაშობენ - ონიანი, დვალი, აფციაური, ხიდეშელი, გრიგალაშვილი, დაუშვილი... და საერთოდაც, მოწინაალმდეგისთვის შეურაცხყოფა ნამდვილად არავის მიუყენებია. ამ გაუგებრობებმა გამოიწვია ის დიდი არეულობა, რაც საბოლოოდ მატჩის ჩაშლის მიზეზი გახდა. არადა, ბურთის შეგდებისას რა დრო დაიკარგა - 20 წამი? მერე? ამის დამატება რა პრობლემა გახდა?!

- მარტო ამას არ გამოუწვევია ზესტაფონელთა უკმაყოფილება - გია ჭანტურიას მოულოდნელი წაქცევა, გიორგი ჭედიას მოედნიდან აუჩქარებელი გასვლა და ბოლოს, თქვენი ეპიზოდი - ეს ყველაფერი მიზანმიმართულ ქმედებად მიიჩნიეს...

- მითხარით, თამაშს რომ იგებდეთ, მოედანს სწრაფად დატოვებდით? რა ვქნათ, ფეხბურთი ასეთია და ჩვენ ვერ შევცვლით. თუმცა ჩემი და ჭანტურიას მომენტი ნამდვილად არ ყოფილა ტემპის დაგდების და მათი შეტევის ჩაშლის მცდელობა.

- კი, მაგრამ ასეთი რა ძალით დაარტყით, რომ ბურთი მოედნის მეორე მხარეს გადავარდა?

- გაბრაზებულმა ის თუ ვერ მოვზომე, რომ ბურთი არ უნდა დამერტყა, სხვა რამეს მოვზომავდი? ვერც ჭედიამ შეიკავა თავი და ვერც - მე. იმ დროს ვითარება მოედანზეც დაიძაბა და სათადარიგოთა სკამზეც. ხომ არ ვამბობ, ბურთი არ დამირტყამს-მეთქი, მაგრამ ეს არ იყო შეგნებული საქციელი და ამიტომაა, მომხდარს ძალიან რომ განვიცდი.

- თამაშის დროს ბურთს რომ მოედნის მიმართულებით ურტყამდით, ვერ მიხვდით, რომ მოედანზე შევარდებოდა?

- ვიცი, რომ ჩემი ემოციურობა გასამართლებელი საბუთი არ არის, მაგრამ... ვერ მოვზომე.

- ჭედიას შეცვლიდან ბურთის მოედანზე შევარდნამდე სულ მცირე 3 წუთი გავიდა. თქვენ შორის კონფლიქტი ამდენ ხანს გაგრძელდა?

- რატომ გამომიყვანეთო, ჭედია გამწარებულ რეპლიკებს ისროდა და მერე მაისურა მოისროლა. ბოლოს მეც ვერ მოვითმინე...

- სავარაუდოდ, ორივე გუნდს 0:3 წაგებას მოგისჯიან.

- არა მგონია, ეს სამართლიანი იყოს, მაგრამ ასეთი ფაქტის შემდეგ, ორივეს რომ დაგვსჯიან, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

მერაბ მამულაშვილი

სერგო კვარაცხელია: არა მგონია, მატჩის შედეგი იგივე დარჩეს

„ზესტაფონი"-"ოლიმპის" 20 მარტის დაუსრულებელი მატჩის თემა კვლავაც აქტუალურია. ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ამ საკითხზე გადაწყვეტილებას დღეს გამოიტანს. მანამდე კი ვნახოთ, რა აზრისაა ამ საკითხზე ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე, წარსულში ცნობილი არბიტრი სერგო კვარაცხელია, რომელიც ამავდროულად ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრიცაა. საინტერესოა, ეთანხმება თუ არა ის ზემოთ ხსენებული მატჩის არბიტრ **გიორგი ვადაჭკორიას გადაწყვეტილებას, მატჩის შეწყვეტასთან დაკავშირებით, როგორი შეიძლება იყოს ვერდიქტი და რა გადაწყვეტილების მოლოდინში უნდა ვიყოთ...**

- „ზესტაფონისა" და „ოლიმპის" მატჩზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ვნახე თამაშის ვიდეოჩანაწერში და აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად მართებულად მიმაჩნია არბიტრ გიორგი ვადაჭკორიას გადაწყვეტილება - თამაში არ უნდა გაგრძელებულიყო.

- თქვენი აზრით, როგორი შეიძლება იყოს ვერდიქტი?

- სიმართლე გითხრათ, რეგლამენტს არ ვიცნობ. გავეცნობი და მერე გიპასუხებთ ამ კითხვაზე.

- ზოგი ამტკიცებს, რომ ყველა შემთხვევაში გადათამაშება იქნება. ასეა?

- მაშინ მე ვსვამ კითხვას: რატომ გადათამაშება?

- იმიტომ, რომ მატჩი არ დასრულებულა...

- ...და რა იყო მატჩის არდასრულების მიზეზი?

- როგორც მატჩის არბიტრი აცხადებს, ორივე გუნდის ფეხბურთელებსა და კლუბის წევრებს შორის ჩხუბის გამო სიტუაცია უმართავი იყო...

- მატჩის ოფიციალური დროის ამოწურვამდე 2 წუთი იყო დარჩენილი. თამაშის შეწყვეტა უმართავმა სიტუაციამ გამოიწვია, რომელიც თავის მხრივ ჯგუფურ ჩხუბს მოჰყვა.

- დაახლოებით 10 წლის წინ „დინამოსა" და „ლოკომოტივს" შორის მატჩიც შეწყდა და მაშინ გადათამაშება დაინიშნა...

- მთავარია, რა იყო ამა თუ იმ მატჩის შეწყვეტის მიზეზი... ერთ მაგალითს გავიხსენებ: 2-3 წლის წინ იყო დანიისა და შვედეთის მატჩი. დანია უგებდა მეტოქეს, შვედებმა ანგარიში გაათანაბრეს, არბიტრმა მატჩის ბოლო წუთზე 11-მეტრიანი დანიშნა, ტრიბუნიდან მაყურებელი გადმოვიდა, მაგრამ სამართალდამცავებმა ისინი იმ საჯარიმომდეც არ მიუშვეს, სადაც პენალტი დაინიშნა. მიუხედავად ამისა, არბიტრმა აიღო ბურთი და მატჩი შეწყვეტილად გამოაცხადა. იმ შეხვედრაში დანიელებს წაგება ჩაეთვალათ... მთავარია, რეგლამენტი და კრიტერიუმი - სწორედ ამის მიხედვით იხელმძღვანელებს იმ კომიტეტის წევრები, რომელმაც ამ საკითხზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

- თუ რომელიმე ერთი გუნდის ბრალეულობა დამტკიცდა, მაშინ რა სანქციას უნდა ველოდოთ - მხოლოდ ფინანსურს თუ სანქცია მატჩის საბოლოო შედეგზეც აისახება?

- ვერდიქტს ბრალეულობიდან გამომდინარე გამოიტანენ. თავისთავად, იქნება ფინანსური სანქციაც. რაც შეეხება შედეგს, სპორტული პრინციპიდან გამომდინარე, არა მგონია მატჩის შეწყვეტიდან გამომდინარე, 1:1 ძალაში დარჩეს.

დავით ცაბაძე



ლეგიონი

ბურთით კახაბერ მჟავანაძე

ხუთი ქართული გოლის ამბავი

რუსეთის პრემიერლიგის II ტურის ბოლო მატჩში ყაზანის „რუბინი" „ტომს" ესტუმრა და 1:0 მოუგო. სასიხარულოა, რომ **ლაშა სალუქვაძემ** ამ მატჩში დაიბრუნა „ვოლფსბურგთან" საშინაო მატჩში დაკარგული ადგილი სასტარტოში. ლაშამ 90 წუთი ითამაშა და „ჩემპიონატისგან" 5,5 ბალი მიიღო შეფასებად. ჩემპიონმა უკვე ორ ტურში მოახერხა ერთპიროვნული ლიდერობა, რადგან 6 ქულა „რუბინის" გარდა სხვა არც ერთ გუნდს არ აქვს. სხვათა შორის, დუბლების მატჩში მოსკოვის ცსკა-ს გუნდში 77-ე წუთამდე ითამაშა **ნიკა ძალამიძემ**, მისმა გუნდმა კი „დინამოს" დუბლებთან 0:3 წააგო. „დინამოს" რიგებში დუბლი რუსეთის მოქალაქე **ირაკლი ლოგუამ** შეასრულა.

აზერბაიჯანში ტურის ცენტრალურ მატჩში იმარჯვა **კახა ცხადაძის** „ინტერმა" და ლიდერობა დაიბრუნა. ქართველთა გუნდმა 1:0 მოუგო ლენქორანის „ხაზარს". „ინტერი" 21 ქულით დაწინაურდა და მეორეზე მყოფ ხაზარს" 3 ქულით უსწრებს. ცხადაძემ კარში ადგილი **გიორგი ლომაიას** ანდო, ტრავმის შემდეგ მინდორს დაუბრუნდა **კახაბერ მჟავანაძე**, სრულად ითამაშა **გიორგი ნავალოვსკიმაც**, ხოლო **დავით ოდიკაძე** 59-ე წუთზე შევიდა. ცენტრალურ მატჩს „შაფაზე" 3,5 ათასი მაყურებელი დაესწრო. „*დღეს კარგი თამაში გამოვიდა, ჩვენ მთელი თამაში ვჯობდით მეტოქეს და დამსახურებულად მოვიგეთ*", - ვკითხულობთ აზერბაიჯანის პროფესიული ლიგის საიტზე კახა ცხადაძის გამონათქვამს.

ზედა ექვსეულის მაჩანჩალა „გაბალამ" შინ 3:1 მოუგო „ყარაბახს". სტუმართა რიგებში ერთადერთი გოლი **გიორგი ადამიამ** გაიტანა, რომლისთვისაც ეს პირველი გოლია აგდამური კლუბის შემადგენლობაში. გამარჯვებულთა რიგებში ორი ჩვენებური იყო: **გოგა ბერაია** და **რევაზ გეწაძე** (63-ე წუთზე შეცვალეს). ადამიამ 90 წუთი ითამაშა. ბაქოურ დერბიში „ნეფთჩიმ" 1:0 მოუგო „ბაქოს", ამ თამაშის შემდეგ გადადგა სტუმართა თურქი თავკაცი **ბიულენთ ქორქმაზი**. გამარჯვებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა ვალერი აბრამიძემ. აბრამიძის „ნეფთჩი" 15 ქულით მესამეა, ამდენივე ქულით მეოთხეა ადამიას „ყარაბახი", „გაბალა" 10 ქულით ბოლო, მე-6 ადგილზეა.

ქვედა ექვსეულში „სიმურგი" შინ „ოლიმპიკთან" 0:3 განადგურდა. მასპინძელთა შემადგენლობაში ჩვენებურთაგან მხოლოდ **დავით ბოლქვაძემ** ითამაშა, სტუმართა შორის - **ნუგზარ კვირტიამ**. უგოლოდ დასრულდა „ქარვანისა" (**ინწკირველი** 90 წუთი) და „მუღანის" (**სვანიძე** 90 წუთი) თამაში. „სტანდარდს" ჩხუბის გამო დასჯილი ქართველები აკლდნენ, მათმა გუნდმა შინ „თურანთან" 2:3 წააგო. ითამაშა მხოლოდ **ამირან მუჯირმა**, ის მოედანზე 66-ე წუთზე გამოჩნდა, 75-ეზე კი გოლი გაიტანა. „სიმურგი" 22 ქულით მე-7 ადგილზეა, შემდეგ მოდის „ოლიმპიკი" (21 ქულა), „მუღანი" 14 ქულით მეათეა, „სტანდარდს" 12 ქულა აქვს, ხოლო ბოლო ადგილზე მყოფ „ქარვანს" - 8.

ბოსნიის ჩემპიონატში დისკვალიფიკაციის გამო არ ითამაშა **ლევან კუტალიამ**, მისმა „სლავიამ" 1:1 დაასრულა მატჩი „ტრავნიკთან". „სლავია" 23 ქულით მე-10 ადგილზეა. კვიპროსის ჩემპიონატში „ნეა სალამინა" „დოხასთან" 0:1 დამარცხდა. **კლიმენტი წიტაიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა, თუმცა თავი ვერაფრით გამოიჩინა. **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსი" სტუმრად „არისს" დაუზავდა - 0:0. ქებაძემაც შეუცვლელად ითამაშა. **ლევან მაღრაძის** „ერმისმა" 2:1 მოუგო აპეპ-ს. მაღრაძეს არ უთამაშია. „ეთნიკოსი" 31 ქულით მე-7 ადგილზეა, „ერმისი" 29 ქულით მეცხრეა, ხოლო „ნეა სალამინა" 14 ქულით ბოლოსწინაა.

დანიაში **დავით დევდარიანის** „ორჰუსი" სტუმრად 0:2 დამარცხდა „ოდენსესთან". ქართველმა მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა, ის ბოლო წუთზე შეცვალეს. ჩვენებურს ერთხელ შეექმნა საგოლე მომენტი, მაგრამ მან ბურთი ხარიხას გადააცილა. „ორჰუსი" 27 ქულით მე-9 ადგილზეა სასლიგაში.

საბერძნეთის სუპერლიგაში **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისი" 1:3 დამარცხდა „ირაკლისთან". გიორგი 82-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე მან ყვითელი ბარათი მიიღო. „ერგოტელისი" 30 ქულით მე-11 ადგილზეა. უნგრეთის რანგით მეორე ლიგაში „დიორი ეტოს" მეორე გუნდმა „ტატაბანიას" 2:0 მოუგო. სასტარტოში ითამაშეს **ლაშა თოთაძემ, გიორგი განუგრავამ** და **ვახტანგ ფანცხავამ**, შეცვლაზე შევიდა **დავით ლორთქიფანიძე**.

ისრაელის ლიგატ ჰაალში მე-3 მარცხი იწვნია **ლადო დვალიშვილის** „მაქაბიმ". ჰაიფელებმა „ბნეი სახნინთან" 1:2 დათმეს, დვალიშვილი სასტარტოში არ იყო, ის შესვენების შემდეგ გამოჩნდა. ლადოს 1 თებერვალის მერე არ გაუტანია. ჰაიფაში ადგილობრივ „ჰაპოელს" 2:1 მოუგო თელ ავივის „ჰაპოელმა" და 8 ქულამდე შეამცირა ლიდერთან ჩამორჩენა. გამარჯვებულთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ზურაბ მენთეშაშვილმა**. მასპინძელთა რიგებში **ლევან ხმალაძე** სათადარიგო იყო.

ლეუმითლიგაში შესანიშნავ ფორმაშია ბათ იამის „მაქაბი ირონის" ქართველი ფორვარდი **კოკა მიკუჩაძე**. ბათიამელები იერუსალიმის „ჰაპოელს" ესტუმრნენ და 2:1 მოუგეს, ორივე გოლი კოკას ანგარიშზეა. მიკუჩაძემ ლიგაში 14 გოლი შეაგდო. ქართველთა „სექცია" 0:0 დაუზავდა კირიათ შმონას „ჰაპოელს". **გაგა ჩხეტიანი** 88-ე წუთზე შეცვალეს, **გიორგი ჭელიძე** 54-ე წუთზე გამოჩნდა, ხოლო **შოთა ბაბუნაშვილი** სათადარიგო იყო.

შვეიცარიის ჩელენჯლიგაში „ვოლენმა" შინ „ივერდონთან" 2:4 წააგო. ამ მატჩის 88-ე წუთზე მასპინძელთაგან ერთი გოლი **გიორგი ივანიშვილმა** გაიტანა. ეს მისი მე-4 გოლია სეზონში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართული ფეხბურთი

სამტრედია

პენალტს აპროტესტებენ



ლევან ანჯაფარიძე

„სიონისა" და „სამტრედიას" შაბათის მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა. ბუნებრივია, იმერელთათვის ბოლნისში მოპოვებული ქულა დადებითი შედეგია, მაგრამ „სამტრედიას" წევრები არბიტრ **ოთარ ხეცაძის** გადაწყვეტილებებით უკმაყოფილონი დარჩნენ. შეგახსენებთ, შეხვედრის მეორე ნახევარში ბოლნისელი **უგულავა** „სამტრედიას" მეკარე **ხარძეიშვილთან** ბრძოლაში დაეცა, რასაც მსაჯმა პენალტის კვალიფიკაცია მისცა.

ამ და სხვა საკამათო ეპიზოდებზე საკუთარი მოსაზრება გამოთქვა „სამტრედიას" ერთ-ერთმა მთავარმა მწვრთნელმა **ლევან ანჯაფარიძემ**: *„სამწუხაროდ, ჯერ არ მქონია ამ მომენტის ვიდეოგამეორების ნახვის საშუალება, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ჩვენს მეკარეს თამაშის წესები არ დაურღვევია. ამ ეპიზოდსაც რომ თავი დავანებოთ, მატჩის 87-ე წუთზე გოგია აბსოლუტურად უსამართლოდ გაგვიძევეს, თითქოსდა მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის, არადა, მსგავს საქციელს ადგილი არ ჰქონია. ამ მატჩში სხვა სადავო სიტუაციებიც იყო... მოკლედ, თამაში ისე არ ჩაივლის, მსაჯების მსხვერპლი არ გავხდეთ, განსაკუთრებით, წითელ-ყვითელი ბარათების სიმრავლე მაღელვებს. ისედაც მოკლე სათადარიგოთა სკამი გვაქვს და ოპტიმალური შემადგენლობის თავმოყრა ვერაფრით მოგვიხერხებია. თითქმის ყველა მატჩს დისკვალიფიკაციის გამო ხან ვინ ტოვებს და ხან - ვინ. შემდეგ ტურში „დინამოსთან" უპრინციპულესი დაპირისპირება გველის და დანაკლისის გარეშე ვერც ამ მატჩს ვხვდებით".*

„სიონის" თავკაცმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** კი უკმაყოფილება შედეგის გამო გამოთქვა: *„შარშანდელი შემოდგომის შემდეგ, შინ გამარჯვება არ მოგვიპოვებია და ბუნებრივია, ამ უსიამოვნო სერიის შეწყვეტა გვსურდა. სამწუხაროდ, ეს არ გამოგვივიდა, რაც ჩვენმა შეცდომებმაც განაპირობა და მეტოქის კარგმა თამაშმაც. უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ვიბრძვით და გავარდნის საფრთხე ალბათ, მალე გადაივლის, მაგრამ ამ შედეგმა მაინც ძალიან დაგვწყვიტა გული. რაც შეეხება პენალტის ეპიზოდს, ამაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან იმ ადგილიდან საკმაოდ შორს ვიდექი და მომენტი კარგად ვერ დავინახე".*

ლევან ჯანეზაშვილი

U 17

ჭანტურია გამოარჩიეს

გიორგი ჭანტურია

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები დღეს ავსტრიულ შეკრებას დაასრულებს და ჩეხეთში გადაინაცვლებს, სადაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდს ზეგ დაიწყებს მასპინძელთა ნაკრებთან დაპირისპირებით. შეგახსენებთ, ავსტრიაში ქართველებმა „ველცენეგის" 19-წლამდელთა გუნდი გიორგი ჭანტურიას დუბლით 2:0 დაამარცხეს. ამ მატჩს ავსტრიული პრესაც გამოეხმაურა და განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ჭანტურიას დაუთმო.

ქალაქ კერნტენის „ფუსბალმა" მას მცირე წერილი, სახელწოდებით „ბარსელონელი ვარსკვლავი" მიუძღვნა, რასაც უცვლელად გთავაზობთ.

„საქართველოს ნაკრების წევრებმა შეკრება ავსტრიაში, კლაგენფურტში მოწყობა გადაწყვიტეს. ერთი შეხედვით, ამაში განსაკუთრებული არავინაა, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ერთი ქართველი ფეხბურთელი „ბარსელონას" წევრია და მისი ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობაში გოლები სისტემატურად გააქვს. ბუნებრივია, ეს ავტომატურად იმას არ ნიშნავს, რომ გიორგი ჭანტურია „ბარსელონას" მთავარ გუნდში დამკვიდრდება, მაგრამ ასეთი მონაცემების ფეხბურთელს ნამდვილად დიდი შანსი აქვს იმისა, რომ „ბარსასა" და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავად იქცეს.

ქართველი ტალანტი „ბარსელონას" გასული წლის სექტემბერში შეუერთდა და იქ უმალ მოახერხა თავის გამოჩენა. ბუნებრივია, კატალონიურ გრანდს ჭანტურია უცებ არ გადაუბირებია. კლუბის სკაუტები მას დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდნენ და საბოლოოდ, მართებული გადაწყვეტილებაც მიიღეს. „ბარსელონამ" ჭანტურიას ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

გიორგი ყველა საფეხბურთო თვისებით უხვადაა დაჯილდოვებული. სიმაღლით 181 სანტიმეტრია და ბუნებრივია, მისი ზრდა ამით არ დასრულებულა. გონიერია, ფიზიკურადაც საკმაოდ ძლიერია და ორივე ფეხს კარგად ხმარობს. მოკლედ, იდეალური მასალაა იმისთვის, რომ რამდენიმე წელიწადში მსოფლიო დონის თავდამსხმელი გახდეს.

ქართველები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად იბრძვიან და ასეთი ფეხბურთელის ხელში, ნამდვილად შეუძლიათ ამ მიზნის მიღწევა".

ლევან ჯანეზაშვილი

ჩეხებისაც ცნობილია

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში ჯერ უკრაინის 17-წლამდელთა გაფართოებული შემადგენლობა შემოგთავაზეთ, შემდეგ კი ჰოლანდიელთა 18-კაციანი განაცხადი გაგაცანით. უკვე ცნობილია საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მეტოქის, ჩეხეთის საელიტრაუნდო შემადგენლობაც. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ირჟი შტოლმა** უპირატესობა ამ ფეხბურთელებს მიანიჭა:

მეკარეები - **ვლასტიმილ ვესელი** (ბრნო, 10 მატჩი ნაკრებში), **ირჟი ადამუშკა** (ზლინი, 6);

მცველები - მატეი ჰიბსი (სპარტა, 8 მატჩი, 2 გოლი), იან ტომსი (სპარტა, 11), იან მიზიჩი (ბოჰემიანსი, 11), მარტინ კრამეში (პრიბრამი, 8), რომან ჰასა (სლოვაცკო, 3, 0), იაკუბ სოკოლიკი (ლივერპული, 3, 0)

ნახევარმცველები - მარეკ კრატკი (ტეპლიცე, 11, 3), დომინიკ მანდულა (პლზენი, 8, 2), მარტინ ჰურკა (სლავია, 11, 3), ტომაშ კალასი (სიგმა, 6, 1), ტომაშ შესლაკი (ტეპლიცე, 11, 1), რობერტ მარიოტი (სპარტა, 5, 1)

თავდამსხმელები - ფილიპ როზშივალი (ჰამბურგი, 9, 2), პატრიკ ტვარძიკი (სელტიკი, 8, 2), ფილიპ ტვარძიკი (სელტიკი, 3, 0), იან სიკორა (პლზენი, 3, 1).

აღსანიშნავია, რომ პირველ შესარჩევ ეტაპზე მიღწეული წარმატების მიუხედავად, ჩეხეთის ნაკრების საელიტრაუნდო შემადგენლობაში ხუთი ფეხბურთელი შეიცვალა. აქედან სამი მათგანი ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო.

ლევან ჯანეზაშვილი



13 მარტი. საქართველოს ჩემპიონატის ტურის ანონსში ლელოელი გია ტუხაშვილი წერს, სხვა რა დაგვრჩენია, ჩემპიონატს მოჩვენებითი ინტრიგა ისევ ჟურნალისტებმა უნდა შევუქმნათო. ამ საკითხზე არაერთხელ გვიმსჯელია და პირადად ჩემთვის ყოველთვის გამოცანად რჩებოდა და რჩება, როგორ ახერხებენ ქართულ ფეხბურთზე მწერალი სპორტული ჟურნალისტები ყოველდღე რამდენიმე გვერდის გავსებას - რომ დაწერო, რალაც ხომ უნდა ხდებოდეს. მოკლედ, ქება და დიდება ქართული ფეხბურთის მიმომხილველებს. თანაც მარტო გვერდების გავსებაზე ხომ არ არის ლაპარაკი - ჯერ სტადიონზე უნდა ნახვიდე და ორი საათი უყურო, როგორ ეზარებათ ფეხბურთელებს სირბილი. ამის ყურებას კი მტკიცე ნერვები სჭირდება.

14 მარტი. დღეს კვირაა, ქართულ ფეხბურთზე დამწერი ჟურნალისტები კი საკუთარი ნერვების ფასად ისეთ თამაშებსაც უყურებენ, სანახავად რომ არ ღირს.

15 მარტი. „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებს იდეა გასჩენიათ - ჩემპიონატის ყოველი მატჩის შემდეგ გულშემატკივრები გამოკითხონ და თუ მათი აბსოლუტური უმრავლესობა თავად თამაშისა და მსაჯობის ობიექტურობაში ეჭვს შეიტანს, შედეგი გაუქმებულად უნდა გამოცხადდესო. იდეა საინტერესოა, მაგრამ ძალიან მეეჭვება, აქედან რამე გამოვიდეს. თუნდაც იმავე „ლოკომოტივის" თამაშები ავილოთ. დავუშვათ, „ლოკო" „ეთამაშება „სამტრედიას". მეეჭვება, სტადიონზე „ლოკომოტივის" მოთამაშეთა ასიოდე ნათესავ-მეგობრის გარდა (ქართულ ფეხბურთზე მწერალი ნერვებდაწყვეტილი ჟურნალისტები ამ შემთხვევაში არ ითვლებიან) ვინმე იჯდეს. ახლა კი ვიკითხოთ, რამდენად ობიექტური იქნება ნათესავ-მეგობარი, თუკი მისი გუნდი წააგებს? ისიც ხომ ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ მსაჯი საქართველოში ყოველთვის მტყუანია, როდესაც შენს საწინააღმდეგოდ უსტვენს და ობიექტურობა გულშემატკივარს ნაკლებად აღელვებს? ერთი სიტყვით, ლოკომოტიველთა იდეა უტოპიური მგონია.

16 მარტი. გია ტუხაშვილმა ტურის შემაჯამებელ მიმოხილვაში გამოითვალა, რომ მარტში ჩატარებულ 13 თამაშში მხოლოდ 13 გოლი გასულა. ეჭვი მაქვს, რომ ჟურნალისტს გოლების დასათვლელად კალკულატორის მომარჯვება არ დასჭირდებოდა. იმის ეჭვიც მაქვს, რომ მაინცდამაინც მეკარეებიც არ გაიგიჟებდნენ თავს და აუღებელი ბურთების მოგერიებით არ დაგვამახსოვრებდნენ თავს. ასეთი დაბალი შედეგიანობის მიზეზი უფრო ის მგონია, რაც სტატიის ავტორმა ადრევე თქვა - ფეხბურთელები მოედანზე უნდა დარბოდნენ!

17 მარტი. „ლელოში" ბაქოს „ინტერზე" იყო წერილი, სადაც ქართველები ბლომად თამაშობენ და მწვრთნელებიც ქართველები ჰყავთ - კახა ცხადაძე და გიორგი ჩიხრაძე. „ჩიხოზე" დიდი ხანია გული მწყდება. საქართველოს ნაკრების ყოფილმა მცველმა მწვრთნელობა პირველ ლიგაში დაიწყო და წლისთავზე გუნდი უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა. მწვრთნელობის დაწყებიდან ორწლისთავზე ის უკვე საქართველოს თასის მფლობელი და წლის საუკეთესო ქართველი მწვრთნელი იყო. მესამე წლის ბოლოს სამწვრთნელო კოლექციას თასის ორგზის მფლობელის ტიტული და ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი შემატა. „ამერი" მეოთხე წელსაც თასის ფინალში გაიყვანა. ჰოდა, ძალიან მწყდება გული, ასეთი სპეციალისტისთვის მთავარი მწვრთნელის პოსტი ვერსად რომ ვერ მოინახა.

18 მარტი. მერაბ მამულაშვილის ინტერვიუს ზურაბ ბათიაშვილთან, ჩემი ნება რომ იყოს, ყველა ბავშვს წავაკითხებდი. იმის ილუზია ნამდვილად არ მაქვს, რომ ყველა სწორ დასკვნას გამოიტანს, მაგრამ ერთი-ორიც რომ მიმხვდარიყო რალაცას, უკვე საქმე იქნებოდა. 17 წლის ბიჭი მილიონიან კონტრაქტზე კი არა, გამოცდილების მიღებაზე, კარგ სავარჯიშო პირობებსა და მისთანებზე უნდა ფიქრობდეს, თორემ ძალიან დიდი შანსია, ვერც დიდი ფეხბურთი ითამაშოს და ის მილიონიანი კონტრაქტიც განზე დარჩეს - აი, ეს არის ამ ინტერვიუს მთავარი გაკვეთილი.

19 მარტი. გარდა იმისა, რომ ბავშვები სწორად უნდა აზროვნებდნენ, მათ ნორმალური სამუშაო პირობებიც უნდა ჰქონდეთ. პირობები საფეხბურთო სკოლებმა უნდა შეუქმნან და ამ საკითხით „ლელო" რომ დაინტერესდა, სავალალო მდგომარეობა შეგვრჩა ხელში. თბილისური სკოლების უმრავლესობა სულს ღაფავს ან უკვე ამოხდა სული. ერთი სკოლა მომხვდა თვალში - „ბერი". სხვათა შორის იქ აიდგა ფეხი ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ნახევარმცველმა დენის დობროვოლსკიმ.

20 მარტი. „სიონის" 24 წლის მეკარე ლადო ზუხბაია „ლელოსთან" ინტერვიუში იხსენებს, წლების წინ „კიოლნიდან" მოწვევა მომივიდა, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დამიმალესო. სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, ამას რა დავარქვა, თუმცა სხვა რამ უფრო მაინტერესებს - ვინმე აპირებს ასეთი ფაქტებით დაინტერესებას და გამოძიებას? მაგრამ დღეს მაინც შესანიშნავ ხასიათზე ვარ - „ბორჯღალოსნებმა" გაიმარჯვეს!

21 მარტი. შაბათს მოგებული მატჩის სიხარული, რასაკვირველია, კვირასაც გამომყვა. ერთი ის მაწუხებს, სტადიონის ნაცვლად ტელევიზორში რომ ვუყურე ამ თამაშს.

22 მარტი. ზესტაფონში თამაში ჩაიშალა. „ოლიმპის" სათადარიგოთა სკამიდან ვილაცას ბურთი გადაუგდია მოედანზე მასპინძელთა მწვავე შეტევის დროს, რასაც ჩხუბი მოჰყვა. მართალია, რუსთაველთა ხელმძღვანელი ირწმუნება, ბურთი სრულიად შემთხვევით გადავარდაო, მაგრამ ამის დამჯერებელი, მეეჭვება, ბევრი იყოს ისედაც ეჭვიან საქართველოში. ისე, მეტოქის შეტევის დროს ბურთის მოედანზე გადაგდება ბრაზილიაში იციან და რალაცით ხომ უნდა გავუთანაბრდეთ ბრაზილიელებს.

ფუტზალი

საქართველოს ჩემპიონატი. IX ტური

ბოლო წამების დრამა

ჩემპიონატის ყველაზე დრამატული ამბავი პირველი წრის IX ტურის ბოლო მატჩის ბოლო წამზე მოხდა. ლიდერთა - „იბერიას" და თსუ-ს შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა. იბერიელები 4:3 იგებდნენ, მატჩის დასრულებამდე კი 1,4 წამი რჩებოდა. თსუ-მ კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვა, ჩააწოდა და გოლიც გავიდა. იყო თუ არა გოლის მომენტში გასული ნახსენები 1,4 წამი - კამათი და ვნებათაღელვა სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია. საბოლოოდ, მთავარი მსაჯის და ქრონომეტრისტის თათბირის შედეგად დადგინდა, რომ გოლი დროის გასვლის შემდეგ გავიდა და მსაჯმა მატჩის ოქმში „იბერიას" გამარჯვება დააფიქსირა. არადა, რომ არა ეს სადავო ეპიზოდი, მატჩი ისეთი იყო, ნახვად ნაღდად რომ ღირდა. ხარისხიან თამაშს სტუდენტთა შესანიშნავი გულშემატკივრობაც დაემატა და მივიღეთ ის, რასაც მაღალი ევროპულ კლასს ვუწოდებთ.

მატჩის ბოლო წამის გამო მიღებულმა გადაწყვეტილებამ კი თსუ-ს გარდა „ალგოსაც" დასწყვიტა გული, რაკი „იბერიას" წაფორხილება სტუდენტთა გარდა ალგოელებსაც ჩემპიონობისთვის ბრძოლის კარგ შანსს უტოვებდა. ახლა კი ძნელად წარმოსადგენია, რომ „იბერიამ" უპირატესობა ხელიდან გაუშვას.

„ალგომ" ორბურთიანი სხვაობით მოუგო თელავის „ბურჯს" და აღსანიშნავია, რომ თელაველთაგან სამივე გოლი სწორედ „ალგოდან" იჯარით აყვანილმა მოთამაშეებმა გაიტანეს.

დრამატული გამოდგა ქუთაისისა და სენაკის გუნდების მატჩი. ქუთაისელები სამი ბურთით იგებდნენ. შემდეგ „კოლხას" მეკარეც გაუძევეს და ვინაიდან სათადარიგო მეკარე არ ჰყავდათ, კარში ნიგერიელი **ბრაიან იდოუ** ჩადგა. მიუხედავად ამისა, სენაკელებმა მატჩის სათავისოდ შებრუნება მოახერხეს და პირველი წრე მეოთხე ადგილზე ჩაამთავრეს.

მეორე წრის დაწყებამდე გასამართი ორი გამოტოვებული მატჩი და თასის გათამაშების პირველი ეტაპია.

19 მარტი. ქარიშხალა

ალგო–ბურჯი 3:5

ალგო (თბილისი): გოგიშვილი, შერმადინი (1), მურილო (1), მარკოსი (2), კაკაბაძე, ჩალაძე, ფურცელაძე, მ. ტორონჯაძე (1), სიგუნავა. *მწვრთნელი:* ზაალ ჩიტალაძე

ბურჯი (თელავი): წვერიკმაზაშვილი, კობიაშვილი, დ. მაისურაძე, იმერლიშვილი, ბურდული, ონიაშვილი, მურველაშვილი, იმნაძე (1), კვკოშვილი (1), კვალიაშვილი, მეკოკიშვილი (1), თ. მაისურაძე. *მწვრთნელი:* ბესო აბულაძე

ჯუნგლები–კოლხა 3:4

ჯუნგლები (ქუთაისი): ბრეგვაძე, მამასახლისი, მარგველაშვილი (1), ბოდოკია, ბალანჩივაძე, ტყეშელაშვილი, მანაგაძე (1), შველიძე, უგულავა (1), ჩოგოვაძე. *მწვრთნელი:* ჯუმბერ კერესელიძე

კოლხა (სენაკი): ტორონჯაძე, ხლაბუსტოვი, დვალი (1), ლომსაძე, პირველი, ტეტუნაშვილი, ხმელიძე (3), იდოუ. *მწვრთნელი:* გაბრიელ ხოფერია

იბერია–თსუ 4:3

იბერია (თბილისი): აკოფოვი, ჯამბურია, კუბლაშვილი, ცნობილაძე, ალთუნაშვილი, რონი (3), სიდნეი, კლაუდიო, ძაბირაძე (1). *მწვრთნელი:* ვახტანგ წერეთელი

თსუ (თბილისი): გაბუჩია, ნიკოლაიშვილი, ბობოხიძე, სეფისკვერაძე (1), ბოკერია (2), დარჩია, ასათიანი, მაისაია, კობაიძე, ახალაძე, ჯაფარიძე, ხოსრუაშვილი. *მწვრთნელი:* ბესო არველაძე

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იბერია	8	8	0	0	73-11	24
2. ალგო	9	7	1	1	45-17	22
3. თსუ	9	6	2	1	74-26	21
4. კოლხა	8	4	2	2	58-32	14
5. ბურჯი	9	4	2	3	56-44	14
6. ქარიშხალა	9	3	4	2	54-31	13
7. უნივერსიტეტი	9	3	0	6	36-52	9
8. ჯუნგლები	9	2	1	6	56-52	7
9. ქართლი	8	0	0	8	11-75	0
10. მესხეთი	8	0	0	8	9-132	0

ბომბარდირები	
გიორგი პირველი (კოლხა)	30
სიდნეი (იბერია)	20
რონი (იბერია)	16
დავით ბურდული (ბურჯი)	14

გიორგი დარჯანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება თუ არა სკანდალი?

მაქსი ლოპესის პენალტი, რომელიც... პენალტს არ ჰგავდა

აბსურდის თეატრი ვერონაში

„კიევო"-„კატანიას" შეხვედრას იტალიურ სპორტულ მედიაში საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა. ალბათ გიკვირთ, რადგან არც „კიევოა" ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი და არც „კატანია" გახლავთ ევროპული ფეხბურთის გრანდი, მაგრამ ამ შემთხვევაში, სხვა ამბავთან გვაქვს საქმე.

აღნიშნულმა დაპირისპირებამ ჟურნალისტთა ყურადღება ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე მიიპყრო და თუ რატომ, ამას ახლავე აგიხსნით: მსოფლიოს ტოტალიზატორებში მატჩის ფრედ დასრულების კოეფიციენტი უჩვეულოდ დაბალი იყო, რაც იმის მანიშნებელია, რომ პაექრობის ფრედ დასრულების ალბათობა ძალიან მაღალია. როგორც წესი, საყაიმო შედეგზე ტოტალიზატორები მაღალ კოეფიციენტებს იძლევიან, რადგან ფრის გამოცნობა ერთობ რთული საქმეა. შესაბამისად, როდესაც ფრის კოეფიციენტი მკვეთრად ეცემა, ეს იმას ნიშნავს, რომ შეხვედრას ჩაწყობილის სუნი ასდის. სწორედ ეს აძლევდა „კიევო"-„კატანიას" დაპირისპირებას დამატებით ინტრიგას, ნამატჩევს კი თემის გავრცობის შესანიშნავი საბაბი გაჩნდა.

მატჩი ისე დასრულდა, როგორც ამას მთელი იტალია მოელოდა - ფრედ, 1:1. თუმცა ყველაზე საინტერესო შეხვედრის მიმდინარეობა, ან უფრო უპრიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ სცენარი გახლდათ. პაექრობა საკმაოდ ნელ ტემპში წარიმართა და ფეხბურთელებს ბრძოლის სურვილი დიდად არ ეტყობოდათ. აბსურდის თეატრი - ასე შეაფასეს აპენინელებმა **ანტონიო ჯანოკაროს** მსაჯობა. დიახ, მატჩის არბიტრმა და მისმა თანაშემწეებმა მართლაც რომ გაუგონარი გადაწყვეტილებები მიიღეს. გავიხსენოთ გოლები და ამაში თავადაც დარწმუნდებით. ანგარიში ვერონელებმა გახსნეს - თავი გუნდის საუკეთესო თავდამსხმელმა, **სერჯო პელისიერმა** გამოიჩინა. ის მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, თანაგუნდელის გრძელი გადაცემა დაამუშავა და მახვილი კუთხიდან მეკარეს შანსი არ დაუტოვა. მთავარი კი ის არის, რომ გადაცემის მომენტში ფორვარდი მინიმუმ 3-მეტრიან თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა და უბრალოდ წარმოუდგენელია, როგორ „ვერ შეამჩნია" ეს ლაინსმენმა, ან თუნდაც მთავარმა მსაჯმა. პელისიერის ეპიზოდის ფონზე, **მიროსლავ კლოზეს** მიერ „ფიორენტინას" კარში გატანილი გოლი გაცილებით ლეგიტიმური გახლდათ.

კიდევ უფრო გაუგონარი გოლი გავიდა „კიევოს" კარში. „კატანიას" ფორვარდი **მაქსი ლოპესი** მეტოქის საჯარიმოში საკუთარი ინიციატივით წაიქცა, რაც მატჩის არბიტრმა ან „ვერ შენიშნა", ან „არ შენიშნა" - უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი თავად „დაზარალებულმა" შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა. არადა, ლოპესი დაახლოებით სამ-ოთხ მეტრში იყო ყველაზე ახლოს მყოფი მცველისგან, როცა საკუთარ თავს... კვანტი დაუდო და გაზონზე გაიშხლართა. ვერონელებს მსაჯის გადაწყვეტილება დიდად არ გაუპროტესტებიათ, უფრო სწორად, ეს იყო პროტესტის იმიტაცია, რომელიც არბიტრთან რამდენიმე ფეხბურთელის უემოციო მირბენით გამოიხატა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ შეხვედრის ანგარიში თუ არა, შედეგი მაინც, წინასწარ იყო შეთანხმებული. ვნახოთ, რა გაგრძელება მოჰყვება ამ ამბავს...

ლაშა ნიკლაური

იუვენტუსი

ტურინული კატასტროფა: სად არის გამოსავალი?

„იუვენტუსი" რომ შავ დღეშია, ახალი ამბავი არ გახლავთ. **ალბერტო ძაკერონიმ** ერთი ხანობა თითქოს გამოაცოცხლა გუნდი, თუმცა რეალურ პროგრესს ვერ მიაღწია. ეგ კი არა, კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა და დღევანდელ მდგომარეობას თუ რამე სიტყვა შეეფერება, ეს გახლავთ - კატასტროფა. „ვეკია სენიორა" ევროპის ლიგიდან გამოვარდა და სერია A-ში მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა, რაც მართლაც რომ კატასტროფული შედეგია. ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ გუნდში მძიმე ფსიქოლოგიური განწყობაა, რაც ევროტურნირებიდან გამოვარდნამ განაპირობა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ისეთი ფეხბურთელებისთვის, როგორებიც **ალესანდრო დელ პიერო** და **ფაბიო კანავარო** არიან, მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა, ნაკლებად საინტერესოა. ეს კი არა, დიდია შანსი, მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები ძაკერონისაც შეექმნას, რომლის უმთავრესი მიზანი ტურინულ გრანდთან ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულების გაფორმება გახლდათ. წარსულში იმად ვამბობთ, რომ ევროპის ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ, ფაქტობრივად გამოირიცხა მოვლენათა ასეთი განვითარების შესაძლებლობა. ფაქტია, რომ ძაკმა „ბიანკონერის" კრიზისიდან გამოყვანა ვერ მოახერხა და მაქსიმუმ, რასაც ამ სეზონში შეიძლება მიაღწიოს, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა - ამას კი გმირობად ნამდვილად არ ჩაუთვლიან.


ალესანდრო დელ პიერო
განადგურებულია და სიტყვები არ ჰყოფნის...

სპორტული გაზეთები უკვე იმაზე წერენ, ვინ იქნება მომავალი სეზონიდან „იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი. ჯერ კიდევ აქტუალურია **მარჩელო ლიპის** ვარიანტი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, იტალიის ეროვნულ გუნდს გამოეთხოვება. მაესტრო აცხადებს, რომ სამწვრთნელო კარიერის დასრულებას აპირებს, მაგრამ ვინ იცის - ასეთი გადაწყვეტილება ხშირად შეუცვლიათ და აქტიურ სპორტშიც დაბრუნებულან. განიხილება **ჩეზარე პრანდელის** ვარიანტიც, თუმცა ამ უკანასკნელს უფრო „სკუადრა აძურას" მომავალს უკავშირებენ. ჩეზარემ არაერთხელ განაცხადა, ფლორენციაში თავს კარგად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებო, მაგრამ როდესაც ეროვნული გუნდის განვრთნაზეა ლაპარაკი, უარის თქმა წესით უნდა გაჭირდეს. თანაც, დიდი ალბათობით, „ფიორენტინა" ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, რამაც სერიოზული გავლენა უნდა იქონიოს პრანდელის საბოლოო გადაწყვეტილებაზე. დავუბრუნდეთ „იუვენტუსს" და დელ პიეროს მოვუსმინოთ, რომელიც მორიგი მარცხის ასახსნელად სიტყვებს ველარ პოულობს:

„არც კი ვიცი, რა ვთქვა და როგორ მოვუხადო ბოდიში გულშემატკივრებს. ძალიან ცუდი შედეგები გვაქვს, ფეხბურთში კი მთავარი სწორედ ტაბლოა. „სამპდორიასთან" პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, შემდეგ კი დაღლილობამ იჩინა თავი. თანაც, არა მარტო ფიზიკურმა, ფსიქოლოგიურმაც. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არსებული კრიზისიდან გამოსავალი ვიპოვოთ - ფაქტია, რომ მოტივაციასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები გვაქვს".

კიმენტიმ ხელი მოიტეხა

დაბოლოს, კიდევ ერთი ინფორმაცია „იუვენტუსის" ბანაკიდან. კვირას „სამპდორიასთან" წაგების (0:1) შემდეგ ხელი მოიტეხა მეკარე **ანტონიო კიმენტიმ**, რომელმაც გასახდელში დაბრუნების შემდეგ მაგიდას გაბრაზებულმა დაჰკრა მუშტი. „ნაპოლისთან" ზეგინდელ მატჩში „ბებერი ქალბატონის" კარს კვლავ **ალექს მანინგერი** დაიცავს.

ლაშა ნიკლაური

ესპანეთი

ლა ლიგა. XXVII ტურის რჩეულნი

ახალი სახელები სიმბოლურში

როდესაც სავსებით სერიოზულად განიხილავენ, ხომ არ არის „ბარსელონას" არგენტინელი ვარსკვლავი ლეო მესი პლანეტის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს, რომ ტურში, რომელშიც მესიმ ჰეთ-თრიკი შეასრულა, მას საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელებდნენ. Goal.com-მა ამჯერად 4-3-1-2 სათამაშო სქემა არჩია:

სესარ სანჩესი (ვალენსია): 38 წლის მეკარემ სასწაული რეაქციები გამოავლინა, მაშინ, როცა მატჩის ბედი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, სესარმა რამდენჯერმე იხსნა „ვალენსია".

ფელიპე მატიონი (მალიორკა): ბრაზილიელმა მარჯვენა მცველმა თავის ფლანგზე ჩინებულად გაართვა მოვალეობას თავი, შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა და ძალიან მაგარი გოლიც გაიტანა, დაუმუშავებლად მაღალ კუთხეში.

ივან გონსალესი (მალაგა): 22 წლის მცველმა უკვე დაიმსახურა „ლივერპულის", „რეალის" და „ატლეტიკოს" სკაუტების ყურადღება. „ვილიარეალთან" თითქმის ყველა საჰაერო დუელი მოიგო.

ალვარო არბელოა (რეალი): ათამაშეს საყვარელ პოზიციაზე - დაცვის მარჯვენა ფრთაზე. „სპორტინგთან" თამაშში აჩვენა, რომ ამ ფლანგზე უფრო კარგად გრძნობს თავს, ვიდრე მარცხენაზე. ძალიან კარგად ერთვებოდა შეტევებში და მწვავე ჩაწოდებებით ამარაგებდა „რეალის" ფორვარდებს.

გაბი მილიტო (ბარსელონა): აჩვენა მაღალი დონის თამაში, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტრავმით გამოწვეული ორწლიანი ჯოჯოხეთი დასრულებულია. როცა შეცვალეს, ყოფილი გუნდის ფანებმა ოვაციები მოუწყვეს.

გონსალო კოლსა (რასინგი): „ოსასუნას" ნახევარდაცვას გაუმკლავდა, არადა ეს ძალზე რთულია. 30 წლის ნახევარმცველმა შორიდან ძალიან მაგარი გოლი გაიტანა.

ნაბილ ბა (მალაგა): მაროკოელმა ფორვარდმა „ვილიარეალის" კარში დუბლი შეასრულა.

ჩაბი ალონსო (რეალი): ბასკი ბრწყინვალე ფორმაშია, ის ბრწყინვალედ ასრულებდა თავის მოვალეობას, იგებდა ბურთს „რეალის" ნახევარზე და ინყებდა „სამეფო კლუბის" თითქმის ყველა შეტევას. ლამის მარტო აკონტროლებს „რეალის" თამაშის ტემპს და მიმართულებას.

დავიდ სილვა (ვალენსია): „ალმერიას" წინააღმდეგ ჩინოს სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში გამოუვიდა. თითქმის ყველა შეტევა მან წამოიწყო ან აქტიური მონაწილეობა მიიღო. მის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია.

პაბლო ოსვალდო (ესპანიოლი): არგენტინული წარმოშობის იტალიელმა, რომელიც „ბოლონიიდან" იჯარის წესით იმყოფება კატალონიაში, ანდრეს პალოპის კარში დუბლი შეასრულა.

ლეო მესი (ბარსელონა): უკომენტაროდ, ტურის საუკეთესო ფეხბურთელი.

სხვები, რომელთა აღნიშვნაც გვსურდა: **დიეგო ალვეში** (ალმერია), **დანი ალვეში** (ბარსელონა), **ივან რამისი** (მალიორკა), **ევერ ბანეგა** (ვალენსია), **ხოსე კალეხონი** (ესპანიოლი), **გონსალო იგუაინი** (რეალი), **ვიქტორი** (მალირკა).

ნიკოლოზ ნეფარიძე

რჩეულები ბარსადან, მილიტო და მესი


ნავასის გარეშე სევილია ნახევარი გუნდია

მსოფლიოს ჩემპიონატი ევროპულ ლიგებს აჩქარებს და „ბებერ კონტინენტზე" პირველივე შესაძლებელ პაუზას ავსებენ მორიგი ტურებით. დღეს-ხვალ ლა ლიგაში 28-ე ტურის მატჩები გაიმართება. დღეს ხიხონის „ელ მონინონზე" და სევილიის „რამონ სანჩეს პისხუანზე" ორი შეხვედრა გაიმართება.

„სევილიას" ცუდი დროება უდგას: ფიასკო ჩემპიონთა ლიგაზე, წარუმატებლობა ჩემპიონატში... კიდევ უფრო ცუდი ამბები მოდის გუნდის ლაზარეთიდან, წინა ტურში დაშავებული ესპანეთის ნაკრების ვინგერი **ხესუს ნავასი** მომდევნო 4 კვირას გამოტოვებს კოჭის ტრავმის გამო. ესპანეთის ნაკრებში უკვე შეშფოთებულნი არიან, ნავასის ტრავმის გამო და „სევილიას"

XXVIII ტურის წინ

სევილია კოჭში დაჭრეს

ურჩევენ, ვინგერი ნაადრევად არ დააბრუნონ მოედანზე და ამით მის სამსოფლიოჩემპიონატო პერსპექტივას ხაზი არ გადაუსვან.

კოჭი აწუხებს **ლუიშ ფაბიანოსაც**, რის გამოც მან წინა ტურის მატჩი გამოტოვა, ტრავმირებულია **აბდულაიე კონკოც**. „სევილიას" მეტოქე „ხერესიც" გატანჯა ტრავმებმა, **მენდოსა** და **სიდი კეიტა**, სავარაუდოდ, ვერ ითამაშებენ. მარჯვენა მცველი **რედონდო** კი დისკვალიფიცირებულია.

სავარაუდო შემადგენლობები

სევილია (4-4-2): პალოპი - სტანკევიჩიუსი, დრაგუტინოვიჩი, ფასიო, ნავარო - ადრიანო, ზოკორა, რომარიჩი, პეროტი - ნეგრედო, კანუტე.

ხერესი (4-4-2): ჩემა - სანჩესი, ხიოდა, აიტამი, კასადო - კალვო, ბერგანტინიოსი, მორენო, მომო - ბერმეხო, მიჩელი.

ლაკორუნიელები ხიხონს ეწვევიან. წინა ტურში ორივე გუნდმა წარუმატებლად იასპარეზა. „დეპორტივოს" „სპორტინგთან" მატჩში დისკვალიფიკაციამოხდილი **ლაურე** და **ანტონიო ტომასი** უბრუნდებიან, **რიკიმ** კი ვარჯიში განაახლა.

სავარაუდო შემადგენლობები

სპორტინგი (4-2-3-1): ხ. პაბლო - ლორა, ბოტია, გრეგორი, კანელია - რივერა, კამაჩო - მორანი, დე ლას კუევასი, კასტრო - ბარალი.

დეპორტივო (4-2-3-1): არანსუბია - პაბლო, ლოპო, კოლოტო, ლაურე - როდრიგესი, ტომასი - დომინგესი, ალვარესი, გუარდადო - ადრიანი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ვესტ ჰემი


სლავენ ბილიჩი

ბრძოლა ძოლას ადგილისთვის

ამბობენ, რომ „ვესტ ჰემის" მომავალი მწვრთნელი ხორვატი **სლავენ ბილიჩი** იქნება. ლონდონში კი ამტკიცებენ იმ შემთხვევაშიც კი თუ „ჩაქუჩები" გავარდნას გადარჩებიან, გუნდის ახლანდელი თავკაცი **ჯანფრანკო ძოლა** თანამდებობიდან მოხსნას ვერ გადარჩება. ეს ამბავი არც თავად ძოლასთვის არის უცხო. რაც „ვესტ ჰემის" მესაკუთრეები **დევიდ სალივანი** და **დევიდ გოლდი** გახდნენ, იტალიელის თითოეული ნაბიჯი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშაა. რაც შეეხება ბილიჩს, ის, მოგეხსენებათ, ფეხბურთელობისას სწორედ „ჩაქუჩთა" გუნდში თამაშობდა და როგორც შინაური, სალივანსა და გოლდს ძოლას სავარაუდო შემცვლელთა სიის სათავეში უწერიათ.

ჟურნალისტების აზრით „ვესტ ჰემის" ახალი პატრონებისთვის ბილიჩზე სასურველი კანდიდატი „მანჩესტერ სიტიდან" გაშვებული უელსელი **მარკ ჰიუზი** იქნებოდა, მაგრამ რამდენადაც ცნობილია, ის დიდი კლუბიდან ელოდება შემოთავაზებას - თავი „ვესტ ჰემისთვის" არ ემეტება.

კიდევ ერთი მწვრთნელი, ვინც შეიძლება სალივანისა და გოლდის მიწვევით სამსახურს შეუდგეს, ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი **სტივ მაკლარენია**. „ჩაქუჩების" ახალ მეპატრონეებს ძალიან მოსწონებიათ, როგორ უძღვება მაკლარენი ჰოლანდიურ „ტვენტეს". სხვა საქმეა, რომ მაკლარენს ინგლისში დაბრუნება მაინცდამაინც არ სურს, ასე რომ, ფავორიტად ბილიჩი რჩება.

წელიწად-ნახევრის წინ, როდესაც „ვესტ ჰემიდან" **ალან კერბიშლი** მიდიოდა, კლუბის მაშინდელი ხელმძღვანელები ბილიჩის გადაბირებას ცდილობდნენ, მაგრამ ხორვატიის ეროვნული გუნდის თავკაცს იმდენი ვერ შესთავაზეს, სამშობლო რომ მიეტოვებინა და ლონდონს გადაბარგებულიყო. დღეს ბილიჩი მზად არის სანაკრებო ფეხბურთს თავი დაანებოს და საკლუბო ორომტრიალში გადაეშვას. ის ამბობს, რომ ინგლისის გარდა სიამოვნებით იმუშავებდა გერმანიაშიც, თუმცა საკლუბო ფეხბურთში მუშაობის გამოცდილებით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის. ერთადერთი გუნდი, რომელსაც ის ცოტა ხანს სათავეში ედგა სპლიტის „ჰაიდუკია".

ცნობილია, რომ ბილიჩი რთული ხასიათის ადამიანია, რაც გოლდსა და სალივანს განსაკუთრებით მოსწონთ. სავარაუდოდ, ბილიჩის გასამრჯელო ძოლასაზე მეტი იქნება იტალიელი კი წელიწადში 1,9 მილიონ ფუნტს იღებს.

გამოხმაურება

ფერგი: ჩვენ ვაკაკუნებთ

სერ ალექს ფერგიუსონმა ომახიანად შემოსძახა, რომ ამიერიდან „მანჩესტერ იუნაიტედი" პრემიერლიგის ტიტულის ხელიდან გაშვებას აღარ აპირებს - ინგლისის ზედიზედ სამგზის ჩემპიონმა, რომელიც სარეკორდო მეოთხე ტრიუმფისკენ მიიწევს, „ჩელსი" უკვე 4 ქულით ჩამოიტოვა. კვირას „ლურჯებმა" ბლექბერნში 1:1 ითამაშეს, ფერგიუსონის შეგირდებმა კი შინ „ლივერპულს" მოუგეს 2:1. გადამწყვეტი გოლი **ჟი სუნ პარკმა** თავური დარტყმით გაიტანა. ფერგიმ თქვა:

„ჩვენ ჩემპიონატის იმ ეტაპზე შევაბიჯეთ, სადაც ყველა თამაშს სახელად „უნდა მოვიგო" ჰქვია. ბოლო თვეების განმავლობაში ძალიან თანამიმდევრულნი ვიყავით, თუმცა, ვფიქრობ, ჩემპიონობისთვის ბრძოლას ჯერ არავინ გამოჰკლებია. ჯერ ყველა კონკურენტი დაჟინებით აკაკუნებს პრემიერლიგის კარზე. ჩვენი დიდი პლუსი ის არის, რომ ნემანია ვიდიჩი და რიო ფერდინანდი დაგვიბრუნდნენ. ეს ფეხბურთელები მთელი სეზონის განმავლობაში ტრავმებს იმუშებდნენ, ახლა კი გამოჯანმრთელდნენ და დიდ ძალას გვმატებენ. გაძლიერების შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენი შანსიც იზრდება".

თუმცა, „ჩელსიზე" ლაპარაკი ინერციასა და ამ სეზონის სტერეოტიპს უფრო ჰგავს, ცხრილში კი „იუნაიტედსა" და დასავლეთლონდონელებს შორის ლინდონის სხვა გუნდი, „არსენალია". „მეთოფეები" ფერგიუსონის გუნდს ორად ორი ქულით ჩამორჩებიან.

„ლივერპულთან" შეხვედრაში, მოგეხსენებათ, მანჩესტერელებმა თავი იმითაც გამოიჩინეს, რომ ჩამორჩენა აღმოფხვრეს და ისე გაიმარჯვეს. „ოლდ ტრეფორდზე" გამართულ შეხვედრაში ანგარიში მერსისაიდელთა ესპანელმა თავდამსხმელმა **ფერნანდო ტორესმა** გახსნა, მაგრამ პასუხად ჯერ **უეინ რუნიმ** გაიტანა, ბოლოს კი ზემოხსენებულმა **პარკმა**.

ფერგიუსონმა დასძინა: *„პერიოდულად თამაში ჩვენს სასარგებლოდ აეწყობოდა ხოლმე. ამ მონაკვეთებში აღმაფრენით ვთამაშობდით, მაგრამ იყო მონაკვეთები, როდესაც თავდადებითა და შავი მუშაობით გვიხდებოდა მდგომარეობის შენარჩუნება. როდესაც მოწინააღმდეგე დაწინაურდება და შენ საქმე გამოსასწორებელი გაქვს, ყოველთვის ძნელია. ამის გაკეთებას მაღალი დონის ოსტატობა სჭირდება და „მანჩესტერ იუნაიტედს" ეს ოსტატობა სწორედ რომ აქვს. გოლის გაშვება გულსატკენი გახლდათ. ჩვენმა მცველებმა ტორესი უმეთვალყუროდ დატოვეს, მაგრამ ბიჭებმა ამ შოკს თავი დააღწიეს და ყველაფერზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის".*

სერ ალექს ფერგიუსონი საჩემპიონო განწყობაზეა

მკვლელები და თვითმკვლელები

პრემიერლიგის ყოველ ტურს მსაჯობის კუთხით, მოგეხსენებათ, ფიფას ყოფილი არბიტრი **გრემ პოლი** მიმოიხილავს. ამჯერადაც გვსურს მისი ნააზრევი შემოგთავაზოთ. პოლი წერს:

მოდი, კითხვა-პასუხით დავიწყოთ: ვინ იყო ის მსაჯი, ვინც შაბათს „არსენალისა" და „ვესტ ჰემის" შეხვედრაში მოედნიდან „მეთოფეთა" მცველი **ტომას ვერმაელენი** გააგდო? თქვენ მართალი ბრძანდებით, ეს იყო **მარტინ ატკინსონი**. მაშინ, მოდი, მისი თანაშემწეებიც ჩამოვთვალოთ... უფრო ძნელი საქმე გამოდგა, არა? მაშინ, მოდი, „ასტონ ვილასა" და „ვულვზის" შეხვედრის მსაჯი და თანამსაჯები დავასახელოთ. მსაჯი **მარკ კლეტენბერგი** გახლდათ. თანამსაჯები? კვლავ ვერ ასახელებთ...

აი, ასეა! მსაჯებს უყვართ თქმა, არბიტრს თვითმკვლელობა ეხერხება, თანამსაჯს კი მკვლელობაო. როდესაც ეგრეთ წოდებული ლაინსმენი ცდება, პასუხისმგებლობას... მსაჯს აკისრებენ. ხშირად გინახავთ თანამსაჯი მწვრთნელების რისხვის საგანი გამხდარიყო? პრესაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი, მასმედია მსაჯთა ასისტენტებს ათასში ერთხელ თუ ახსენებს. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ბრალი ყოველთვის და ყველაფერში შუა ხალხს ედება, პრემიერლიგის ბოლო ტურმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეს ხალხი თავისი საქმის დიდი პროფესიონალია და პატივისცემას იმსახურებს.

ახლა, გავიხსენოთ, რა მოხდა „ემირეიტ სთედიუმზე". თამაში ისეთ ტემპში მიმდინარეობდა და „ვესტ ჰემის" კონტრშეტევა ისე სწრაფად განვითარდა, რომ ატკინსონს აშკარად ვერ უნდა დაენახა, წააქცია თუ არა ვერმაელენმა **გილერმო ფრანკო**. ამ ეპიზოდში გადამწყვეტი როლი თანამსაჯმა **ფილ შარპმა** ითამაშა. მან დროშა აღმართა და ატკინსონმაც ამის მიხედვით მიიღო გადაწყვეტილება - ვერმაელენი გააგდო და პენალტიც დანიშნა. სამწუხაროდ, იმავე თანამსაჯმა, უშუალოდ პენალტის დარტყმის დროს აღარ მიაქცია ყურადღება „არსენალის" მეკარის **მანუელ ალმუნიას** პოზიციას, იდგა თუ არა ის კარის ხაზზე. ვინ იცის, ალმუნია წესის შესაბამისად ხაზზე რომ მდგარიყო, მას **ალესანდრო დიამანტის** პენალტი ვერც აელო.

„ვილა პარკზეც" ყველაფერი თანამსაჯებმა გადაწყვიტეს. უპირველეს ყოვლისა პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი არბიტრი **დეივ ბრაიანი** შეცდა - **იონ კარეუმ** პირველი გოლი რომ გაიტანა ოფსაიდში იდგა. ეს გახლდათ მარტივი ეპიზოდი, რომელშიც თანამსაჯი წესით ხელადვე უნდა გარკვეულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ამიტომაც იყო ორმაგად სასიამოვნო, როგორ გაერკვა სხვა სიტუაციაში **სტივ ჩაილდი** „ვილას" მეორე გოლის დროს - ეს გაცილებით რთული ეპიზოდი გახლდათ.

ტომას ვერმაელენი

ახლა კიდევ ერთ საკითხზე: რთულ და გადამწყვეტ ეპიზოდებში მსაჯებს დიდი სიმძიმე აწვებათ. მათ უნდა დააშოშმინონ ფეხბურთელები, განმუხტონ და განმარტონ ვითარება, მიიღონ სწორი გადაწყვეტილება... სწორედ ამიტომ, ასეთ დროს თანამსაჯს ევალება ცალი თვალით გააკონტროლოს განახლდება თუ არა თამაში იმ ადგილიდან, სადაც შეწყდა. ვფიქრობ, **ალან უაილი** ძალიან ცუდ გუნებაზე დადგებოდა, როდესაც შეიტყობდა ან ჩანაწერში ნახავდა, რომ „ევერტონისა" და „ბოლტონის" შეხვედრაში არც ერთმა ასისტენტმა არ უთხრა, რომ მას მერე, რაც **აიეგბენი იაკუბუ გრეტარ სტეინსონმა** წააქცია, **მიკელ არტეტამ** ბურთი რამდენიმე მეტრით წინ დადო და ისე დაარტყა ჯარიმა - ამ ჯარიმით ლივერპულელებმა ანგარიში გახსნეს.

ჰოდა, როდესაც წინა ტურისასაც გახსენებენ და გეუბნებიან, რომ ჰალში „არსენალის" სტუმრობის დროს, იმ ეპიზოდში, როდესაც **სოლ კემპბელი** გააფრთხილეს და მასპინძლების სასარგებლოდ პენალტი დანიშნეს, თანამსაჯს გამოეპარა, რომ **იან ვენეგოორი** ოფსაიდში იდგა, ხვდები, რომ მკვლელებსა და თვითმკვლელებს შორის მართლა დიდი განსხვავებაა.

რედნაპის ტურიზმი

გთავაზობთ, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, დღეს გაზეთ „დეილი მეილის" მიმომხილველის ჯეიმი რედნაპის მიმოხილვას, რომელიც ავტორს ამჯერად მოკლე ქვეთავებად აქვს დაყოფილი. მიმოხილვა პრემიერლიგის ბოლო ტურს ეხება და იმ თემებს ასახავს, რომლებიც რედნაპს გასულ უქმეებზე ყველაზე მეტად მოხვდა თვალში.

დაანებეთ ჯერარდს თავი

ნურავინ მიწყენს, მაგრამ **სტივენ ჯერარდმა** კიდევ ცუდად ითამაშა, თუმცა, ვფიქრობ, რომ მისთვის კარგად თამაშის პირობები არ შეუქმნიათ. ამაში „ლივერპულის" მწვრთნელს **რაფა ბენიტესს** ვადანაშაულებ. ზუსტად ვერ დავთვალე, რამდენ პოზიციაზე ითამაშა სტივიმ „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ. მგონი სამზე ან, შეიძლება, ოთხიც იყო. მწვრთნელები თავიანთ საუკეთესო ფეხბურთელებს ასე არ უნდა ექცეოდნენ. მიეცით მას საყრდენი პლატფორმა, ენდეთ და ნახავთ, როგორც ითამაშებს. ბოლოს და ბოლოს ისე ნუ გველაპარაკებით, თითქოს საქმე ეხებოდეს კაცს, რომელსაც თავისი დონე და ოსტატობა ადრე არ დაუმტკიცებია.

ნახევარდაცვის ურჩხულები

დიახ, ჯერარდი არ ვარგოდა. სამაგიეროდ, საუცხოოდ ითამაშა „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა **დარენ ფლეტჩერმა**. დახეთ, რა საინტერესო ფაქტია: „იუნაიტედმა" „ლივერპულთან" ბოლო სამი შეხვედრა რომ წააგო, ფლეტჩერი არ თამაშობდა. კვირას, „ოლდ ტრეფორდზე" თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ფლეტჩერი ინგლისის ჩემპიონისთვის საკვანძო ფიგურად ჩამოყალიბდა. და კიდევ ერთი მანჩესტერელი ნახევარმცველი, რომელმაც ამ ტურში ჩემი ყურადღება მიიპყრო **პატრიკ ვიეირა** გახლავთ, „სიტიდან". ფრანგმა „ფულჰემთან" ისე ითამაშა, ძველი დრო გამახსენდა.

ეძიეთ ტალანტი

ვინმე თუ გაიხსენებს, როდის იყო ბოლოს, პრემიერლიგის კლუბმა ნიჭიერი ფეხბურთელის მოსაძებნად დაბალ ლიგებში რომ ჩაიხედა? როდესაც „ვულვზმა" „ჯილინგემისგან" მილიონის ყოფილი შეგირდი **მეტ ჯერვისი** შეიძინა, ამ ამბავს სატრანსფერო ცნობებში პირველი პოზიცია აშკარად არ ეჭირა. არადა, სტილით ჯერვისი ძველებური გარემარბია, რომელიც აუტის ხაზის პარალელურად დარბის და თავის გუნდს სახიფათო მომენტებით ამარაგებს.

შეხედეთ კარეუს

ნამდვილად არ ვისურვებდი იმ ცენტრალური მცველის ადგილზე ყოფნას, რომელსაც **იონ კარეუს** მეურვეობას დაავალებენ. რასაკვირველია, შევამჩნიე, „ვილა პარკზე" ერთ-ერთი გოლის გატანაში თანამსაჯი რომ „წაეხმარა" - ოფსაიდი ვერ შეამჩნია, მაგრამ ეს კაცი მანქანასავითაა. როდესაც ბურთი ჰაერშია, ეჭვი არ შეგეპაროთ, მას კარეუ დაეუფლება და მცველებს წაგებული პოზიციიდანლა მართებთ წვალება - დაკარგული ბურთის დაბრუნებაზე უნდა იფიქრონ. თუმცა, **გებრიელ აგბონლაჰორის** გარეშე „ვილა" მაინც ერთგანზომილებიანია.

ინგლისური გოლები

სანდერლენდელმა **დარენ ბენტმა** ორი გოლი გაიტანა და ახლა, ყველა შეჯიბრებაში ერთად 20 აქვს შეგდებული. ეს რას ნიშნავთ, იცით? იმას, რომ საუკეთესო ბომბარდირთა სიაში პირველი ოთხი კაციდან სამი ინგლისელია: ხსენებული ბენტი, **უეინ რუნი** და **ჯერმაინ დეფო**. ამ ხალხს შორის ერთადერთი უცხოელი ურევია, **დიდიე დროგბა**. რასაკვირველია, თავდამსხმელების ასეთი აქტიურობა მსოფლიოს ჩემპიონატის წელიწადს, ინგლისის ნაკრების მწვრთნელის **ფაბიო კაპელოსთვის** კარგია, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში გასამგზავრებლად ბენტს მაინც მეტი მართებს.

რა ეშველებათ ჩაქუჩებს?

გავარდნის ერთ-ერთმა კანდიდატმა „ვესტ ჰემმა" ზედიზედ ოთხი თამაში წააგო. ახლა, ამ გუნდს „ვულვზთან" აქვს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომელშიც ნაღდი პრემიერლიგური ფეხბურთი უპირველეს ყოვლისა ორმა ვარსკვლავმა **სკოტ პარკერმა** და **კარლტონ კოულმა** უნდა ითამაშონ. სხვათა შორის, ეს სწორედ ის ორი ფეხბურთელია, რომელთაც, რატომღაც, „არსენალთან" შეხვედრა გამოატოვებინეს. ნეტავ, საუკეთესო შემადგენლობით რომ ყოფილიყვნენ „ჩაქუჩები" ათკაციან „არსენალთან" მაინც ნააგებდნენ?

გუდNEWS

ეიდურ გუდიონსენი ჭკვიანი ფეხბურთელია. იგი **უეინ რუნის** მსგავსად თავდამსხმელისა და ნახევარმცველის პოზიციებს შორის მოქმედებს და ეს ძალიან კარგად გამოსდის. ეჭვი არაა, ის „ტოტენჰემის" ბრძოლაში დიდ როლს ითამაშებს, რაც „სტოკთან" შეხვედრაშიც ძალიან კარგად გამოჩნდა. მან პირველი გოლიც ოსტატურად გაიტანა და მეორე ეპიზოდშიც ჩინებული ასისტენტობა გასწია. დარწმუნებული ვარ, კიდევ მეტს შეძლებს.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ბორდო ტიტულს უახლოვდება

ორი ოლიმპიკის ჯახი ტაივოს ყუმბარამ გადაწყვიტა

წამის წინ ტაივომ გამარჯვებისა დაარტყა

„ბორდომ“ 10-კაციან „ლილთან“ თამაშის ჩარხის შემოტრიალება შეძლო და 29-ე ტური დაასრულა იმავე ადგილზე, რომელზეც დაიწყო - პირველზე. „ველოდრომზე“ კი ფრანგულ ტიტანთა ჯახში მარსელის „ოლიმპიკი“ გამოვიდა გამარჯვებული - 2:1. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში სიცხადე ვერც ამ ტურმა შეიტანა, უბრალოდ, ტიტულის მფლობელის პატარა უპირატესობა სხვებთან შედარებით მცირედით გაიზარდა.

მართალია, „ბორდომ“ წინა სამ მატჩში მხოლოდ ორი ქულა მოაგროვა, მაგრამ ჟირონდული კლუბი უშუალო კონკურენტ „ლილს“ მაინც დიდებული განწყობით დაუხვდა, **ლორან ბლანის** გუნდს ჩემპიონთა ლიგისეულმა წარმატებამ ფრთები შეასხა. „სტად შაბან დელმაზე“ ყველაფერი მასპინძელთათვის ცუდად დაიწყო. ტაიმის შუა წელზე „ბორდომ“ გოლი გაუშვა. **მიშელ სიანიმ** ცუდი პასი მიაწოდა **ლუდოვიკ სენეს** და **ფლორან ბალმონმა** მალევე მოძებნა **ედენ ჰაზარდი**, ბელგიელ თინეიჯერსაც არ გასჭირვებია საჯარიმოში მარცხნიდან შესვლა და **სედრიკ კარასოსთან** დუელის მოგება - 0:1. „ბორდო“ ეგრევე მეტოქის შტურმზე გადავიდა, **გურკუფის** ჩაწოდებულს სიანი თავურით გამოეხმაურა, მაგრამ ოდნავ ააცილა კარს, შემდეგ კი **ჟუსიეს** დარტყმული **მიკაელ ლანდრომ** მოიგერია. ტაიმის დასრულებას ხუთი წუთი უკლდა, როცა „ბორდომ“ გაათანაბრა, სტუმართა მცველებმა ხეირიანად ვერ გამოიტანეს ბურთი საჯარიმოდან და სიანიმ ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა - 1:1.

მეორე ტაიმში „ბორდოს“ შეტევები გაგრძელდა, 65-ე წუთზე იოან გურკუფმა შორიდან ძლიერად დაარტყა, ლანდრომ ბურთი მოიგერია, მაგრამ მასთან პირველი **მარუან შამახი** გაჩნდა, რომელიც **რიკარდო კოშტამ** ჭიდაობის ილეთით გააჩერა. პორტუგალიელმა მცველმა თვალწინ წითელი ბარათი იხილა, ჟუსიემ კი პენალტის ნიშნულიდან გაიტანა. მალე „ლილმა“ მესამე გოლიც გაუშვა, შამახმა და **ვენდელმა** ბრწყინვალე კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც გურკუფის დარტყმით დასრულდა - 3:1.

ასე მოიგო ჩემპიონმა ძალზე მნიშვნელოვანი დაპირისპირება.

ლორან ბლანი (ბორდო): *„მოხარული ვარ ამ გამარჯვებით, მაგრამ მატჩის დასაწყისი აშკარად ჩავაგდეთ. ჩვენი თამაში თავიდან ჩემთვის ერთდროულად გაურკვეველი და მიუღებელი იყო. 30 წუთის განმავლობაში მაგრად გვაჯობეს, უხეშმა შეცდომამ კი „ლილს“ ანგარიშის გახსნის საშუალება მისცა. ამ დროს 3-4 ფეხბურთელი საერთოდ გამოთიშული იყო მინდორზე მიმდინარე ბატალიიდან, 7-8 კაცით კი თამაშს ვინ მოიგებს. ეტყობა, ცუდად მოვემზადეთ და ჩემპიონთა ლიგის მატჩმაც იქონია გავლენა ამაზე. ბრწყინვალედ ითამაშა იოან გურკუფმა, რომელმაც ბევრი საგოლე მომენტი შექმნა. ბოლოს თამაში გამოვასწორეთ, თუმცა ნამდვილ „ბორდომდე“ მაინც ბევრი გვიკლდა“.*

რუდი გარსია (ლილი): *„პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ქულების წამოღებისთვის. ორელიან ჩედჯუს ტრავმამ ძალზე იმოქმედა გუნდის თამაშზე, შემდეგ კი რიკარდო კოშტას გაძევებამ. ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ 9 ტური დარჩა და ჯერ არაფერი გადაწყვეტილა“.*

„ველოდრომზე“ თამაშის დასრულებამდე ცხრა წუთი რჩებოდა, გუნდები ქულებს იყოფდნენ, როცა **ტაიე ტაივომ** ყუმბარისებური დარტყმით „მარსელს“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა. პირველ წრეში ამ ორმა გუნდმა ლიონში თამაში-საოცრება აჩვენა, მატჩი 5:5 დასრულდა, შეხვედრაში კი ერთმანეთზე უკეთესი გოლები გავიდა, ბუნებრივია, მას არც დრამატიზმი აკლდა. ასეთივე ტიპის თამაში ველარ გამოვიდა, თუმცა „ველოდრომული“ მეორე ტაიმიც კარგი სანახავი გამოდგა.

დაიწყო თამაში და მთავარი მოვლენები **სტივ მანდანდას** კართან დატრიალდა, „ლიონი“ ანგარიშის გახსნას ეშურებოდა. სახიფათოდ ურტყამდნენ **მირალემ პიანიჩი, კიმ კალსტრიომი** და **სესარ დელგადო**. პირველმა შტორმმა რომ გადაიარა, „მარსელმა“ თამაში გაათანაბრა - ტრავმირებული **ბენუა შეირუს** ნაცვლად მოთამაშე **შარლ კაბორემ** საჯარიმოში **ლუჩო გონსალესი** მოძებნა, მაგრამ არგენტინელმა ოდნავ ააცილა **უგო ლორისის** კარს.

მეორე ტაიმი ისევ „ლიონის“ შეტევებით დაიწყო. პიანიჩს სულ ცოტა დააკლდა გატანამდე, მანდანდა და „მარსელი“ ხარიხამ იხსნა. ანგარიში კი მასპინძლებმა გახსნეს, კაბორემ ბურთი მოედნის ცენტრის სიახლოვეს მიიღო, წინ წაიწია და ძალიან ძლიერად დაარტყა, ბურთი კალსტრიომის ფეხს მოხვდა და რიკოშეტით გავიდა სტუმართა კარში. **კლოდ პუელმა** მოედანზე **ბაფეტიმბი გომისი** შემოიყვანა და ფორვარდმაც უმალ გაუმართლა, კალსტრიომის ჩაწოდების შემდეგ თავურით ანგარიში გაათანაბრა - 1:1. „მარსელის“ პასუხმაც არ დაახანა - მარცხნიდან კუთხური მოაწოდეს, „ლიონის“ მცველებმა ბურთი ვერ გამოიტანეს უხიფათო ადგილას და ტაივომ ძალიან ძლიერი დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა - 2:1.

დიდიე დეშამი (მარსელი): *„ხუთშაბათის მატჩისგან განსხვავებით შეცვლები გავაკეთე, რადგან ძალზე გვჭირდებოდა დასვენებული ფეხბურთელები, განსაკუთრებით შეტევის ხაზში. მართალია, კაბორეს შეირუს კლასი არა აქვს, მაგრამ ის ძალზე გამოგვადგა. კარგია, როცა ფორვარდებს ვერ გააქვთ მცველები რომ ყოჩაღობენ. ტაივოს ამ სეზონში ვერ ვცნობდი, თუმცა დღეს ნამდვილი ტაივო ვიხილე მოედანზე“.*

კლოდ პუელი (ლიონი): *„ამ თამაშიდან ქულა გვეკუთვნოდა. ძალიან სამწუხაროა. არადა ბრწყინვალედ დავიწყეთ თამაში. საერთო ჯამში, თანაბარი თამაში იყო, რომელიც ლოგიკური შედეგით არ დამთავრდა“.*

„მონპელიემ“ 2:1 მოუგო „ვალანსიენს“ და „ბორდოს“ კვლავ გაუთანაბრდა ქულებით (თუმცა მატჩით მეტი აქვს გამართული). სტუმართა კარში გოლები **ვიქტორ უგო მონტანიომ** და **ჟორის მარვომ** გაიტანეს.

რენე ჟირარი (მონპელიე): *„გული და სული ჩავდეთ ამ მოგებაში, არადა ბევრი ტექნიკური წუნიც გვქონდა, მაგრამ თავდადებამ თავისი გაიტანა. ჩვენს კონკურენტთა ნაწილს ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა, ეს უპირატესობა კი უნდა გამოვიყენოთ მომავალში, ჩემპიონატის დასრულებამდე ხომ ჯერ 9 ტური რჩება“.*

„ოსერმა“ საკმაოდ დრამატულ ბრძოლაში მოუგო „ლე მანს“ და 55 ქულით მესამეა. **გიორგი მაკარიძისა და ამირან სანაიას** გუნდმა 91-ე წუთზე გაათანაბრა (**ჰელსტადი**), მაგრამ **ბენუა პედრეტიმ** გამარჯვების გოლის გატანა მაინც მოახერხა - 2:1.

მას შემდეგ, რაც „ნიცას“ თავკაცობა **ერიკ რომამ** ჩაიბარა, რომელმაც **დიდიე ოლე-ნიკოლი** შეცვალა, გუნდს 100-პროცენტიანი შედეგი აქვს. ჯერ „ლე მანი“ დაამარცხა, ახლა კი „ნიცამ“ „პარი სენ ჟერმენი“ შეიწირა - 1:0.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

მომდევნო ტური

26 მარტი. ლიონი-გრენობლი. 28 მარტი. სოშო-მარსელი, ვალანსიენი-ბორდო, ლე მანი-რენი, ლორიანი-სენტ ეტიენი, ნანსი-ლანსი, პსჟ-ბულონი, ტულუზი-ნიცა, ლილი-მონპელიე. 29 მარტი. მონაკო-ოსერი.

ოსერი-ლე მანი 2:1

ოსერი (4-2-3-1): სორენი - ენგბარი, კულიბალი, გრიხტინგი, დუდკა - პედრეტი, ნდინგა - ოლიეჩი, ნიკულაე (72. კაპუე), ბირსა (58. შაფნი) - ჟელენი (87. კონტუტი).

ლე მანი (4-4-2): ოვონო - კორჩია, ანდრადე, სერდანი, ბაალი - დოსევი (80. ჰელსტადი), ნარი, ტომასი (83. აბდი), ლამა (74. სისე) - ლე ტალეკი, მაიგა.

გოლები: 1:0 ჟელენი (25), 1:1 ჰელსტადი (91), 2:1 პედრეტი (92)

გაფრთხილება: 2-4; **კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 8-17 (5-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 10 159

ბულონი-ლორიანი 2:0

ბულონი (4-3-3): ბედენიკი - ლეკონიტი, ბელაი, სუმარე, ლევეკი - დიუკატელი, აგუაზი, მარკი (65. და როშა) - კაპო (65. იატაბარე), მუსილუ (86. რობერი), კუვილიე.

ლორიანი (4-4-2): ოდარი - ბაკა (77. ჟუფრე), მარშალი, კოშილნი, ლე ლანი - ამალფიტანო, მვუემბა, დიუკასე, დიუბაბრიე (46. დიარა) - გამეირო, ვაირუა (62. ფანშონი).

გოლები: 1:0 მარკი (13), 2:0 კოშილნი (52-საკ. კარში)

გაფრთხილება: 3-2; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 12-10 (4-3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

მაყურებელი: 11 847

გრენობლი-მონაკო 0:0

გრენობლი (4-4-1-1): ვივიანი - სოჟე, სესარი, ვიტკაიჩი, რობენი - რავე (79. კურტუა), დიოზი, რომაო, მაცუი (67. აკრური) - ბოია - ლიუბოია (81. ლე კრომი).

მონაკო (4-2-3-1): რუფიე - მოდესტო, ნკულუ ნდუბენა, პიუგრენიე, ტრაორე - პერესი, მანგანი - მოლო, ჰარუნა (78. კუტადო), ნენე (68. მურატორი) - პარკი (62. მააზუ).

გაძევება: ვივიანი (80. გრენობლი)

გაფრთხილება: 3-2; **კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 24-21; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 11-13 (4-3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

მაყურებელი: 12 949

ნიცა-პსჟ 1:0

ნიცა (4-3-3): ოსპინა - კულიბალი, აპამი, პეისლი, გასე - ფაე (33. საბლე), ეშუაფნი (81. ტრაორე), ელბიკი - რემი, ბაგაიოკო, ბენ საადა (74. მუნიე).

პსჟ (4-2-3-1): ედელი - სეარა (45. ჟალე), ტრაორე, სახო, არმანი - ნგოი, კლემანი - სესენიონი, სანხარე, მორისი (74. შანტომი) - ერდინგი (76. კეუმანი).

გოლი: 1:0 რემი (80)

გაფრთხილება: 2-1; **კუთხური:** 4-12; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 8-22 (3-4); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

მაყურებელი: -

რენი-ტულუზი 4:1

რენი (4-2-3-1): დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, ბოკანეგრა - მეილა, ტეტეი - ბრიანი, ლეროა (82. კემბო ეკოკო), ბანგურა (70. დანზე) - ასამოა გიანი (73. დუმბია).

ტულუზი (4-2-3-1): პელე (46. ვალვერდე) - ებონდო, სეტო, კონგრე, მბენგე - კაპუე, მაშადო (46. დიდო) - ბრაატენი, სისოკო, ტაბანუ (77. ჟუანი) - კაზიმ-რიჩარდსი.

გოლები: 1:0 ჰანსონი (31), 2:0 ასამოა გიანი (35), 3:0 ასამოა გიანი (46), 3:1 ბრაატენი (51), 4:1 კემბო-ეკოკო (91)

გაფრთხილება: 1-3; **კუთხური:** 0-?9; **ჯარიმა:** 7-17; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 10-7 (6-1); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

მაყურებელი: 18 865

სენტ ეტიენი-ნანსი 0:0

სტ. ეტიენი (4-4-2): ჟანო - დაბო, დიახატე, ბენალუანი, მონსორო (79. ნდავი) - მირალიაში (74. ა. ფერნანდესი), ჟ. ფერნანდესი, მატუიდი, პაიე - ბერხესიო, რივიერი.

ნანსი (4-2-3-1): ბრასილიანო - შრეტიე, სამი, ანდრე ლუისი, ლემაიტრი - ნდიაიე, ბერენგერი - ფერე, ჰაჯი (64. დია), ბრიზონი (80. ტრაორე) - ბაკარი (64. მალონგა).

გაფრთხილება: 0-1; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 17-13 (4-1); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

მაყურებელი: 26 177

ლანსი-სოშო 0:0

ლანსი (4-2-3-1): რუნიე - დემონი, იაჰია, შელი, რამოსი - სოუ, ერმახი - აკალე (81. ბედიმო), რუდე, მონე-პაკე (86. მაოლიდა) - ეემაა (77. ედუარდო).

სოშო (4-2-3-1): დრეიე - ფატი, პერკისი, ბრეშე, მიკარი - გავანონი, კარლაო - ბუდებუზი (56. მორის-ბელაი), მარტინი, დალმა - ბრაუნი (86. ბუტენი).

გაფრთხილება: 1-2; **კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 23-12 (7-5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 33 354

ბორდო-ლილი 3:1

ბორდო (4-2-3-1): კარასო - შალმე, სანე, სიანი, ტრემულინასი - ფერნანდო, დიარა - გუფრანი (68. პლაშილი), გურკუფი (80. სერტიჩი), ჟუსიე (68. ვენდელი) - შამახი.

ლილი (4-3-3): ლანდრო - ბერია, რამი, ჩედჯუ (31. ემერსონი), რ. კოშტა - ბალმონი, კაბაიე, დიუმონი - ობრანიაკი (67. ჟერვინიო), ტურე (73. ფრო), ჰაზარდი.

გოლები: 0:1 ჰაზარდი (24), 1:1 სიანი (39), 2:1 ჟუსიე (66-პენ), 3:1 გურკუფი (75)

გაძევება: რ. კოშტა (65. ლილი)

გაფრთხილება: 0-2; **კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 14-26; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 22-4 (14-1); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

მაყურებელი: 32 552

მონპელიე-ვალანსიენი 2:1

მონპელიე (4-3-3): ჟურდრენი - იანგამბივა, სპაჰიჩი, ელ-კაუტარი, ჟენშამი (77. ბოკალი) - მარვო, პიტო, კოსტა - კამარა, მონტანიო (70. საიპი), აიტ-ფანა (60. ბელჰანდა).

ვალანსიენი (4-3-2-1): პენეტო - მატერი, აბარდონადო, ანგუა, ბონგი - კოადი, სანჩესი, კადირი (75. პუჟოლი) - დიუკურტუა (81. ტაე), დანიჩი - ოდელი (71. ბენ ხალფალაჰი).

გოლები: 1:0 მონტანიო (5), 2:0 მარვო (58), 2:1 ბენ ხალფალაჰი (74)

გაფრთხილება: 2-2; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 21-22; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 10-18 (5-8); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

მაყურებელი: 16 183

მარსელი-ლიონი 2:1

მარსელი (4-3-3): მანდანდა - ბონარი, დიავარა, მბია, ტაივო - გონსალესი, სისე, კაბორე (82. ჰილტონი) - ვალბუენა (62. ბრანდაო), ნიანგი, ბენ არფა (90. მბოუ).

ლიონი (4-2-3-1): ლორისი - რევეიერი, კრისი, ტულალანი, სისოხო - გონალონსი, კალსტრიომი - გოვუ (63. გომისი), პიანიჩი (82. ედერსონი), დელგადო - ლოპესი (83. ბელფოდილი).

გოლები: 1:0 კაბორე (68), 1:1 გომისი (80), 2:1 ტაივო (81)

გაფრთხილება: 1-1; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15-16 (6-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

მაყურებელი: 52 400

	ო	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბორდო	28	17	5	6	46-23	56
2. მონპელიე	29	17	5	7	40-30	56
3. ოსერი	29	16	7	6	30-24	55
4. მარსელი	28	15	8	5	50-30	53
5. ლილი	29	15	6	8	52-31	51
6. ლიონი	29	14	9	6	47-31	51
7. რენი	29	13	7	9	42-28	46
8. მონაკო	29	13	5	11	32-33	44
9. ლორიანი	29	12	7	10	40-31	43
10. ვალანსიენი	29	12	5	12	40-41	41
11. ტულუზი	29	10	8	11	29-26	38
12. პსჟ	29	10	7	12	39-33	37
13. ნანსი	29	10	6	13	33-42	36
14. სოშო	28	10	6	12	23-35	36
15. ლანსი	29	9	8	12	26-32	35
16. ნიცა	29	9	5	15	29-45	32
17. სტ. ეტიენი	29	7	8	14	20-34	29
18. ბულონი	29	5	8	16	22-47	23
19. ლე მანი	28	5	6	17	25-43	21
20. გრენობლი	29	3	6	20	20-46	15

ბომბარდირები: 15 - ნიანგი (მარსელი); 13 - ნენე (მონაკო); 12 - ერდინგი (პსჟ), ასამოა გიანი (რენი), ლოპესი (ლიონი); 11 - ჟერვინიო (ლილი), რემი (ნიცა); 10 - გამეირო (ლორიანი), მონტანიო (მონპელიე), ჟელენი (ოსერი), ფრო (ლილი).

ლიგა 2

XXIX ტური

სედანი-ნიმი 0:0

ლე ავრი-ბასტია 3:1

გოლები: 1:0 დიალო (13), 2:0 ჟოვიალი (14), 2:1 რობაილი (73), 3:1 დიალო (89)

კლერმონი-ვანი 1:0

გოლი: 1:0 ნაჯი (48)

შატორუ-ტური 0:3

გოლები: 0:1 ჟირუ (31), 0:2 გაკპე (47), 0:3 ჟირუ (90)

არლი-ლავალი 2:0

გოლები: 1:0 დალე (9), 2:0 დალე (13)

აიაჩო-ისტრი 1:2

გოლები: 0:1 უნტერაინერი (40), 0:2 ელ ბაჰრი (79), 1:2 ანდრე (90)

სტრასბური-ბრესტი 1:0

გოლი: 1:0 როდრიგო (86)

ნანტი-დიჟონი 0:1

გოლი: 0:1 კიტამბალა (42)

გენგამი-მეცი 2:1

გოლები: 1:0 სკარპელი (19), 1:1 გაუკლენი (25-საკ. კარში), 2:1 მატისი (76)

ანჟერი-კაენი 2:2

გოლები: 0:1 არაბი (32), 0:2 ელუშანი (67), 1:2 მიენილი (70), 2:2 კესერუ (85)

	ო	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. კაენი	29	15	11	3	41-22	56
2. ბრესტი	29	15	7	7	40-26	52
3. მეცი	29	12	10	7	36-31	46
4. ანჟერი	29	11	9	9	36-33	42
5. არლი	29	11	9	9	33-32	42
6. ნიმი	29	11	9	9	31-35	42
7. ლავალი	29	9	14	6	40-31	41
8. ლე ავრი	29	11	8	10	33-33	41
9. აიაჩო	28	11	7	10	33-27	40
10. სედანი	29	9	12	8	38-35	39
11. ტური	29	9	11	9	40-39	38
12. დიჟონი	29	8	13	8	33-33	37
13. სტრასბური	29	8	12	9	35-36	36
14. ნანტი	29	9	8	12	33-40	35
15. კლერმონი	28	9	7	12	32-34	34
16. ვანი	29	7	12	10	31-37	33
17. გენგამი	29	6	13	10	25-31	31
18. შატორუ	29	7	10	12	38-45	31
19. ისტრი	29	7	9	13	24-41	30
20. ბასტია	29	5	7	17	30-41	22

ბომბარდირები: 19 - ჟირუ (ტური); 18 - მოდესტე (ანჟერი); 12 - რუ (ბრესტი); 11 - ფოვერჟი (სტრასბური), რიბასი (დიჟონი), ანდრე (ბასტია); 10 - ალარი (სედანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია

დუღილის ტემპერატურა იმატებს

„ეინდჰოვენისა" და „ტვენტეს" მატჩზე ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული: ეინდჰოვენელთა გამარჯვების შემთხვევაში, ამ გუნდის ლიდერთან ჩამორჩენა თითქმის მინიმუმამდე დავიდოდა, „ტვენტეს" მოგება თითქმის ხსნიდა ჩემპიონის საკითხს, ფრე კი ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს გააჩენდა, რადგან ამ შემთხვევაში „აიაქსი" წამოეწეოდა ლიდერთა დუეტს და შესაბამისად, პირველი ადგილისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ორივე გუნდმა უკლო თამაშს (განსხვავებით „აიაქსისგან", რომელიც ალმავლობის გზაზეა და მეორე წრეში ორივე კონკურენტის დამარცხება შეძლო). „ტვენტე" აშკარად გადაიღალა, რადგან **სტივ მაკლარენის** გუნდმა მთელი დისტანცია თითქმის ერთი შემადგენლობით გაიარა, „ეინდჰოვენს" კი საკადრო პრობლემები აწუხებს. ამას ისიც დაემატა, რომ ამ მატჩის წინ შარშანდელმა ჩემპიონმა კაპიტანი დაკარგა. წინა ტურში „აიაქსთან" **იბრაჰიმ აფელეიმ** იდაყვი ჩაარტყა **ეიონგ ენოს**. ეს მომენტი კამერებმა დააფიქსირეს და მოგვიანებით ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ასევე სერიოზული დანაკლისი იყო „ეინდჰოვენისთვის" **ოოიერისა** და **პეტერსის** არყოფნა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მასპინძელთა დაცვის ხაზს.

სანამ მატჩის მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, ისიც ვთქვათ, რომ „ტვენტეს" ეინდჰოვენში 1973 წლის შემდეგ არ მოეგო. მაშინ ენსჰედელებმა 1:0 მოიგეს კლუბის ლეგენდის - **რენე ნოტენის** გოლის წყალობით.

მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან სცადეს მეტოქისთვის საკუთარი თამაშის თავზე მოხვევა და ეს გამოუვიდათ კიდეც. „ტვენტემ" ბევრი რთული მომენტი გადაიტანა, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა, როცა ლიდერს დაცვიდან თამაშმა მოუწია. ამ მხრივ მაკლარენის გუნდს გამოცდილება არ აკლია და შესაბამისად, მედგრად დაუხვდა „ეინდჰოვენის" საწყის შტურმს. პირველ წუთებში „ეინდჰოვენის" ანგარიშზე საჯარიმოს ხაზიდან **ჯუჯაკის** ორი დარტყმა იყო - ორივე სახიფათო, მაგრამ არაზუსტი.

მასპინძლებმა თანდათანობით შეძლეს თამაშის ცენტრისკენ გადატანა, შეტევაზე ფიქრი კი ჯერ ნაადრევი იყო. იერიშის მცდელობა მაინც იყო, მაგრამ მცირე ძალებით, რასაც „ეინდჰოვენის" დაცვა იოლად უმკლავდებოდა.

მოედნის ცენტრში აქტიური პრესინგის მიუხედავად, სტუმრებს დროდადრო პრობლემები ექმნებოდათ საკუთარ კართან, ხოლო პირველი ტაიმის ბოლო წუთზე კინაღამ მეკარესთან პირისპირ გავიდა „ეინდჰოვენის" ბულგარელი ლეგიონერი **მანოლევი**. მას უკვე მოქნეული ჰქონდა ფეხი, მაგრამ ბოლო მომენტში დუგლასმა დაბლოკა დარტყმა.

მასპინძლებს მეორე ტაიმში გადაჰყვათ აქტიურობა და თამაშის განახლებისთანავე წაიყვანეს ანგარიში. მანოლევი მარჯვენა ფლანგზე გაიქცა და მეკარის საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი **კოვერმანს** არავინ მეურვეობდა და მანაც თავური დარტყმით იოლად აჯობა **ბოშკერს**.

სწორედ ამ გოლის შემდეგ გახდა შესაძლებელი „ტვენტეს" შეტევითი პოტენციალის შემოწმება. თუ კოვერმანსის გოლამდე სტუმრების საუკეთესო მომენტი **პერესის** არაზუსტი დარტყმა იყო, მცველის როლში მყოფმა „ტვენტემ" შეტევაში გაცილებით მრავალფეროვანი ფეხბურთი აჩვენა. კერძოდ, ძალიან სახიფათოდ ურტყამდე **სტამი** - მას ოდნავ დააკლდა სიზუსტე. ამის შემდეგ კი საპასუხო გოლის დრო დადგა.

თამაში საკუთარ თავზე **რუისმა** აიღო. კოსტარიკელმა ბურთი მარჯვენა ფლანგზე მიიღო, რამდენიმე მოწინაალმდეგის მოტყუებით ცენტრისკენ გადაინაცვლა და თავისუფალი **ნკუფო** მონახა, რომელმაც მაღალი დარტყმით აიღო მეტოქის კარი.

სწორედ აქ იჩინა თავი „ეინდჰოვენის" საკადრო პრობლემებმა, რადგან **ამბარატის** გარდა, შეტევის გასაძლიერებლად მწვრთნელებს ფეხბურთელი არ ჰყავდათ. მაგრამ ეს ფეხბურთელიც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ბოლო წუთებზე „ტვენტეს" ნერვიულობის საბაბი გასჩენოდა. სწორედ მაროკოელს შეეძლო მასპინძლებისთვის სამი ქულის მოტანა. ერთხელ ამბარატმა სახიფათოდ დაარტყა და ბოშკერს გაუჭირდა ბურთის მოგერიება, მეორე ეპიზოდში კი მან კუთხური ჩააწოდა, რის შემდეგაც ბურთი ჯუჯაკს მიუვიდა, მაგრამ უნგრელის დარტყმა ზემოდან გადასცდა კარს.

ასე დასრულდა ეს საინტერესო შეხვედრა. „ტვენტე" აშკარად კმაყოფილი იყო ერთი ქულის აღებით, „ეინდჰოვენისთვის" კი ეს შედეგი წაგების ტოლფასი გახლდათ. ჩამორჩენა კვლავაც ხუთი ქულა დარჩა, ხოლო მეორე დღეს „აიაქსის" გამარჯვების შემთხვევაში, მოქმედი ჩემპიონი მეორე ადგილსაც დაკარგავდა.

„მატჩის უმეტესი ნაწილი „ტვენტეზე" უკეთ გამოვიყურებოდით, მაგრამ მხოლოდ ქულას დავჯერდით და ვერ შევძელით ლიდერთან ჩამორჩენის შემცირება, - განაცხადა „ეინდჰოვენის" დამრიგებელმა **ფრედ რუტენმა**. - *ზედიზედ ორი წაგების შემდეგ, გუნდი კარგად გაეწყო ამ მატჩისთვის, მაგრამ იღბალმა ზურგი გვაქცია. ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე „ტვენტე" ინარჩუნებს ხუთქულიან უპირატესობას, მაგრამ ფეხბურთი არაპროგნოზირებადია, ამიტომაც უკეთესის იმედი გვაქვს. უმჯობესია დავივიწყოთ ეს შეხვედრა და დანარჩენ მატჩებზე მოვახდინოთ კონცენტრაცია".*

„აიაქსმა" კი შეასრულა ამოცანა და მორიგი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ „ეინდჰოვენი" ჩაანაცვლა გათამაშების ცხრილის მეორე საფეხურზე. რომ არა **პანტელიჩის** შემთხვევითი ავტოგოლი, „ვაალვიკს" ამ მატჩში გასახსენებელი არაფერი ექნებოდა.

მატჩის დასაწყისშივე **მარტინ იოლის** შეგირდებმა უპირატესობა სწრაფ გოლში გარდასახეს, რომელიც კვლავ **სიმ დე იონგმა** ჩაიწერა აქტივში. უკვე მეხუთე ტურია ეს ნახევარმცველი უგოლოდ არ ტოვებს მოედანს.

შემდეგ იყო უკვე ნახსენები პანტელიჩის ავტოგოლი (სერბმა თავი დაუხვედრა **ბორიჰტერის** საჯარიმოს) და „ვაალვიკის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თანაბარი ანგარიში ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნა, თუმცა ეს გამართლება უფრო იყო, ვიდრე მასპინძელთა დაცვის ხაზის ოსტატობა.

აუტსაიდერის რბევა მეორე ტაიმის სტარტიდანვე დაიწყო, როცა სუარესმა საჯარიმოს ხაზთან მიიღო ბურთი, ოდნავ წინ წაიწია და შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა. ამის შემდეგ „აიაქსმა" კიდევ სამჯერ აიღო მეტოქის კარი, თანაც ისეთი გოლები გაჰქონდა, ნებისმიერი გემოვნების გულშემატკივარს რომ დააკმაყოფილებდა.

XXVIII ტური

ჰერენვეენი-ნიიმეგენი	4:1
ვილემი-უტრეხტი	0:3
ჰერაკლესი-ბრედა	3:0
ეინდჰოვენი-ტვენტე	1:1
ფეიენოორდი-ვიტესი	1:1 *შეწყდა*
ვაალვიკი-აიაქსი	1:5
დენ ჰააგი-ვენლო	0:0
გრონინგენი-როდა	1:0
სპარტა-ალკმაარი	0:1

	ო	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ტვენტე	28	22	5	1	52-22	71
2. აიაქსი	28	21	4	3	85-19	67
3. ეინდჰოვენი	28	20	6	2	61-23	66
4. ფეიენოორდი	27	14	9	4	43-26	51
5. ალკმაარი	28	15	3	10	54-31	48
6. ჰერაკლესი	28	14	4	10	41-38	46
7. უტრეხტი	28	12	9	7	31-26	45
8. გრონინგენი	28	12	6	10	39-36	42
9. ბრედა	28	10	7	11	37-46	37
10. როდა	28	9	5	14	35-50	32
11. ჰერენვეენი	28	10	2	16	34-49	32
12. ვენლო	28	6	11	11	35-39	29
13. ნიიმეგენი	28	7	7	14	31-49	28
14. სპარტა	28	6	7	15	27-49	25
15. დენ ჰააგი	28	5	9	14	28-48	24
16. ვიტესი	27	6	6	15	26-47	24
17. ვილემი	28	7	2	19	33-55	23
18. ვაალვიკი	28	4	0	24	23-62	12

ბომბარდირები: 29 - სუარესი (აიაქსი); 19 - რუისი (ტვენტე); 16 - ელ ჰამდაუი (ალკმაარი); 13 - ტოივონენი (ეინდჰოვენი); 12 - დოსტი (ჰერაკლესი), იუნკერი (როდა); 11 - ევერტონი (ჰერაკლესი).

შოტლანდია



რეინჯერსს მილერმა მოაგებინა

ცხრა კაცით მოგებული თასი

გასულ უიქ ენდზე შოტლანდიაში პირველი ტიტულის მფლობელი გაირკვა. ქვეყნის ლიგის თასის გათამაშება „რეინჯერსმა" მოიგო, რომელმაც ლეგენდარულ „ჰემპდენ პარკზე" ფინალში „სენტ მირენი" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა.

პრემიერლიგის ლიდერმა ბოლო 20 წუთი ცხრა კაცით ითამაშა - მსაჯმა მინდვრიდან გააძევა გლაზგოელები: **კევინ ტომსონი** და **დენი უილსონი**. მიუხედავად ამისა, „რეინჯერსმა" ასეთ ურთულეს სიტუაციაშიც მოახერხა გამარჯვების გოლის გატანა - 84-ე წუთზე **კენი მილერმა სტივენ ნეისმიტის** ჩაწოდებულ ბურთს თავით შეუცვალა მიმართულება და თავის გუნდს ისტორიაში ოცდამეექვსედ მოაგებინა ლიგის თასი.

„დღეს ჩვენ ძალიან გაგვიმართლა, - განაცხადა „რეინჯერსის" კაპიტანმა **დევიდ უეირმა**. - *პირველ ტაიმში თამაში არ გამოგვივიდა, მეორეში კი უმძიმეს სიტუაციაში ჩავვარდით, მაგრამ როგორც ჩანს, კარგი გუნდი გვყავს, რადგან ცხრა კაცით შევძელით ამ მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა".*

„რეინჯერსს" სამივე საშინაო ტიტულის მოგების შანსი აქვს. გუნდი შოტლანდიის თასის მეოთხედფინალშია გასული, ხოლო პრემიერლიგაში სასწაული თუ შეუშლის ხელს ჩემპიონობის მოპოვებაში. ბოლო ტურში ლიდერი ისვენებდა, მისმა კონკურენტმა - „სელტიკმა" კი შინ „სენტ ჯონსტონი" გაანადგურა. „კელტების" ამ გამარჯვების მიუხედავად, სხვაობა ლიდერებს შორის ათი ქულაა, თანაც „რეინჯერსს" ერთი თამაში თადარიგში აქვს.

XXIX ტური

ჰართსი-ჰიბერნიანი	2:1
აბერდინი-დანდი იუნ	2:2
სელტიკი-სტ. ჯონსტონი	3:0
ჰემილტონი-ფალკირკი	2:2

	ო	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეინჯერსი	28	20	7	1	64-16	67
2. სელტიკი	29	17	6	6	56-29	57
3. დანდი იუნ	29	13	10	6	43-37	49
4. მოზერველი	30	12	12	6	38-32	48
5. ჰიბერნიანი	29	13	8	8	41-33	47
6. ჰართსი	30	11	7	12	29-34	40
7. სტ. ჯონსტონი	28	9	7	12	42-49	34
8. აბერდინი	29	7	10	12	27-37	31
9. ჰემილტონი	29	6	9	14	22-40	27
10. კილმარნოკი	29	6	8	15	22-38	26
11. სტ. მირენი	29	5	9	15	25-40	24
12. ფალკირკი	29	4	9	16	25-49	21

ბომბარდირები: 21 - ბოიდი (რეინჯერსი); 16 - სტოუკსი (ჰიბერნიანი); 14 - კ. მილერი (რეინჯერსი); 11 - რაიორდანი (ჰიბერნიანი); 10 - სამარასი (სელტიკი), იუტკევიჩი (მოზერველი).

ბელგია

სტანდარდმა ტიტული დათმო

ბელგიაში დასრულდა რეგულარული სეზონი და გაირკვა იმ ექვსი გუნდის ვინაობა, რომელიც საჩემპიონო პლეი ოფში გააგრძელებს მედლებისთვის ბრძოლას.

კრახით დასრულდა ამ სეზონში ჯერაც მოქმედი ჩემპიონის - „სტანდარდის" გამოსვლა. ლიეჟური კლუბი პლეი ოფის მიღმა დარჩა და შესაბამისად, ჩემპიონობის შენარჩუნების თეორიული შანსიც დაკარგა.

ბოლო ტურში „სტანდარდს" შეეძლო ექვსეულში შეღწევა, რადგან მისმა უშუალო კონკურენტმა - „ვარეგემმა" წააგო თავისი მატჩი „მეხელენთან". ამისთვის ლიეჟელებს შინ „გენტის" დამარცხება სჭირდებოდათ. სამწუხაროდ, „სტანდარდმა" პასუხისმგებლობას ვერ გაუძლო და შინ პირწმინდად დათმო შეხვედრა მესამეადგილოსან გუნდთან, რითაც მერვე პოზიციამდე დაქვეითდა და ჩემპიონის უფლებამოსილება დათმო.

საჩემპიონო პლეი ოფი 27 მარტს პირველი ტურის მატჩებით გაიხსნება: ანდერლეხტი-ვარეგემი, კორტრიიკი-გენტი, სენტ ტრუიდენი-ბრიუგე. ტურნირი, რომელშიც გუნდები განახევრებული ქულებით გადავიდნენ, ორ წრედ გაიმართება. პლეი ოფის დაწყებამდე სატურნირო მდგომარეობა ასე გამოიყურება: 1. ანდერლეხტი - 35 ქულა; 2. ბრიუგე - 29; 3. გენტი - 25; 4. კორტრიიკი - 23; 5. სენტ ტრუიდენი - 21; 6. ვარეგემი - 21.

XXX ტური

სერკლი-სტ. ტრუიდენი	3:1
ბეერსხოტი-ბრიუგე	1:4
მეხელენი-ვარეგემი	2:1
ლოკერენი-ანდერლეხტი	0:4
გენკი-კორტრიიკი	1:1
რუზელარე-ვესტერლო	0:0
სტანდარდი-გენტი	0:2

	ო	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ანდერლეხტი	28	22	3	3	62-20	69
2. ბრიუგე	28	17	6	5	52-33	57
3. გენტი	28	14	7	7	49-30	49
4. კორტრიიკი	28	12	9	7	39-30	45
5. სტ. ტრუიდენი	28	12	6	10	35-35	42
6. ვარეგემი	28	10	11	7	39-32	41
7. მეხელენი	28	12	3	13	36-46	39
8. სტანდარდი	28	10	9	9	38-34	39
9. სერკლი	28	11	5	12	45-40	38
10. ბეერსხოტი	28	9	8	11	30-43	35
11. გენკი	28	8	10	10	33-31	34
12. ვესტერლო	28	8	8	12	28-34	32
13. შარლერუა	28	5	8	15	28-45	23
14. ლოკერენი	28	5	3	20	22-54	18
15. რუზელარე	28	4	6	18	29-58	18

ბომბარდირები: 15 - ლუკაკუ (ანდერლეხტი); 13 - სიდიბე (სტ. ტრუიდენი), კუემაა (ბრიუგე); 12 - ტერეო (შარლერუა), შევალიე (ვარეგემი); 11 - იაწრუკი (ლოკერენი); 10 - იოვანოვიჩი (სტანდარდი).

პორტუგალია

ბენფიკა დომინირებს

შოტლანდიის მსგავსად, ლიგის თასის გამარჯვებული გაირკვა პორტუგალიაში და კვლავ დაამტკიცა ამ სეზონში კონკურენტებზე უპირატესობა ჩემპიონატის ლიდერმა „ბენფიკამ".

პორტუგალიაში ლიგის თასი მესამედ გათამაშდა და ლისაბონელებმა ეს პრიზი ზედიზედ მეორედ მოიგეს. „ბენფიკას" საწვრთნელი შტაბი იმდენად დარწმუნებული იყო თავისი გუნდის უპირატესობაში, რომ დასვენების საშუალება მისცა შეტევის ძირითად დუეტს - **ოსკარ კარდოსოსა** და **ხავიერ სავიოლას**.

„პორტუს" გამანადგურებელ მარცხში ყველაზე მეტად ამ გუნდის მეკარე - **ნუნუა** დამნაშავე. მე-10 წუთზე **რუბენ ამორიმის** 35 მეტრიდან დარტყმული საჯარიმო გოლკიპერმა ჯერ დაიჭირა და შემდეგ კარში შეაგდო. ამ გოლმა ცუდად იმოქმედა მოქმედ ჩემპიონზე, რომელიც იმ დღეს ძალიან ინერტულად გამოიყურებოდა. შესაძლოა, „პორტუ" შესვენებაზე მოსულიყო გონს და მეორე ტაიმში ეცადა ერთბურთიანი ჩამორჩენის გაბათილება, მაგრამ პირველი ნახევრის ბოლოს ნუნუმ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა - **კარლუშ მარტინშის** შორეულ დარტყმაზე მან რეაგირება დააგვიანა და მატჩის ბედი პრაქტიკულად აქ გადაწყდა.

მეორე ნახევარში „ბენფიკამ" მოედანზე მძიმე არტილერია გამოიყვანა და **ოსკარ კარდოსომ** ბოლო წუთზე წერტილი დაუსვა შეხვედრას.

ბენფიკა-პორტუ 3:0

ბენფიკა: კუიმი, მაქსი პერეირა, ლუიზაო, დავიდ ლუისი, ფაბიო კოენტრაო, აირტონი, რუბენ ამორიმი, კარლუშ მარტინში (67. რამირესი), აიმარი (62. სავიოლა), დი მარია, კარდეცი (77. კარდოსო).

პორტუ: ნუნუ, მიგელ ლოპესი (46. ფუჩილე), როლანდო, ბრუნო ალვეში, ალვარო პერეირა, ფერნანდო, ბელუში (71. სა), რაულ მეირელეში, რუბენ მიკაელი (46. ვალერი), კრისტიან როდრიგესი, ფალკაო გარსია.

გოლები: 1:0 რუბენ ამორიმი (10), 2:0 კარლუშ მარტინი (45), 3:0 კარდოსო (90).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა

ვან გაალს თმა და დაცვა გაექცა

ბაიერნს ურთულესი სამკვირეული ელის

„ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** შაბათს, ფრანკფურტის „აინტრახტთან" განცდილი მარცხის (1:2) შემდეგ, ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც მისი გუნდის დაცვის ხაზი მატჩის ბოლო წუთებში - ფრანკფურტულმა ქარმა 58 წლის ჰოლანდიელ სპეციალისტს თმა აუჩეჩა, „აინტრახტის" ფეხბურთელებმა კი, 87-ე და 89-ე წუთებზე, რეკორდმაისტერის მცველები გაჩეჩეს. „ბაიერნის" მარცხის შემდეგ, საფეხბურთო გერმანიას ასეთი კითხვა დაებადა: *„მიუნხენელები ყველა ტიტულს ხომ არ კარგავენ?"*

ფაქტი ის არის, რომ ბავარიელებმა ზედიზედ მესამე გასვლითი შეხვედრა ვერ მოიგეს. ნიურნბერგში და კიოლნში დაფიქსირებული 1:1-ების შემდეგ, ფრანკფურტში დამარცხდნენ და მართალია, „შალკემ" რეკორდმაისტერის წაფორხილებით სრულფასოვნად ვერ ისარგებლა (2:2 ჰამბურგში), მაგრამ გელზენკირხენულმა კლუბმა ის მაინც შეძლო, რომ ლიდერს მიუახლოვდა და ახლა მხოლოდ ერთი ქულითღა ჩამორჩება.

ბავარიელთა ერთ-ერთი ლიდერი **ბასტიან შვაინშტაიგერი** 26 სექტემბრის შემდეგ პირველი მარცხით (მაშინ ბაიერნმა „ჰამბურგში" წააგო) ძალიან გაბრაზებული იყო და ამბობდა, თუ გერმანიის ჩემპიონობა გვინდა, გასვლითი მატჩებიც უნდა მოვიგოთ, ასე არაფერი გამოგვივაო.

მით უმეტეს არაფერი გამოუვათ, თუ მომავალშიც ისეთ შეცდომებს დაუშვებენ, „აინტრახტის" ორივე გოლის დროს რომ დაუშვეს. ორივე შემთხვევაში „ბაიერნის" 17 წლის მარცხენა მცველი **დავიდ ალაბა** შეცდა - ფეხბურთელი, რომელსაც „ფიორენტინასთან" მატჩის შემდეგ მთელი საფეხბურთო გერმანია აქებდა. „აინტრახტის" ორივე გოლი ალაბას სინდისზეა და რაც მთავარია, მან ორი საბედისწერო შეცდომა 104 წამის განმავლობაში დაუშვა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მიუნხენურ კლუბს უახლოეს მომავალში ურთულესი მატჩები ელის და თანაც, ორივე კონკურენტთან თამაში მოუწევს: ვან გაალის ბიჭები 3 აპრილს „შალკეს" ხვდებიან, 10 ან 11 აპრილს კი „ლევერკუზენს".

პირველი ტიტული კი მიუნხენურ გრანდს შეიძლება ხვალვე გაუფრინდეს. ხვალ გერმანიის თასის ნახევარფინალური მატჩებია: „ვერდერი"-„აუგსბურგი" (II ბუნდესლიგა) და „შალკე"-„ბაიერნი". ვან გაალი ხვდება, რომ გელზენკირხენში მის გუნდს ურთულესი მატჩი ელის. *„სამი დღე გვაქვს იმისთვის, რომ ფრანკფურტში განცდილი მარცხი დავივიწყოთ და „შალკესთან" შეხვედრისთვის ისე მოვემზადოთ, როგორც საჭიროა. „ბაიერნი" ბევრი მნიშვნელოვანი მატჩის ერთდროულად ჩატარებას მიჩვეულია,"* - აღნიშნა ლუისმა შაბათს.

„შალკესთან" სათასო დუელის შემდეგ, ბავარიულ გრანდს ბუნდესლიგაში „შტუტგარტთან" ჭიდილი მოუწევს, რაც ასევე არ არის იოლი თამაში. შვაბური კლუბი კარგ ფორმაშია და ჯერ კიდევ ევროტურნირების საგზურისთვის იბრძვის. „შტუტგარტის" შემდეგ კი, კერძოდ ზუსტად ერთ კვირაში, ანუ, მომავალ სამშაბათს, რეკორდმაისტერს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველი დუელი აქვს „მანჩესტერთან" (საპასუხო მატჩი 7 აპრილსაა). ზუსტად „მანჩესტერთან" პირველი დუელის შემდეგ მოუწევს „ბაიერნს" გელზენკირხენში ჩასვლა, რის შემდეგაც „ჰანოვერთან" დუელით ამოისუნთქავს, მერე კი ისევ „მანჩესტერთან" და „ლევერკუზენთან" ექნება საქმე. მოკლედ, უახლოესი ერთი თვე „ბაიერნისთვის" სიმართლის გარკვევის პერიოდი (როგორც გერმანელები ამბობენ ხოლმე) იქნება - მაშინ უნდა დავინახოთ, რამდენად ძლიერია მიუნხენური კლუბი რეალურად. რაც მთავარია, თითქმის გამოჯანმრთელდნენ **ფრანკ რიბერი** და **ივიცა ოლიჩი**. ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ისინი ხვალ „შალკესთან" სათასო დუელში იასპარეზებენ. „აინტრახტთან" **დანიელ ვან ბუიტენი** დაშავდა, მაგრამ ხვალ საღამომდე მწყობრში ჩადგომა, წესით, ბელგიელმა მცველმაც უნდა მოასწროს.

ზოგადად, სეზონის დასრულებამდე სულ შვიდი ტურია დარჩენილი და ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის ნებისმიერ „ცხელ ზონაში" დაძაბული ვითარებაა. ჩემპიონობისთვის ამ ეტაპზე სამი გუნდი იბრძვის და მეოთხეს ჩართვას ამ შემთხვევაში ალბათ აღარ უნდა ველოდოთ, რადგან მესამე ადგილზე მყოფი „ლევერკუზენი" დორტმუნდის „ბორუსიას" ხუთი ქულით უსწრებს და ეს უკანასკნელი მაქსიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის გაიბრძოლებს.

ერთი სიტყვით, პირველი „ბაიერნია", რომელიც „შალკეს" ერთი ქულით უსწრებს, „ლევერკუზენს" კი სამით. „ლევერკუზენის" პლუსი ის არის, რომ დარჩენილ ტურებში „ბაიერნსაც" უნდა უმასპინძლოს და „შალკესაც". **იუპ ჰაინკესის** გუნდი საკუთარ მოედანზე ჩინებულად გამოიყურება ხოლმე და შესაბამისად, ორივე კონკურენტთან „6-ქულიანი" თამაშების მოგების შანსი აქვს. ესეც რომ არ იყოს, „ბაიერნი" და „შალკე" ერთმანეთს უნდა შეხვდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე თუ არა, ერთ-ერთი მაინც დაკარგავს ქულებს. მაგრამ „ფარმაცევტებს" სიფრთხილეც მართებთ, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩართულებმა სულ სხვა რამ, კერძოდ, ჩემპიონთა ლიგის საგზური არ დაკარგონ. დორტმუნდის „ბორუსიასთან" განცდილი კრახის შემდეგ, „ფარმაცევტები" „შავ-ყვითლებს" 5 ქულითღა უსწრებენ და თანაც, „დორტმუნდთან" ერთად, ჩემპიონთა ლიგაზე ფიქრი ჯერ არც „ვერდერს" შეუწყვეტია.

უაღრესად საინტერესოა ევროპის ლიგის საგზურებისთვის ბრძოლაც. აქ ყველაზე წინ, მეოთხე ადგილზე, „ბორუსიაა": დორტმუნდელებს 48 ქულა აქვთ, „ვერდერს" 45, „ჰამბურგს" 44, ხოლო „შტუტგარტს" - 38. აღსანიშნავია, რომ თუ „ვერდერი" გერმანიის თასის ფინალში გავა (ხვალ ნახევარფინალში „აუგსბურგს" ხვდება), ბუნდესლიგაში მე-6 ადგილიც ევროპის ლიგაში გამსვლელი გახდება, რადგან თასის ფინალში ითამაშებს ან „შალკე", ანაც „ბაიერნი", რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში გადიან. საინტერესო ის არის, რომ ბოლო ტურში „ვერდერს" მოსისხლე მტრის, „ჰამბურგის" საევროპო ოცნებების დასამარება შეუძლია, რადგან ისინი ერთმანეთს ხვდებიან. თუ გახსოვთ, შარშან ბრემენულმა კლუბმა „ჰამბურგს" სწორედ ასეთი რამ დამართა, როცა თასზეც მოუგო და უეფას თასის ნახევარფინალშიც.

რაც შეეხება გასავარდნ ზონას. აქ ყველაზე ცუდად საქმე კვლავ „ჰერტას" აქვს - მიუხედავად იმისა, რომ ბერლინელებმა კვირას „ვოლფსბურგი" გაანადგურეს. **ლევან კობიაშვილის** გუნდის აქტივში 18 ქულაა. დღევანდელი მდგომარეობით „ჰერტა" და „ფრაიბურგი" (23 ქულა) ვარდებიან, ხოლო „ჰანოვერს" მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსანთან უწევს დაპირისპირება. სხვათა შორის, სამშვიდობოს ჯერ არც „ნიურნბერგი", „ბოხუმი" და „კიოლნი" გასულან. მოკლედ, გერმანიის ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი, როგორც ყოველთვის, ძალიან საინტერესო იქნება...

შაბათს, ფრანკფურტში. ლუის ვან გაალი აინტრახტთან მატჩის საფინალო სასტვენის დროს

ჰერტა

ლევან კობიაშვილი და მისი თანაგუნდელები ვოლფსბურგის განადგურებას ზეიმობენ

ჩვენ ცოცხლები ვართ!

კობიაშვილმა და კომპანიამ ფანებიც შემოირიგეს...

უცნაური გუნდია ბერლინის „ჰერტა". იმ დროს, როცა დედაქალაქელებზე ყველამ ხელი ჩაიქნია და უკანასკნელ ოპტიმისტებსაც ლამის აღარ სჯეროდათ, რომ „ჰერტას" გადარჩენა შესაძლებელი იყო, **ლევან კობიაშვილის** გუნდმა ხმაურიანი სენსაცია მოახდინა და გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი" 5:1 გაანადგურა. მერე რა, რომ „ვოლფსბურგი" „რუბინთან" 120-წუთიანი ბრძოლით იყო გადაღლილი - „ჰერტა" მთელი სეზონის განმავლობაში ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა და არავის სჯეროდა, რომ ბერლინელები „მგლებს" პრობლემებს შეუქმნიდნენ.

ამ ყველაფრის ფონზე, „ფოლკსვაგენ არენაზე" ნაჩვენები გრანდიოზული ფეხბურთი და მიღწეული შედეგი ორმაგად გამაოგნებელია. ყოველ შემთხვევაში, კვირას, ამ მატჩის ყურებისას, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ბერლინელები მაზოხისტები არიან და აქამდე ძალით არ იგებდნენ, ახლა კი, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ისეთი ფეხბურთი აჩვენეს, რომ მთელ საფეხბურთო ევროპას პირი დააღებინეს. კვირას **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდი, რომლის შემადგენლობაში ქართველმა კობიაშვილმა კვლავ შესანიშნავად ითამაშა, აბსოლუტურად თავდაჯერებული, მიზანმიმართული და რაც მთავარია, წარმატებული იყო. პრინციპში, „ჰერტას" პოტენციალში ეჭვი არ გვეპარებოდა – რაც უნდა იყოს, ამ გუნდმა შარშან გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლა და ზაფხულში მხოლოდ ერთი წამყვანი ფეხბურთელი, **ანდრეი ვორონინი** დაკარგა...

გერმანიის ჩემპიონის სრულ დემონტაჟს, ბერლინელთა მხრიდან ხმაურიანი განცხადებები მოჰყვა. *„ჩვენ ცოცხლები ვართ და ჩვენ დავბრუნდით. იმედი მაქვს, რომ ასე გავაგრძელებთ და ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. ერთი კვირის წინ ვფიქრობდი, რომ საშველი აღარ იყო, ახლა კი, ამ გრანდიოზული მატჩის შემდეგ, ისევ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი,"* - განაცხადა მატჩის შემდეგ „ჰერტას" თვალცრემლიანმა მენეჯერმა **მიხაელ პრეეტცმა**, ოღონდ, ამჯერად ეს სიხარულის ცრემლები იყო.

„ვისაც ეგონა, რომ „ჰერტა" მოკვდა, სასტიკად ცდებოდა და ჩვენ ეს ვოლფსბურგში დავამტკიცეთ. ბუნდესლიგაში დარჩენისთვის მთელი სულით და გულით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯი იყო, მომდევნო ბრძოლა კი დორტმუნდის „ბორუსიასთან" გველის!" - ეს კი, მეკარე **იაროსლავ დრობნის** სიტყვებია.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: 32 წელია, რაც ერთი შეხედვით უსუსურ „ჰერტას", გასვლით მატჩში ოთხბურთიანი სხვაობით არ მოუგია და თუკი ერთი კვირის წინ, „ნიურნბერგთან" საშინაო მარცხის შემდეგ, ყველაფერი დამთავრებული ჩანდა, ახლა ბერლინში ყველა კარგ გუნებაზეა. ფეხბურთელებიც, მწვრთნელიც და გულშემატკივრებიც ფიქრობენ, რომ გადარჩენა რეალურია.

ბერლინელებმა ფანებიც კი შემოირიგეს! გახსომებათ, „ნიურნბერგთან" მატჩის შემდეგ „ჰერტას" გულშემატკივრები „ოლიმპიასტადიონის" მოედანზე შეიჭრნენ, ფეხბურთელებზე იწევდნენ და გუნდის სათადარიგოთა სკამი გაანადგურეს. ამ მოვლენებიდან ზუსტად კვირის თავზე კი, კობიაშვილი და კომპანია გამარჯვებას ფანებთან ერთად ზეიმობდნენ.

მოკლედ, „ჰერტას" იმედის ნაპერწკალი გაუღვივდა, მაგრამ თუ გადარჩენაა, 32-ე ტურამდე უნდა გადარჩეს, რადგან ბერლინელებს ბოლო სამი თამაში საუკეთესო სამეულთან, „შალკესთან", „ლევერკუზენთან" და „ბაიერნთან" უწევთ.

დორტმუნდი

კლოპის რაზმი ჩემპიონთა ლიგაში?

ფაქტი ერთია: ბორუსიასთვის მესამე ადგილიც შესაძლებელია

„ლევერკუზენის" განადგურების შემდეგ (3:0), დორტმუნდი ეიფორიამ მოიცვა. ჩემპიონობის კანდიდატთან ნაჩვენებმა ბრწყინვალე ფეხბურთმა და შესანიშნავმა შედეგმა „ბორუსიას" ევროპაში გასასვლელი კარი ფართოდ გაუღო. „დორტმუნდი" 27 ტურის შემდეგ მეოთხე ადგილზეა და მეექვსეადგილოსან „ჰამბურგს" ოთხი ქულით უსწრებს. „შავ-ყვითლებს" უფრო მეტის მიღწევაც შეუძლიათ, რადგან „ლევერკუზენს" ახლა მხოლოდ ხუთი ქულითღა ჩამორჩებიან და თუ ტენდენციასთან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სეზონის ბოლომდე შვიდი ტურია დარჩენილი, ვითომ რატომ არ უნდა იფიქროს „ბორუსიამ" ჩემპიონთა ლიგაზე?

დორტმუნდელთა მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** ხვდება, რომ ეიფორიამ მისი შეგირდები, შეიძლება, დაღუპოს, რის გამოც ამბობს, ფანებს შეუძლიათ, იოცნებონ, ჩემთვის კი ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ საუკეთესო ხუთეულში ადგილი შევინარჩუნოთო. კლოპის გუნდის სასარგებლოდ ის ფაქტი მეტყველებს, რომ დორტმუნდელები „ვერდერის" გარდა, ყველა ტოპგუნდს ორჯერ შეხვდნენ, კონკურენტებს კი ჯერ კიდევ ერთმანეთში აქვთ სათამაშო.

„სეზონის დასრულებამდე შვიდი ტურია დარჩენილი, ეს კი 21 ქულას ნიშნავს. შესაბამისად, ჯერ არც არაფრისთვის მიგვიღწევია და არც არაფერი დაგვიკარგავს. ცხადია, ჩვენი მხრიდან ჩემპიონობაზე ლაპარაკი სასაცილო იქნება, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის თეორიული შანსი კი ჯერ კიდევ გვაქვს. თუმცა ჩვენ მხოლოდ მომავალ მატჩზე ვფიქრობთ და წინ არ ვიყურებით. ვნახოთ, როგორ ჩავატარებთ მომავალ შეხვედრებს და ნელ-ნელა გამოჩნდება, შეგვიძლია თუ არა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა რეალურად. მთავარია, ხუთეულში მოვხვდეთ," - ამბობს „ბორუსიას" კარის დარაჯი **რომან ვაიდენფელერი**, რომელმაც „ლევერკუზენთან" შესანიშნავად იასპარეზა.

ეს გახლდათ „დორტმუნდის" საიუბილეო, მე-600 გამარჯვება ბუნდესლიგის ისტორიაში. ტენდენცია კი იმაზე მეტყველებს, რომ „ბორუსიას" რეგრესი არ უნდა დაეწყოს და წესით, ვესტფალიურმა უპრობლემოდ უნდა შეძლოს მინიმუმ ევროპის ლიგის საგზურის მოპოვება. კლოპს ყველაზე მეტად ის ახარებს, რომ მომავალი ტურისთვის ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული ფეხბურთელებიც ბრუნდებიან, რაც გუნდში კონკურენციას და შესაბამისად, მოტივაციას გაზრდის. „ჰერტასთან" თამაშისთვის **ნური შაჰინს** დისკვალიფიკაციის ვადა გასული ექნება, თავდამსხმელი **ნელსონ ვალდესი** და საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერი** კი ლაზარეთიდან დაბრუნდებიან.

„ჩვენთვის ყოველი შემდგომი თამაში ფინალივითაა. „ლევერკუზენთან" გამარჯვება ჩვენი ბრწყინვალე მეკარისა და გოლეადორის დამსახურებაა. იმაშიც გაგვიმართლა, რომ გოლები ყველაზე საჭირო მომენტებში გავიტანეთ. ფეხბურთში ერთი გოლიც კი ყველაფერს ცვლის და ამ შემთხვევაში, მოვლენები ისევ ჩვენს სასარგებლოდ განვითარდა. სიმართლე გითხრათ, ჩემპიონთა ლიგაზე არ ვფიქრობ," - ასეთია კლოპის რეზიუმე.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ქრონიკა

ჯობავა შედგომ კმაყოფილია

ბაადურ ჯობავა
ალექსანდრე კოტოროვშვილის ფოტო

გალელქვა დიდოსტატმა ბაადურ ჯობავამ ხორვატულ რიეკაში ევროპის მოჭადრაკეთა XI ჩემპიონატზე თერთმეტი შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვა და რუს არტიომ ტიმოფეევთან მეორე-მესამე ადგილები გაიყო. ტაიბრეიკებში ჯობავამ აჯობა რუს მეტოქეს და შარშანდელი ბრინჯაო ნღეუულს ვერცხლზე გადაცვალა. მედალთან ერთად ჩვენებურს 20 საერიტინგო ქულა და საპრიზო ფონდიდან 15 ათასი ევრო ვგრო.

გუშინ ხორვატიიდან დაბრუნებულმა ბაადურ ჯობავამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართა. ევროპის ვიცე-ჩემპიონს მიესალმნენ ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავა. „ბაადურმა შარშანდელ ჩემპიონათაგან შედარებით ნაბიჯი გადადგა წინ. დარწმუნებული ვარ, გაისად ოქროს მედალსაც შესწვდება. ყოველივე იმის შედეგია, რომ ქართველი დიდოსტატი ნებისმიერი შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება, მიზანმიმართული და მიზანსწრაფულია. ნარმატებას ხელი შეუწყო თანადგომამაც. დიდი მადლობა ყველას, ვინც გვერდით დაგვიდგა", — თქვა გია გიორგაძემ.

პრეს-კონფერენციის შემდეგ ბაადურ ჯობავას გავესაუბრე:

— ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ეს შეჯიბრება სიძლიერითა და მონაწილეთა რაოდენობითაც გამორჩეული იყო როგორც ვთქვათ, ისე ქალთა შორისაც. მარტო მამაკაცებში 40 ქვეყნის 408 წარმომადგენელი იბრძოდა მედლებისთვის. საშუალო რეიტინგიც საკმაოდ მაღალი იყო, ამიტომ მიხარია ვიცე-ჩემპიონობის მოპოვება.

შეჯიბრებები რიეკაში ტარდებოდა, ჩვენ კი 11 კილომეტრით მოშორებულ პატარა ქალაქ პატიაში ვცხოვრობდით. შესანიშნავი პირობები გვქონდა. ავტობუსები გვქმსახურებოდა. ყველა მონაწილე ერთხმად აღნიშნავდა ჩემპიონატის ორგანიზაციის მაღალ დონეს. ასე ვთქვათ, მასპინძლებმა ყველა პირობა შეგვიქმნეს საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად.

— პირველ ოთხ ტურში უდანაკარგოდ ლიდერობდი. მერე რა მოხდა?

— მეხუთეში უკრაინელი ზახარ ეფიმენკოს დაეცუზაცდი, მერე არტიომ ტიმოფეევს მოვუგე მეექი ფიგურებით. მეშვიდე ტურში რუს ალექსანდრ რიაზანცევთან თეორებით დებიუტშივე მიკაღნე უპირატესობას, მაგრამ ერი-ერთ მომენტში სვლა გამორჩა და, რომ არა ცვიტროტი, ქულას დავკარგავდი. ფაქტობრივად, ჩემთვის წააგება სიტუაციაში მეტოქემ ყაიში შემოშთავა ზა, რადგან დროის მწვავე დეფიციტს განიცდიდა. ცხადია, ქულს გავყოფ და დავკმაყოფილდი.

— ივნ ნეპომნიაშჩისთან ნაგების მიზეზი რა იყო?

— რუსი დიდოსტატი ჭკვიანი მოჭადრაკეა. შარშან მან აეროფლოტის ღია ტურნირი მოიგო. იანმა კარკკინის დაცვის მე-4 სვლაზე A4 შემომთავაზა, რაც ჩემთვის მოულოდნელი იყო. არ ვიცოდი, ამ სიახლეზე რით მეპასუხა, ამიტომ დებიუტშივე უარესი პოზიცია მივიღე და პარტიის ბოლომდე მდგომარეობის გამოსწორება ვერ შევძელი.

ვერცხლის მედლის მოსაპოვებლად ჩემთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა შეხვედრა ანტრაზოვსკის რუსეთ მამედოვთან. ენდშპილში ორი პაიკით ნაკლები მყავდა. ამის მოუხედავად, პარტიის გადარჩენა შეეძელი. ბოლო ტურში რუს დენის ხისმატულის ვხლებ. მეგონა, სომეხ ვლადიმირ აკოფიანი ნახევარ ქულას მაინც აართმევდა ნეპომნიაშის და ამით ლიდერს დაეწეოდი, მაგრამ იანმა სომეხი მოჭადრაკე დამარცხა და 9 ქულით დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი.

ყოველივეს მოეუდავად, შედეგითა და შემოქმედებითი თვალსაზრისითაც კმაყოფილი ვარ. მადლობა ყველას, ვინც მიქომაგა და ჩემი სიხარული გაიზიარა. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი გია გიორგაძე, რომელმაც ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დამთვინიერებისა და ყოველგვარი პირობა შემიქმნა შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად.

— რიეკაში თქვენს მწვრთნელ ალექსანდრ ბელიავსკისთან ხომ არ გქონია შემოქმედებითი ურთიერთობა?

— ჩემპიონატზე საამისო სიტუაცია არ იყო, რადგან თითოეული ჩვენგანი საკუთარი შედეგის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა. თანაც, ბელიავსკი სასტუმროში ჩემგან ორი კილომეტრის მოშორებით ცხოვრობდა და მხოლოდ რიეკის სათამაშო დარბაზში ვხვდებოდით ერთმანეთს. ასე რომ, საჭადრაკო თემაზე არც გვისაუბრია.

— უახლოეს გეგმებზე რას იტყვი?

— მინდიან. ის ვიცი მხოლოდ, რომ მთისის ბუა რიცხვებში უკრანის საკალთო ჩემპიონატში ვიასპარეზებ. ორი საუკეთესო გუნდი ვეროპაზე გადის. ეს შეჯიბრება თბილისის მერიის თასის გათამაშებას ემთხვევა და, სამწუხაროდ, საშუალება არ მექნება, შარშანდელი მონაპოვარი დავიცვა. აგვისტოში, აღბათ, ესპანეთის უმაღლეს ლიგაში ვითამაშებ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს. იმედია, მაღალრეიტინგიან ერთ-ორ ტურნირშიც მანც მოვიწვევ გამგზავრება. ქართველი მოჭადრაკეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნლეკანდელი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა იქნება, რომელსაც შემოდგომით რუსეთ ბანგი-მანსიისკი ეუმასპინძლება. ჩვენი მანდილოსნები ტატიანა ბერუაშვილის ეცდებიან, ვაჟები კი პირველ ხუთეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ.

ვაჟა დანელია

კალაშნიკოვა კარიერის პიკზე

ორკვირიანმა შესვენების შემდეგ განახლდა მსოფლიოს რეიტინგ-ლისტი როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა შორის. ქართველოს პირველმა ჩოგანმა **ოქსანა ცალამნკოვამ** ოქსა ნაინია კლასიფიკაციაში, ის 354 ქულით მსოფლიოს 161-ე ჩოგანია. 19 წლის სპორტსმენმა ამით კარიერის ახალ ნიშნულს უწია. ოქსანა ნყვლათა რეიტინგში 122-ე ადგილზეა, რაც ასევე მისი საუკეთესო მიღწევაა. **ანა ტატიშვილს** 342 ქულა აქვს, ის მსოფლიოს 167-ე ჩოგანია (+1). ნყვლათა თანრიგში ანა მსოფლიოს 108-ე ჩოგანია, ასეულთან ასე ახლოს ის ჯერ არ ყოფილა. სხვები: 210 (+3) **მაკა ჩახნაშვილი** - 252 ქულა; 354 (-3) **სოფიო შაფათავა** - 109; 432 (-) **სოფიო ქვაცაბაია** - 77; 475 (-6) **მანანა შაფაქიძე** - 65; 481 (-) **თათია მიქაძე** - 63; 553 (-) **ეკა გორგოძე** - 48; 1024 (+2) **მაგდა ოქროპაშვილი** - 6; 1077 (+1) **ანა ჯღენია** - 4. ვახტანგ რეხტინგში **ნიკოლოზ ბასილაშვილს** 34-ადგილიანი უკუსვლა აქვს, ის 49 ქულით მსოფლიოს 540-ე ჩოგანია. 1075-ე (+1) პოზიციაზეა **ლაზარე კუხალაშვილი** (6 ქულა).

ქართველ ჩოგბურთელთა დიდი ნაწილი უზბეკეთის ქალაქ ნამანგანში იმყოფება, სადაც 25-ათასიანი ტურნირი იმართება. საკვალიფიკაციო ბადეში ერთი ჩვენებური იყო, ანა ჯღენია მე-7 ნომრად განთესილს. მან პირველ წრეში ბელარუს **ვოლჰა კალოძიცას** მოუგო - 6:4, 6:4, მეორეში კი - აზერბაიჯანელ **კამილა აბდუკადიროვას** - 6:1, 6:4. ანა ძირითად ბადეში თანამემამულეებს მაკა ჩახნაშვილს (მე-5 ნომრად განთესილი), სოფიო შაფათავას, სოფიო ქვაცაბაიასა და თათია მიქაძეს შეუერთდა. პირველ წრეში ჩახნაშვილი სწორედ შაფათავას შეხვდა დ. დაძაბულ ორთაბრძოლაში 4:6, 7:6 (5), 6:2 მოუგო. მიქაძის მეტოქე ბელარუსი **დარია ლებეშევა**, ჯიქია რუმინელ **ელენა ბოგდანს** შეხვდება, ქვაცაბაია - **ანა ბოგდანს**. ნყვლათა ბადეში ჩახნაშვილი და შაფათავა პირველ ნომრად არიან განთესილები. სხვები უკვე გამოეთქმნენ ნყვლათა თანრიგს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ხელბურთი

დასავლეთში ლიდერი ქუთაისია

ქუთაისი-ბათუმი 27:26 (13:15)

ქუთაისი: **შიმინაშვილი**, მაისურაძე, გობეჟიშვილი, საჯაია, მამმასახლისი, თუთრუაშვილი, დარსაველიძე, კვერნაძე, ძოწვაშვილი, ბოჭორიშვილი, ჯუღელი, თუთბერიძე, ლომიძე, ქარქაშაძე.

ბათუმი: მელაძე, ვინაგრადოვი, ურუშაძე, ქადაგიძე, ვაჩანაძინე, ხელაძე, ქავთარაძე, გოგიჩაიშვილი, კონცელიძე, ნიტკიშვილი, სიხარულიძე, ნიკოლაშვილი, ტოგონიძე.

ქუთაისის სპორტის სასახლეში დასრულდა ხელბურთში საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური დასავლეთი ზონის გუნდებს შორის. გუნში ერთმანეთს „ქუთაისი" და „ბათუმი" დაუპირისპირდნენ. საინტერესო და დაძაბული თამაში თავიდან ქუთა-ქუთაში მიმდინარეობდა, შემდეგ ზღვისპირელები დანინაურდნენ - 6:4 და ტაიმის ბოლომდე ინიციატივა ხელდან არ გაუშვიათ. პირველი ნახევარი მათი გამარჯვებით 15:13 დასრულდა. შესვენების შემდეგ მასპინძელთა გუნდი უკეთ გამოიყურებოდა. კარგად ათამაშდნენ ქუთაისელთა ლიდერები **ქარქაშაძე, საჯაია** და **მამმასახლისი**. მათი მონდომების შედეგად ანგარიში გათანაბრდა და თამაში უკვე ქულა ქულაში მიმდინარეობდა. რამდენიმე ეპიზოდში კარგად ითამაშა მასპინძელთა მეკარე **შიმინაშვილმა**, ბოლოს კი ქუთაისურებმა იძლიეს და „ფაზისის" (26:25) მსგავსად, „ბათუმიც" ერთბერთიანი სხვაობით - 27:26 დაამარცხეს.

აღმოსავლეთი ზონაში ჩემპიონები, წესით, ხვალ უნდა დაინყოს, ოღონდ მხოლოდ იმ მემთხვევაში, თუ სტუ-„შეკარდენი" თამაშზე თანხმობას განაცხადებს. საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონებს ხელბურთის ფედერაციისთვის საბოლოო პასუხი ჯერ არ მოეცია. თუ სტუ ასპარეზობაზე უარს იტყვის, აღმოსავლეთში ერთადერთი მაგრი გაიმართება - 26 მარტს სსუო "თბილისის" "ქარიშხალას" შეხვდება.

დავით ჯოხაძე
ქუთაისიდან

ქრონიკა

სომხეთში დიდებაგარიანად

სამპარტიელოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები გაემგზავრნენ სომხეთში, სადაც იქნარ ნაკრებებთან ერთობლივ შეკრებას გაიკეთებენ. 5 აპრილიდან კი ეროვნული ნაკრები ერევნის სერთაშორისო ტურნირში ჩაერთვება, სადაც, სავარაუდოდ, ამ შემადგენლობით ისპარეზებს: **ალექსან ჩქელიანი** (48 კგ), **გიორგი კილანავა** (51 კგ), **მერაბ თურქაძე**, **ილიკი ონაშვილი** (ორივე – 54 კგ), **ნიკოლოზ ბზარია** (57 კგ), **კობა ფხაკაძე** (60 კგ), **ლევან ლვამბარავა**, **ზაალ კვატხაძე** (ორივე – 64 კგ), **კახაბერ ჭვანია** (69 კგ), **ლევან გულეიდანი**, **რომან თავაძე** (ორივე – 75 კგ), **რევაზ ჭარლიანიშვილი**, **ლევან კლდიაშვილი** (ორივე – 81 კგ), **დავით გოგიაშვილი**, **ჯუსტან ნარსავიძე** (ორივე – 91 კგ), **ბექა ლობაჯანიძე**, **მიხეილ ბახტაძე** (ორივე - +91 კგ).

ახალგაზრდულ ნაკრებს კი 20 აპრილიდან ერევის მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ბაქოში გაიმართება. ზოგ მონაში კონკურენცია გრძელდება და პლანების პირველობაზე წამსვლელი ყველა მოკრიალე ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი. 7 აპრილიდან ქართველი და სომეხი ახალგაზრდები უკვე გლეანის დკდ-ის ბაზაზე დაინყებენ შეკრებას და აზერბაიჯანში ერთად გამგზავრებიან.

ლევან ჯაბნებაშვილი

ფიგურული ციგურაობა

დღეიდან გურინში

ბუშინტატლის ქალაქ ტურინში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. დღეს ასპარეზობაში ცინულზე მოეცილევე ნყვილები აუცილებელი პროგრამით რაგბებებიან. 27 მონაწილე ნყვილს შორის ქართველიცაა, **ელისო რიდი** და **ოთარ ჯღუარიძე** ცინულზე მე-9 გამოვლენ, ისინი გახსნიან მე-3 ჯგუფს. ხვალ ასპარეზზე ვაეკები გამოჩნდებიანა, ოღონდ იქ წარმომადგენელი არ გვყავს, **გიორგი კენჭაძე** კი ბუღგარეთის სახელით გამოვა. 26 მარტს ქალთა მოკლე პროგრამაა, რომელსაც მოუთმენლად ველით, 55 მონაწილეს შორის ხომ **ელენე გედევანიშვილიცაა**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

მშვილდოსნობა

ინტერვიუ თამაზ ფუტკარაძესთან

იმედების მედალი

მშვილდოსანი ქალთა ნაკრები გუშინ დილით დაბრუნდა ხორვატიიდან, სადაც წარმატებით გამოვიდა ევროპის ზამთრის ჩემპიონატში - გუნდურ პირველობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საამისოდ ჩვენმა ქალებმა ჯერ რუსთა „ორთავა არწივი“ დაჭრეს სასიკვდილოდ, მედალი კი გერმანელებთან შეხლაში დაისაკუთრეს. შეგახსენებთ, რომ ეს ჩვენი მანდილოსნების მესამე ევროპული ჯილდოა - 2002 წელს ვერცხლი ირგუნეს, 2004-ში - ბრინჯაო. ამჯერად ეს ხათუნა ნარიმანიძემ, ქრისტინე ესებუამ და ასმათ დიასამიძემ გააკეთეს.

ვინძლო, ეს მედალი გარდამტეხიც აღმოჩნდეს საქართველოში მშვილდოსნობის განვითარებისა და ხელახალი აღორძინებისთვის. ყოველ შემთხვევაში, ხორვატიაში წასვლამდე ამაზე ბევრი მინიშნება-დაპირება იყო, რამაც გამოხმაურება უმალ პოვა - ფედერაციის პრეზიდენტი მამუკა ქაცარავა თბილისში დაბრუნებისთანავე დაჰპირდა მსროლელებს პირობის შესრულებას, პირობა კი ძალზე საინტერესოა - ინვენტარით რეგიონების მომარაგება და ადგილებზე მშვილდოსნობის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ინვენტარით თბილისური სექტორი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია - დიდებიც და დამწყებებიც, რეგიონებში კი მართლაც საგანგაშო ვითარებაა. არადა, იმ უყურადღებობის პიროებებშიც კი, რაც აქამდე ქართულ მშვილდოსნობაში სუფევდა, ახალი კერები ძნელად და კანტი-კუნტად, მაგრამ რეგიონებში მაინც გამოჩნდნენ და მათგან ასაკობრივმა გუნდებმა უკვე შევსებაც მიიღეს. მშვილდოსნობის ფედერაციის სათავეში მოსვლის შემდეგ მამუკა ქაცარავამ პირველი დამაიმედებელი ნაბიჯები უკვე გადადგა, როცა დაარიგა ინვენტარი, შინაურულ ტურნირებში კი საპრიზო ფონდი დააწესა, რითაც სტიმული და მასობრიობა გააჩინა. იმედია, სასიკეთო რეფორმები მომავალშიც გაგრძელდება.

ბატონმა მამუკამ ხორვატიიდან მედლით დაბრუნებულ ქალთა ნაკრებსაც სასიამოვნო სიურპრიზი დაახვედრა - ფულადი პრემია. ამ სიახლეების, სამომავლო გეგმებისა და, ცხადია, განვლილი ტურნირის შესახებ საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი თამაზ ფუტკარაძე გვესაუბრება.

- უპირველესად, გილოცავთ ამ წარმატებას, რომელიც იოლად მოსაპოვებელი არ იქნებოდა.

- ცხადია, ევროპის ჩემპიონატზე იოლი ბრძოლები არ იქნებოდა. თანაც ყველა ძლიერი გუნდი გამოდიოდა. ისე მოხდა, რომ ფავორიტები თავიდანვე შეხვდნენ ერთმანეთს. მაგალითად, იტალიელებმა ფრანგები პირველივე წრეში დაამარცხეს, ჩვენ კი რუსებს შევხვდით. ამათთან თავიდანვე საბრძოლველად განვეწყვეთ, რადგან ვიცოდით, მაქსიმალური მობილიზაციის გარეშე ვერც მოვიგებდით და ვერც წარმატებაზე ვიფიქრებდით. გოგონებმაც მაგრად მოინდომეს, ძალიან კარგად იმუშავეს და 14 ქულით მოვუგეთ - 234:220, რასაც რუსებიც არ ელოდნენ. მათი ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ ეშეევი პირადად მოვიდა და მოგვილოცა წარმატება. ჩვენ თავის დროზეც ერთად ვისროდით და ახლაც კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. ეს გამარჯვებაც გულით მოგვილოცა და წარმატებაც გვისურვა.

მეორე შეხვედრა იტალიასთან გვიწევდა, რომელიც ძლიერი გუნდია. მათ ჰყავთ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი პირად პირველობაში ნატალია ვალეევა, რომელმაც პირადად განაწყო თანაგუნდელები საბრძოლველად - ნუ გეგონებათ, ქართველები რაიმეს გვაპატიებენო. მას კარგად ახსოვდა 2002 წლის ანალოგიური ტურნირი ანკარაში, სადაც იტალია გამოვთიშეთ ჩემპიონატიდან. მათთანაც დაძაბული ბრძოლა გაიმართა, რომელშიც იტალიელებმა ჩვენი შედეგი გაიმეორეს - 234, ჩვენ კი 227 დავაგროვეთ და შვიდი ქულით წავაგეთ. იტალიელებმა დიდი ენერგია შეალიეს ამ მოგებას, რის შემდეგაც ფინალში უკრაინელებთან დაბალი შედეგი აჩვენეს და ერთი ქულით წააგეს - 228:229.

რაც შეეხება ბრინჯაოს მედლისთვის ჩვენს შეხვედრას გერმანელებთან, გოგოებმა მართლაც კარგად იმუშავეს. განსაკუთრებით ასმათ დიასამიძეს გამოვარჩევ, რომელმაც იმდენად კარგად ისროლა, ისე იყოჩაღა, შეხვედრის დამთავრების შემდეგ გოგოებმაც აღნიშნეს. გერმანელებმაც კარგად ისროლეს, მაგრამ ერთმა სპორტსმენმა გაუფუჭა შედეგი - რვა-რვა და ბოლოს შვიდი ქულა გაარტყა. ეს მედალი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში მშვილდოსნობის განვითარებისთვის. იმედია, ამიერიდან კიდევ მეტი ყურადღება იქნება, რაც შედეგებზეც აისახება.

- ალბათ, მეორე ნახევარფინალური წყვილიდან გერმანია უფრო მისაღები მეტოქე იყო, ვიდრე - უკრაინა, რომელმაც ჯერ შესარჩევი ეტაპი მოიგო, მერე კი ჩემპიონიც გახდა...

- ცხადია, გერმანია გვერჩივნა. მათ ღია სასროლეთზეც გავჯიბრებივართ და ვიცით მათი სტილი. აი, იტალიას სროლა თუ წაუვიდა, მერე ძნელია მათთან ბრძოლა. თან ახლა ძველი მწვრთნელი დაიბრუნეს - კორეელი სპეციალისტი, რომელიც ბოლო წლებში ბრიტანეთში მუშაობდა. სწორედ იმ წლებში იტალიას ცოტა ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ კორეელის დაბრუნება შედეგზეც აისახა. ვალეევა ისედაც ძლიერი იყო, მაგრამ ახლა მოუმატა. ეტყობა, არის რაღაც ნიუანსები, ძირითადად ფსიქოლოგიური, რაშიც ერთმანეთს კარგად უგებენ. თან მას კონსულტაციებს რუსეთის ნაკრების მწვრთნელი სტანისლავ ზაბროცკიც უწევს, რომელიც ადრეც მისი მწვრთნელი იყო, როცა ვალეევა მოლდოვის სახელით გამოდიოდა. ვარჯიშისას ზაბროცკი ახლაც წამოვიდა და იტალიელებთან დადგა, იქიდან აძლევდა რჩევებს ვალეევას.

- ბრძანეთ, რომ ეს მედალი ხელს შეუწყობს საქართველოში მშვილდოსნობის განვითარებას. რას გულისხმობთ, არის კონკრეტული დაპირებები?

- ინვენტარს გვპირდებიან. ამ დილით ჩამოფრენისას აეროპორტში ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი მამუკა ქაცარავა დაგვხვდა, რომელმაც კიდევ ერთხელ აღგვითქვა, რომ რეგიონების ბავშვებისთვის იარაღს შეიძენენ. შედეგის გაკეთების შემთხვევაში იმავეს აჭარაც გვპირდება და, იმედია, შეგვიძენენ. იქ მართლაც გვჭირდება საბავშვო ინვენტარი. დიდები რომ შედეგს აღწევენ, ეს ინვენტარის დამსახურებაა და იგივეა საჭირო დამწყებებშიც.

- ამ ეტაპზე ქალთა ნაკრებში თანამედროვე ინვენტარის პრობლემა მოხსნილია?

- კი, მოხსნილია. ნარიმანიძეს ამერიკული „ჰოითის“ ფირმა აძლევს საჩუქრად მშვილდს, მისი სპონსორია, ესებუას და დიასამიძეს კი კორეული ფირმა ასპონსორებს იარაღით. არც ისრებია პრობლემა, ამასაც გვაძლევენ. როცა დაგვჭირდება ახალი ინვენტარი, ოფიციალურად მივმართავთ და გვიგზავნიან.

- ასეთი ურთიერთობა როგორ დაამყარეთ? ამას ბევრი ვერ შეძლებს.

- ამისთვის შედეგია საჭირო. შარშან ნარიმანიძე რეიტინგში მეათე იყო, თუმცა სამი მსოფლიოს თასი გამოტოვა, რის გამოც 32-ზე გადავარდა. ჩვენთან წესია, საუკეთესო 30 მსროლელი მუდმივი დოპინგკონტროლის ქვეშაა - სადაც მოესურვებათ, ჩამოვლენ და შეგამოწმებენ. თუ არ დავხვდები, დისკვალიფიკაციას მოგცემენ. იმედია, წლეულს მსოფლიოს თასებში ინტენსიურად გამოვალთ და ნარიმანიძეც დაიბრუნებს მოწინავე პოზიციებს.

- ამბობენ, რომ ამ წარმატებისთვის პრემიასაც მოგცემენ - 10 ათას ლარს.

- ეს აეროპორტში არც გაგვიგია, ტელევიზიით გავიგეთ სულ რაღაც ნახევარი საათის წინ.

ისე, 2002-ში, როცა ევროპის ანალოგიურ პირველობაზე ვერცხლი მოვიპოვეთ, სპორტის დეპარტამენტმა მოგვცა პრემია. შეიძლება, არ იყო ბევრი - ათას-ათასი ლარი იყო სპორტსმენზე, მაგრამ მაინც დიდი სტიმული იყო, ამით ხომ სპორტსმენის შრომა ფასდება. პრემიას 2004-შიც ველოდით, როცა ევროპაზე ბრინჯაო მოვიპოვეთ, მაგრამ გვითხრეს, ეგ ოლიმპიური სახეობა არაა და არც ისეთი შედეგია, პრემია მოგცეთო.

- ახალი ოლიმპიური ციკლია და როგორ ფიქრობთ, მოხდება სხვა გუნდებში სერიოზული საკადრო ცვლილებები? იყო ამის ნიშნები პორეჩში, სადაც ზოგიერთ გუნდში ახალი სახეები ვიხილეთ?

- არა მგონია, სერიოზული ცვლილებები მოხდეს. ალბათ, იგივე კადრები იქნებიან ამ ციკლშიც. ის ცვლილებები, რაც ზოგიერთ წამყვან გუნდში იყო, ახლების გამოცდის სურვილს უნდა მივაწეროთ, რადგან მათ უამრავი სპორტსმენი ჰყავთ და შანსი ყველას უნდა მისცენ, მაგრამ სერიოზულ საკადრო სიახლეებს მაინც არ ველოდებით. სამწუხაროდ, ჩვენ მათ მასობრიობით ვერ შევედრებით. აქ ვინც მოდის, ცვლა, ისევ ბათუმიდან. კი, ქვეყანაში საკმაოდ ბევრი კლუბი ამუშავდა, მაგრამ შედეგს ჯერ დრო უნდა, ორი-სამი წლის მუშაობა მაინცაა საჭირო.

- წლეულს კიდევ რომელ ტურნირებში გამოხვალთ?

- კალენდრამდე იმას გეტყვით, რომ ხორვატიაში წასვლამდე შეკრების გავლა ჩემი დაჟინებული მოთხოვნა იყო. ეს აუცილებელია, თუ მედლისთვის ბრძოლა გვინდა-მეთქი და დავამტკიცეთ კიდეც, რომ ეს საჭიროა. ჩამოფრენისთანავე ჩვენმა პრეზიდენტმა ქაცარავამ პირველი ეს მკითხა, სად გინდა შეკრების მოწყობაო. მე ვუთხარი, რომ ჯერ ასეთი რამ მხოლოდ ბათუმშია შესაძლებელი, სადაც პირობებიც არის და არც იჯარაა გადასახდელი-მეთქი. არადა, იჯარა ძვირი ჯდება, ჩვენ კი დარბაზს უსასყიდლოდ გვითმობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მის ხელმძღვანელობას. ქაცარავა შეგვპირდა, რომ ხორვატიაში 4-8 მაისს გასამართ მსოფლიოს თასამდე ბათუმში 15-დღიან შეკრებას მოგვიწყობს. მერე ხორვატიაში გამოვალთ, ამ ტურნირიდან იტალიურ რივერტოში გასამართ ევროპის პირველობამდე შვიდდღიანი შუალედია. ჩემი იდეაა, წინ და უკან სიარულს, ანუ ჯერ ხორვატიიდან საქართველოში ჩამოსვლას და მერე აქედან იტალიაში გაფრენას რაც თანხა სჭირდება, იმით იტალიაში გავიაროთ მცირე შეკრება. ამის პრობლემა არ იქნება - დავუკავშირდებით იტალიელებს და მოგვცემენ იქ შეკრების გავლის საშუალებას. ფედერაციიდან ამაზეც თანხმობა მივიღეთ. იმედია, იტალიაში ევროპის პირველობაზე რამდენიმე ბიჭსაც წავიყვანთ. მათ გამოსავლენად 9-10 აპრილს ბათუმში აჭარის ღია ჩემპიონატს ჩავატარებთ და იქ ყველა გამოვა, ვისაც ნაკრებში მოხვედრის პრეტენზია აქვს. ნაკრებში მოსახვედრად მათ 620-ქულიანი კვოტა დავუწესეთ, რაც 64 საუკეთესოში მოსახვედრად გამსვლელი ქულაა. რაც შეეხება ქალთა ნაკრებს, გადაწყვეტილია, რომ ოთხი მონაწილე გვეყოლება - ამ სამეულს, რომელმაც ახლა ხორვატიაში ისროლა, ხელვაჩაურელი ახალგაზრდა სპორტსმენი ნათია ცინცაძე დაემატება, რომელიც ნარიმანიძის მოსწავლეა. შარშან მან შეკრებაზე 1280 ქულაც გააკეთა და ვფიქრობ, შეიძლება მისი გამოცდა. თან აუცილებელია, ახალგაზრდებიც ვატაროთ ტურნირებზე, რათა უფროსებთან ერთად გაიზარდონ. მსოფლიოს თასებზე ოთხი მონაწილის გამოყვანა შესაძლებელია და შეჯიბრებებზე ქალები მაინც უნდა ვატაროთ ამდენი.

- ოლიმპიური ლიცენზიების განაწილების პრინციპი იგივე იქნება, თუ შეიცვლება რამე?

- ჯერ ზუსტად არ ვიცით, არ გადაწყვეტილა, მაგრამ, ალბათ, იგივე სისტემა იქნება. არის წინასწარი ინფორმაცია, რომ გაისად გასამართ მსოფლიოს პირველობაზე გუნდურ ჩათვლაში თექვსმეტ საუკეთესოს შორის ვინც მოხვდება, სამივე საგზურს მიიღებს, ანუ გუნდურ პირველობაშიც გამოვალთ, ამ ტურნირში კი მედლის აღება უფრო იოლია, ვიდრე - პირადში. თუმცა ეს ჯერ არაა გადაწყვეტილი. ალბათ, ლიცენზიების უმეტესობა გაისად, მსოფლიოს პირველობაზე გაიცემა, მაგრამ რაღაც ნაწილი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზეც გათამაშდება. თუმცა გვირჩევნია, ეს საქმე გაისადვე მოვიმთავროთ და მერე ოლიმპიადისთვის მშვიდად მოვემზადოთ საგანგებო განრიგით. ევროპის პირველობაზე ერთხელ უკვე გაგვიმართლა, როცა 2000 წელს მოვიპოვეთ საგზური და ბედი განა ყოველთვის გაგვიღიმებს.

ირაკლი თავაძე

სუმოს სამყარო

ჰარუ ბაშო. 14-28 მარტი



ტოჩინოშინისა და კოტოგოშიკუს ორთაბრძოლა

გაგამარუმ მე-200 იჭიდავა

გუშინ გაზაფხულის ბაშოზე მეტად დასანანი მარცხი იწვნია დასავლეთის მე-6 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)**. ქართველის მეტოქე ყოფილი სეკივაკე **კოტოშოგიკუ** იყო. იაპონელმა „ერთი ამოსუნთქვით“ განდევნა ჩვენებური დოჰიოს რკალიდან. ტოჩინოშინს 6-3 ბალანსი აქვს, იმპერატორის თასისთვის ბრძოლა თითქმის გამორიცხულია, 22 წლის რიკიშის მთავარი საზრუნავი დადებითი ბალანსის მალევე მიღწევა და რაც შეიძლება მეტი „ზეგეგმური“ გამარჯვების მოპოვებაა. ლევანს საამისოდ 6 ორთაბრძოლა დარჩა.

დღეს გორგაძე მონღოლ **ტოკიტენკუს** შეხვდება, მე-13 მაეგაშირას 8-1 ბალანსი აქვს და ლიდერთა დუეტს კვალში უდგას. აქამდე ამ ორ რიკიშის შორის 3 ორთაბრძოლა გაიმართა და ქართველმა მხოლოდ ერთი მოიგო.

მე-14 მაეგაშირა **კოკაიმ (ლევან ცაგურიამ)** მე-6 მოგება მიითვალა, მან ორივე ხელით მოიგდო **შიმოტორის** მავაში და მეტოქე დოჰიოდან მშვიდად გაიყვანა. კოკაის 6-3 ბალანსი აქვს და ორი მოგებაღა აშორებს სამშვიდობოს - ექვს წელიწადზე მეტია, ჩვენებური უმაღლეს დივიზიონშია და ერთხელაც არ გავარდნილა, არ გავარდება, ალბათ, არც ამჯერად. კოკაის მორიგი მეტოქე **კიტატაიკია**, რომელსაც აქამდე სამჯერ შეხვდა და სამივეჯერ მოუგო.

ძურიოს დივიზიონში ოთხმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**, რომელმაც „თეთრი ფასკუნჯი“ **ჩიოჰაკუჰო** გააგდო დოჰიოს რკალიდან. ეს ჩვენებურის მე-200 ორთაბრძოლა იყო პროფესიულ სუმოში. გაგამარუს 4-5 ბალანსი აქვს და კიდევ 4 მოგება სჭირდება დადებითი ბალანსის დასაბევებლად, რომელიც მას, სავარაუდოდ, უმაღლესი დივიზიონის საგზურსაც მოუტანს. გაგამარუს დღევანდელი მეტოქე მე-7 ნომერი **კიოკუნანკაია**. 32 წლის კიოკუნანკაის არასოდეს უჭიდავია უმაღლეს დივიზიონში.

გაზაფხულის ბაშოზე ორი დაუმარცხებელიღა დარჩა, იოკოძუნა **ჰაკუჰომ** და სეკივაკე **ბარუტომ** 9-9 ორთაბრძოლა მოიგეს. მონღოლს და ესტონელს კვალში ორი მონღოლი უდგას 8-8 მოგებით, ოძეკი **ჰარუმაფუჯი** და მე-13 მაეგაშირა **ტოკიტენკუ**. სავარაუდოდ, სწორედ ამ ოთხეულში გაირკვევა იმპერატორის თასის მფლობელის ვინაობა.

IX დღე: **ჰაკუჰო**-ტოიონოშიმა (ოშიდაში), **ჰარუმაფუჯი**-ტოსაიუტაკა (ოშიდაში), **კოტოოშუ**-ტამავაში (იორიტაოში), **ბარუტო**-კაიო (იორიკირი), **კოტომიცუკი**-ტოიოჰიბიკი (იორიკირი), **კისენოსატო**-კაკურიუ (იორიტაოში), **ამინიშიკი**-კიოკუტენჰო (იორიკირი), **ვაკანოსატო**-ტაკეკაძე (ჰატაკიკომი), **ივაკიამა**-არანი (უვატენაგე), **კოტოშოგიკუ**-ტოჩინოშინი (იორიკირი), **ჰომაშო**-კაკიძოე (ოშიდაში), **ტოჩიოძანი**-ასასეკირიუ (ოკურიდაში), **მიაბიამა**-ტოკიტენკუ (ჰიკიოტოში), **ჰაკუბა**-ტაკამისაკარი (კოზუმატორი), **იოშიკაძე**-საგაცუკასა (ჰიკიოტოში), **კიტატაიკი**-მოკონამი (იორიკირი), **კოკაი**-შიმოტორი (იორიკირი), **ჰოკუტორიკი**-ბუშუიამა (ჰიკიოტოში), **კასუგაო**-ოკინოუმი (ცუკიოტოში), **ტოკუსეგავა**-ტამანოშიმა (იორიკირი).

სატურნირო მდგომარეობა:

9-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), **ბარუტო** (სეკივაკე).

8-1: ჰარუმაფუჯი (ოძეკი), **ტოკიტენკუ** (მაეგაშირა 13).

7-2: კოტოოშუ (ოძეკი), **კოტოშოგიკუ** (მ 3), **ჰომაშო** (მ 5), **მიაბიამა** (მ 7)... 6-3: **ტოჩინოშინი** (მ 6), **კოკაი** (მ 14).

X დღე: ჰაკუჰო-ტოსაიუტაკა, კოტოოშუ-ბარუტო, კოტომიცუკი-კაიო, ჰარუმაფუჯი-ტოიოჰიბიკი, ტოიონოშიმა-ვაკანოსატო, ამინიშიკი-კაკურიუ, კისენოსატო-კიოკუტენჰო, არანი-ტამავაში, კოტოშოგიკუ-ტოჩიოძანი, ჰომაშო-ასასეკირიუ, **ტოჩინოშინი**-ტოკიტენკუ, კაკიძოე-ოკინოუმი, ტაკამისაკარი-მიაბიამა, ტაკეკაძე-ტამანოშიმა, ივაკიამა-საგაცუკასა, იოშიკაძე-ტოკუსეგავა, ჰაკუბა-კასუგაო, შიმოტორი-ბუშუიამა, **კოკაი**-კიტატაიკი, ჰოკუტორიკი-მოკონამი.

ძურიო

IX დღე (მნიშვნელოვანი): **გაგამარუ**-ჩიოჰაკუჰო (იორიკირი), **ასოფუჯი**-შოტენრო (ოშიდაში), **ვაკაკოიუ**-ტოსანოუმი (ჰატაკიკომი), **მასაცუკასა**-სოკოკურაი (უვატედაშინაგე), **კოტოკასუგა**-ტოჩინონადა (ოშიდაში).

სატურნირო მდგომარეობა

7-2: კორიუ (ძურიო 6), **ტამაასუკა** (d 13).

6-3: ტოჩინონადა (d 2), **კიმურაიამა** (d 4), **კოტოკასუგა** (d 6), **ჩიოჰაკუჰო** (d 8), **მასურაუმი** (d 14), **დაიდო** (d 14)... **4-5: გაგამარუ** (d 3).

X დღე (მნიშვნელოვანი): **გაგამარუ**-კიოკუნანკაი, ვაკაკოიუ-საკაიზავა, შოტენროკიოსეუმი, ჩიოჰაკუჰო-ტოჩინონადა, მასაცუკასა-კაიჰო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სამთო-თხილამურობა

სესტრიერეში მხოლოდ გელაშვილი

ვანკუვერის ოლიმპიადის მონაწილე **ჯაბა გელაშვილმა** იტალიურ სესტრიერეში ორ გიგანტურ სლალომში ისრიალა, რომლებიც ფის-ის ეგიდით გაიმართა. 17 წლის ქართველმა პირველ გიგანტურ სლალომში 31-ე ადგილი დაიკავა, მეორეში კი - 36-ე. ორივე შემთხვევაში ფინიშამდე ასამდე სპორტსმენი მივიდა. 21 მარტს ის სლალომში უნდა გამოსულიყო, თუმცა ბოლო წამს შეჯიბრებიდან მოიხსნა. სამთო-სათხილამურო სეზონი კი დასრულდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არის ერი

ლე ბლე დიდ სლემს ზეიმობს

საფრანგეთმა დიდი სლემი შეასრულა

საფრანგეთის ნაკრებმა ექვსი ერის წლევანდელ გათამაშებაში ხუთიდან ხუთივე თამაში მოიგო, პირველი ადგილი დაიკავა და დიდი სლემი მეცნიერად შეასრულა.

„ლე ბლეს“ ყველაზე მეტად ბოლო ტურში შინ ინგლისის ნაკრებთან გაუჭირდა. „სტად დე ფრანსზე“ „პომებმა“ მასპინძლებს დიდი ნინააღმდეგობა გაუწიეს და, შეიძლება ითქვას, სეზონში საუკეთესო შეხვედრა გამართეს. ინგლისელები ამ მატჩში ახალმა კაპიტანმა **ლუის მუდიმ** გამოიყვანა, რადგან **სტიე ბორგეიმა** მუხლი დაიშავა და თამაშამდე ვერაფრით მოიშუშა.

კიდევ ერთი სიახლე **ჯონი ვილკინსონის** სათადარიგოთა სკამზე დასმა იყო. **მარტინ ჯონსონმა** კრიტიკას ვერ გაუძლო და მის ნაცვლად გუნდის მგეზავის საქმე **ტონი ფლუდს** ანდო. ტრიბუნად არ უთამაშია, თუმცა ჯონსონი ბოლომდე ვერ ენდო და მეორე ნახევარში მოედანზე ისევ „ვილკო“ გამოჩნდა.

ფრანგები „პომებს“ საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდნენ. „ლე ბლეს“ ექვსი ერიზე პირველი ადგილი განადღებული ჰქონდა. ინგლისთან მოგება კი დიდ სლემს შეასრულებინებდა. როგორც ჩანს, გამარჯვების წყურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ფრანგები „გადაინერნენ“.

თუმცა დასაწყისში, როგორც „მასპინძლის წესია“, მეტოქეს აქტიურად შეუტიეს და მე-4 წუთზე მგეზავმა **ფრანსუა ტრინ-დუკამა** არეკნილი ანგარიში გახსნა - 3:0. ინგლისელებმა არ დაახანეს და სამიოდ წუთში ფუთბეკ **ბენ ფოდენის** ლელოთი იხეირეს. ფლუდმა გარდასახა ზუსტად დაარტყა და „პომების“ - 7:3 დანინაურდნენ.

ტაიმის ბოლომდე მასპინძელთა ცხრა ნომერმა **მორგან პარამ** იყოინავლა. მან სამი საჯარიმო გაიტანა და ფრანგები ხუთი ქულით დაანინაურა - 12:7.

საოცარია, მაგრამ ექვსი ერის წლევანდელი გათამაშების ყველაზე შედეგიანმა გუნდმა მეორე ტაიმში ძონგარის ვერაფერი შემატა. ინგლისელებმა მასპინძელთა უეცარი სიბაუზე ვერ გამოიყენეს და მხლოდ ჯონი ვილკინსონის ერთადერთი საჯარიმოს დახვერხენ. ჯონიმ თამაშის დასრულებამდე 12 ხუთით ადრე ანგარიშში სხვაობა ორჯერ შეამცირა - 10:12.

მეტი ვერც ერთმა შეძლო და ფრანგებმა ნანატრი დიდი სლემი მეორეს.

სენსაციური დასრულდა ექვსი ერის ბოლო შეხვედრა დუბლინში. ირლანდიის ნაკრებმა საკუთარ კედლებში აუტსაიდერ შოტლანდიასთან ნააგო - 20:23.

მასპინძლები ამ შეხვედრაში უფავრულად გამოიყურებოდნენ. ძნელია, მათ ახალგაზრდა მგეზავ **ჯონათან სექსტონს** რამე დაბარებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 51-ე წუთიდან მის ნაცვლად გამოცდილი **რონან ოგარა** ჩაერთო თამაშში, „სამყურები“ საგრძნობლად გამოცოცხლდნენ, თუმცა მატჩის გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს.

შოტლანდიელებმა თამაშში ყველაზე ფერი ჩადეს. მატჩის ვმირი „სკოტების“ მგეზავი **დენიელ პარქსი** გახდა, რომელმაც გუნდს 18 ქულა მოუტანა (ხუთი საჯარიმო და არეკნი). ანგარიში საჯარიმოდან სწორედ პარქსმა გახსნა - 3:0, რასაც ირლანდიელი ზურმანძმა მარკ მორგბემ **ბრიან ოფრისკოლა** ეკლოთი უპასუხა, სექსტონმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:3.

პირველ ტაიმში „სამყურებმა“ სახეირო ვეღარაფერი გაახერხეს. შოტლანდიელმა მესამეხაზელმა **ჯონი ბითიმ** შვიდ წუთში სამასუხო ლელო გაიტანა. პარქსმა გარდასახვა ვერ გაიტანა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტოქის კარი ერთხელ არეკნით და ორჯერ საჯარიმოთი დალახვრა - 14:7. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

პარქსმა მეორე ტაიმის დასაწყისში ისევ საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა ათამდე გაზარდა - 17:7. 51-ე წუთზე სექსტონმა საჯარიმოთივე უპასუხა და იმნამსვე ოგარათი შეცვალეს - 10:17. თორმეტ წუთში ირლანდიელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს: ლელო **ტომი ბოუიმ** გაიტანა, ოგარამ გარდასახა - 17:17.

მომდევნო თორმეტ წუთში გუნდებმა საჯარიმოები გაცვალეს - 20:20. მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე კი პარქსმა „სკოტებს“ გამარჯვება მოუტანა - 23:20.

უეცნაბა, როგორც მოსალოდნელი იყო, შინ იოლად დამარცხა იტალიის ნაკრები - 33:10. უცილებლები მეტოქეს 64-ე წუთამდე მშრალი ანგარიშით - 26:0-ს უგებდნენ. მათ მიერ გატანილი სამი ლელოდან ორი შუამარტ **ჯიმი ჰუკის** ანგარიშზეა, ერთიც გუნდის ლიდერმა **შეინ ვილიამსმა** მიითვალა.

უელსი-იტალია 33:10

უელსი (15-9) ბირნი, პრიდი, ჰუკი, რობერტსი (მაკლინ 63), შვილიამსი, სჯონზი (მიშოი 69), ფილიპსი. (1-8) ჯენკინსი, რიზი (მენედი 63), აჯოუნზი (პ.ჯეიმზი 63), დევისი, რარტერისი, თომასი, ჯარბურტონი, რ.ჯოუნზი.

მწვ: ჰუკი (2), შვილიამსი. მკ: სჯოუნზი

იტალია (15-9) მაკლინი, რობერტსონი, კანალე (პრატიკეტი 3), გარსია, მირკო ბერგამასკო, გოვერი, კანავარო (დებალდი 24). (1-8) პორჯიონი, ჯილარდინი (ნეგარო 64), კასტროჯიოვანი, გელდენაუზი, ბორტოლამი (ბერნაბო 68), სოლე, მაურო ბერგამასკო, ძანი.

ლ: მაკლინი. გ,ს: მორკო ბერგამასკო

ირლანდია-შოტლანდია 20:23

ირლანდია (15-9) მერფი (ჯონსი 26), ბოუი, ოფრისკოლი, დარსი, ეარლზი, სექსტონი (ოგარა 51), ოლირი. (1-8) ჰილი, ბეტი, ჰეივსი (ბაკლი 79), ოკაკაჰანი, ოკონელი, ფერისი, ვოლესი, ჰისლეი.

ქლ: ოფრისკოლი, ბოუი. მკ: სექსტონი, ოგარა, მკ: სექსტონი, ოგარა.

შოტლანდია (15-9) საუთეიელ, ლამონტი (დენიელ 74), დე ლუკა, მორისონი, ევანსი, პარქსი, კაზიბერი (ბელერ 51). (1-8) ოკაკასანი (დიკინსონი 65), ფორდი (ლაუსონი 72), მურეი, ჰამილტონი (გრეი 60), კელლეი, ბრაუნი (მაკდონალდი 50), ბარკლი, ბითი.

ლ: ბითი. მწვ: პარქსი.

საფრანგეთი-ინგლისი 12:10

საფრანგეთი (15-9) ჰუკერნეუო, ენდრიუ, ბასკარო (მარტი 50), ფონთინი, პალისონი, ტრინ-დუკა, პარა. (1-8) ფონთეო (პუ 50), სერვა, მასი, ნალე, პიერი (შაბალო 59), დუსოტუარი, ბონერი, არინორდეკა (ლაპანერი 60).

მწვ: პარა, ა: ტრინ-დუკა.

ინგლისი (15-9) ფოდენი, კეიტლი, ტინდალი (ტაილი 51), ფლუდი (ვილკინსონი 61), ეშტონი, ფლუდი, კერი (ოუენზი 64). (1-8) კოლი (ვილსონი 41), პარკლი (თომპსონი 41), ჰეინი, დიკონი, შოუ (პალმერი 76), ოთერი, ვორსლი (ჰასკელი 64), შეფი.

ლ: ფოდენი, ა: ფლუდი, ს: ვილკინსონი.

საპრემიერო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	ხ	ქ
1. საფრანგეთი	5	5	0	0	+66	10
2. ირლანდია	5	3	0	2	+11	6
3. ინგლისი	5	2	1	2	+12	5
4. უელსი	5	2	0	3	-4	4
5. შოტლანდია	5	1	1	3	-17	3
6. იტალია	5	1	0	4	-68	2

ზე 14

ბებერი ხარები რქებით ხნავენ

ზე 14-ის გათამაშებას დუმარცხებლად ლიდერობს შარშანდელი ჩემპიონი, სამხრეთაფრიკული „ბლუ ბულზი“. პრეტორიელებმა მეექვსე ტურში ველინგთონის „ჰარიკენზს“ უმასპინძლეს და მინიმალური სხვაობით გამარჯვებას დასჯერდნენ - 19:18.

„ბულზმა, აქამდე მეტოქეებს ლელოებით რომ ავსებდა, „ჰარიკენზს“ მხოლოდ ერთი ლელო აკმარა. მეტიც, ისინი 29-ე წუთამდე მშრალად, 0:12-ს აგებდნენ. ჰარიკენზელებმა სანყის ოც წუთში მასპინძლებს ორი ლელო გაუტანეს. თავი მეორეხაზელმა **ჯერემი თორუმმა** და მესამეხაზელმა **კარლ ლოუმ** გამოიჩინეს. მგეზავმა **ვილიამ ჩიპმა** მხოლოდ თრუმის ლელო გარდასახა.

„ხარებმა“ ანგარიში ფუთბეკე **ზენ კირხნერის** ლელოთი შეამცირეს, რომელიც მგეზავმა **მორნი სტეინმა** გარდასახა - 7:12. ოფრიკელები სწორედ სტეინის ფეხრუბინობას უნდა უმადლოდნენ, მატჩის ბედი სათავისოდ რომ შეაბრუნეს. სტეინმა დარჩენილ დროში კიდევ ოთხი საჯარიმო გაიტანა, რაზეც რიჩიამ ორით უპასუხა.

საკმაოდ უხვქულიანი გამოდგა ქრაისთჩერჩში „კრუსეიდერზის“ დაპირის-პირება ოპპონენტურის „ლაიონზთან“. ზელანდიურმა გუნდმა მეტოქე 46:19 დაამარცხა.

კრუსეიდერზელებმა, რომლებმაც მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს, გადამწყვეტ უპირატესობას მატჩის ბოლო ოც წუთში მიაღწიეს. ხუთიდან სამი ლელოც სწორედ დროის ამ მონაკვეთზე მოვიდა. ბრწყინვალედ გაისარჯა ზელანდიელთა ოცდაორი წლის მგეზავი **კოლინ სლეიდი,** რომელმაც გუნდს 21 ქულა მოუტანა (ხუთი საჯარიმო და სამი გარდასახვა). ორი ლელო გარემარბ **შეინ მიტლანდის** ანგარიშზეა.

„კრუსეიდერზი“ ახლა 23 ქულით მესამე ადგილზეა და ალეი ოფში გასცილს კარგი შანსი აქვს, რადგან მეოთხედგალისაკ „ვორათაზს“ ხუთი ქულით უსწრებს. მემვიდე ტურში კრუსეიდერზელები ინ დაამარცხა „ვორათაზის“ კონკურენტი, კანბერის „ბრამბიზი“ - 39:34.

ამ შეხვედრაში თავი გამოირჩინა ოქლენდელმა გარემარმა **ჯო როკოთოკომ**, რომელმაც მეტოქეს ორი ლელო გაუტანა. „ბრამბიზის“ მგეზავმა **მეთ გიტომ** კი ყველაზე მეტი, 19 ქულა დააგროვა (ხუთი საჯარიმო და ორი გარდასახვა).

VI ტური

ჯლუზი-ბრამბიზი	39:34
ბლუ ბულზი-პარიკენზი	19:18
ჩრსაისთჩერჩი-ლაიონზი	46:19
ალბერნდჩერი-ნატალ შარძი	16:30
შორკი-ვორათაზი	10:14
სტორმერთზი რიბაზი	21:8

საბურნარო მდგომარეობა: 1. ბლუ ბულზი - 24 ქულა, 2. სტორმერზი - 23, 3. კრუსეიდერზი - 23, 4. ვორათაზი - 18, 5. ბრამბიზი - 17, 6. ჩიფსი - 16, 7. რედსი - 15, 8. პარიკენზი - 15, 9. ბლუზი - 14, 10. ჩიტაზი - 9, 11. შარქსი - 8, 12. პაილენდერზი - 6, 13. ლაიონზი - 2, 14. ფორსი - 1.

VII ტური

26 მარტი: ბრამბიზი-ჩიფსი, პაილენდერზი-ლაიონზი, ჩიტაზი-რედსი

27 მარტი: პარიკენზი-ბლუ ბულზი, ფორსი-ბლუ ბულზი

ბურეითი დენი როსუ

ავტომობილი რეიტინგი

ორი საუნებურით დავინიაურდით

საბარმელოს ნაკრები მსოფლიო რეიტინგში ორი საფეხურით დანინაურდა. ტრაბზონში რუსეთის ნაკრების დამარცხების შემდეგ „შორეულოსნებს“ 68,09 ქულა დაუგროვდათ და ახლა მე-16 ადგილზე არიან. ერთი საფეხურით ნინაა ტონგის ნაკრები, რომელიც სულ რაღაც 0,02 ქულით გვისწრებს. რუსები კი მე-16 პოზიციიდან მე-19-ზე ჩამოქვეითდნენ.

მსოფლიო რეიტინგი: 1. ახალი ზელანდია 91,68 ქულა. 2. სამხრეთ აფრიკა - 88,60. 3. ავსტრალია - 85,56. 4. საფრანგეთი - 85,43. 5. ირლანდია - 82,61. 6. არგენტინა - 80,56. 7. ინგლისი - 80,10. 8 უელსი - 78,91. 9. შოტლანდია - 76,79. 10. ფიჯი - 75,90. 11. იტალია - 72,97. 12. სამოა - 72,08. 13. იაპონია - 70,59. 14. კანადა - 68,80. 15. ტონგა - 68,11. 16. საქართველო - 68,09. 17. აშშ - 67,05. 18. რუმინეთი - 67,05. 19. რუსეთი - 65,45. 20. პორტუგალია - 61, 27. 25. ესპანეთი - 57,70. 31. გერმანია - 53,22.

ბეჭერი ფოსტოლა

ბესიკ ჯანგავაძე

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

სუპერლიგა. XVII ტური

თერთმეტი

22 მარტი. რუსთავი

ენერჯი–დინამო 107:76

18:24, 30:13, 32:17, 27:22

ენერჯი: ბაბიაშვილი (21ქ, 7მ, 2დ), ჩიტაშვილი (6ქ, 5მ), ცეკვავა (15ქ, 3ჩ), აბაიშვილი (9ქ), ტულუში (13ქ, 3პ), დვალიშვილი (6ქ, 7მ), არნივიძე (8ქ, 3პ), ხმელიძე (2ქ), ტუჯანი (6ქ), ბოისა (4ქ), პირველაშვილი, ტილფორდი (17ქ, 3პ)

დინამო: ნანიტაშვილი (6ქ), სანაძე (20ქ, 3პ), ეძგვერაძე (6ქ, 3პ), სიგუა (5პ, 5მ), ცაგარეიშვილი, გემაზაშვილი (4ქ, 6მ), ჩაველაშვილი (5ქ), დეკანოიძე (12ქ, 7მ), კოპალიანი, ლონდარიძე (23ქ, 10მ)

მსაჯები: გ. მიქელაძე, მ. ანდღულაძე

კომისარი: თ. ქიქოძე

თბილისი. სპორტის სასახლე

შსს–ბათუმი 86:75

11:14, 29:14, 24:26, 22:21

შსს: დ. ბერიშვილი (10ქ, 5მ, 3პ), ლაფანაშვილი (18ქ, 9მ), ი. ბერიშვილი (14ქ, 5პ), მარკოიშვილი (8ქ), კორკოტაძე (3ქ), შერმადინი (5ქ, 9მ, 2დ), სუხიშვილი (8ქ, 5მ), ათუაშვილი (2ქ), ნიკოლაძე (18ქ, 4პ)

ბათუმი: ვ. მაისურაძე (15ქ, 3პ), ბ. ლეჟავა (18ქ, 3პ), თავართქილაძე (11ქ, 7მ), კეშელავა (12ქ, 5მ), ნინუა, იმნაძე (11ქ, 19მ, 2დ), როდუმტა (8ქ, 9მ, 4დ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

კომისარი: მ. რატიშვილი

თსუ–სოხუმი 107:77

26:20, 19:17, 34:22, 28:18

თსუ: ფანჩულიძე (13ქ), გაფრინდაშვილი (9ქ), მინაშვილი (31ქ, 5მ, 2დ), კოხრეიძე (7ქ, 7მ), ლოსაბერიძე (14ქ, 4პ, 4ჩ), შანიძე (11ქ), ხეცურიანი (9ქ, 6პ, 5მ), ივანეიშვილი, დ. ბარბაქაძე (4ქ), დეკანოიძე (2ქ), ხიზანიშვილი (7ქ, 5პ), კუჭავა

სოხუმი: ტეტელაშვილი (8ქ), სორდია (8ქ, 7მ, 3პ), ტიკიშვილი, კვეტენაძე (9ქ, 9მ), ბ. ბერიშვილი (22ქ, 4ჩ), კანკია (20ქ, 8მ, 4ჩ), კობიძე (6ქ), მეხრიშვილი, სულაბერიძე, გაბელია (4ქ), როგავა

მსაჯები: გ.მიქელაძე, მ. ანდღულაძე

კომისარი: რ. გელოვანი

ქიათურა–აგრარული 97:119

23:30, 29:23, 18:32, 27:34

ქიათურა: ფ. გურული (25ქ, 8პ, 3ჩ), არონია (5ქ, 3პ, 3ჩ), ხაჩიური, ენუქიძე (8ქ, 6მ, 5პ), დოლიძე (33ქ, 5მ, 3პ, 3ჩ), ჯ. გურული, სვანიძე (15ქ, 4პ), გაბუნია (11ქ, 6მ)

აგრარული: გულისაბედაშვილი (14ქ, 9მ, 3ჩ), წივწივაძე (29ქ, 9პ), მარხვაშვილი (11ქ, 3პ), გასიტაშვილი (3ქ), ნინიაშვილი (2ქ), ათანელიშვილი (14ქ, 15მ, 3ჩ), კანდელაკი (3ქ), მათიაშვილი (26ქ, 9მ, 3პ), დიდია (17ქ, 6მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. არეშიძე

კომისარი: რ. ხომერიკი

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე სუპერლიგას ერთი ინტრიგალა შერჩენოდა: გასარკვევი იყო, შსს და „ბათუმი" მეოთხე-მეხუთე ადგილებს როგორ გაინაწილებდნენ. ამ გუნდების აჭარული შეხვედრა ბათუმელებს 94:83 ჰქონდათ მოგებული და ძალოვნებს განმეორებით მატჩში 11-ზე მეტი სხვაობით მოგება სჭირდებოდათ, რათა მეოთხე ადგილი დაეკავებინათ და მეოთხედფინალში მოედნის უპირატესობა დაებევებინათ.

გუშინ ამ გუნდების თბილისურ მატჩში ყველაფერი „ბათუმის" სასარგებლოდ დაიწყო: ზღვისპირელებმა საწყისი 6 წუთი 11:0 მოიგეს. თუმცა შსს-მ მეოთხედის ბოლოს თამაში გამოასწორა, ხოლო მეორე პერიოდში 10 ქულითაც დაწინაურდა. მეოთხე რაუნდის დასაწყისში შსს-მ 16-ქულიან სხვაობას მიაღწია, რაც მეოთხე ადგილის დაკავებისთვის საკმარისი ფორა ჩანდა. ეს კარგად ესმოდათ სტუმრებს, რომლებიც არ დანებდნენ: საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე **ბესიკ ლეჟავამ** სამქულიანი ჩააგდო, ამას მოჰყვა **ლაშა კეშელავას** ჯარიმიანი ორქულიანი და 6:0 გაქცევის შემდეგ ბათუმელებმა სხვაობა 6 ქულამდე შეამცირეს (71:77). მატჩის დასრულებას 38 წამი უკლდა, როცა **ლექსო ლაფანაშვილმა** ურთულესი პოზიციიდან სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა კვლავ 11 ქულამდე გაზარდა.

მომდევნო შეტევა ბესიკ ლეჟავამ ორქულიანით დააგვირგვინა, ხოლო სირენამდე 4 წამით ადრე **დავით ბერიშვილმა** „ბათუმის" კალათი შორეული ტყორცნით შეარხდალაშქრა. ერთმა მსაჯმა სამქულიანი დააფიქსირა, მეორემ - ორქულიანი. გარედან აშკარად ჩანდა, რომ ბერიშვილმა ტყორცნისას სამქულიანის ხაზს ფეხი დაადგა. ეს მატჩის კომისარმაც შენიშნა, მსაჯები თავისთან იხმო და მცირე თათბირის შედეგად ბერიშვილის ნატყორცნი ორქულიანად შეფასდა, რის შედეგადაც ტაბლოზე ისევ 11-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა - 86:75.

ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა წაგებულმა გაიხარა. საქმე ისაა, რომ ორივე გუნდმა საშინაო შეხვედრები ერთნაირი სხვაობით მოიგო. ასეთ დროს უპირატესობა იმას ენიჭება, რომელსაც ჩაგდებულ-მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს. „ბათუმს" +183 უწერია, ხოლო შსს-ს +136. 183-136=47. ასე რომ, უპირატესობა ზღვისპირელთა მხარესაა, თუმცა ოფიციალურად მეოთხე-მეხუთე ადგილოსანთა ვინაობას ბოლო ტური გაარკვევს: შსს „დინამოს" ეთამაშება, ხოლო „ბათუმი" „სოხუმს" უმასპინძლებს.

■ ■ ■

რუსთავში „ენერჯიმ" „დინამოს" იოლად მოუგო. 20 წუთი ითამაშა ახალწვეულმა **დომონიკ ტილფორდმა**, რომელმაც 5-დან 3 ორქულიანი, 6-დან 3 სამიანი, 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 17 ქულას 3 პასი მიამატა. ასე რომ, პირველ მატჩთან შედარებით დომონიკმა თამაში აშკარად გააუმჯობესა...

ასევე იოლად გაიმარჯვეს სტუდენტებმა: თსუ-მ და „აგრარულმა".

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. ენერჯი	16	16	0	1418/948	32
2. სსაუ	16	14	2	1305/1093	30
3. თსუ	17	13	4	1576/1264	30
4. ბათუმი	17	10	7	1400/1217	27
5. შსს	17	10	7	1397/1261	27
6. სოხუმი	17	6	11	1211/1352	23
7. დინამო	16	6	10	1177/1340	22
8. სამედ/აკად.	17	3	14	1078/1277	20
9. მერანი	16	1	15	942/1633	17
10. ავიამშენი	17	4	13	770/889	13

ქართველი NBA-ში

პლეი ოფში ოფიციალურად

ატლანტამ სან ანტონიოსაც აჯობა

ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოქსმა" ზედიზედ მეორე საშინაო შეხვედრა ჩაატარა და მეორედ გაიმარჯვა ოვერტაიმში. ამჯერად „ქორებმა" „სან ანტონიო სპურსს" აჯობეს - 119:114.

ისევე, როგორც „შარლოტთან" მატჩში, „ატლანტა" საფინალო სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე ოთხი ქულის სხვაობით აგებდა (101:105). დარჩენილ დროში ჯერ **ჯო ჯონსონმა** ჩააგდო ორქულიანი, შემდეგ **ელ ჰორფორდმა** და - 105:105. ბოლო იერიშის უფლება ისევ „ჰოქსს" დარჩა, თუმცა ჯომ საშუალო დისტანციიდან ტყორცნა მიზანს ააცილა და შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა.

დამატებით დროში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და ოვერტაიმის დასრულებამდე 1:37 წუთით ადრე **ტიმ დანკანის** საჯარიმოების შემდეგ ტაბლოზე ექვსი „ჯოხი" აენთო: 111:111. შემდგომ „ატლანტას" გადამწყვეტი ქულები ისევ ელ ჰორფორდმა მოუტანა.

ელმა 41 წუთში 22 ქულა და 18 მოხსნა მიითვალა. ჯონსონმა 20 ქულას 13 პასი მიამატა, ხოლო **მერვინ უილიამსი** 26 ქულით „ჰოქსის" ბომბარდირი გახდა.

„სპურსის" არგენტინელ ფორვარდ **მანუ ჯინობილის** 38-ქულიანი მონაგარი წყალში ჩაეყარა...

ზაზა ფაჩულიამ 12 წუთში 3-3 ქულამოხსნა მიითვალა. მან ერთადერთი ორქულიანი მეტოქის კალათში მოათავსა, ხოლო 2 საჯარიმოდან ერთი გამოიყენა.

„ჰოქსმა" „სან ანტონიოსთან" გამარჯვებით პლეი ოფში თამაში ოფიციალურად გაინაღდა. იგი „ბოსტონს" მოგება-წაგებათა რაოდენობით გაუთანაბრდა (45 გამარჯვება, 24 მარცხი). ეს დუეტი ოთხი მოგებით ჩამორჩება აღმოსავლეთის კონფერენციის მეორეადგილოსან „ორლანდო მეჯიქს", რომელსაც „ატლანტა" 24 მარტს უმასპინძლებს. მანამდე, 22-ში ჯორჯიელები ფაჩულიას ყოფილ კლუბ „მილუოკის" ეწვევიან.

ატლანტა–სან ანტონიო 119:114

ზაზა ფაჩულია: 12 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა, 4 ფოლი, 2 შეცდომა

I პერიოდი	
02:03	ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
01:52	მოხსნა: შეტ-1, დაც-0
01:52	ორქულიანი: 2ძ (19:29)
II პერიოდი	
11:34	ფოლი: 1
11:34	შეცდომა: 1
10:22	მოხსნა: შეტ-2, დაც-0
07:00	ზაზა ჰორფორდმა შეცვალა
III პერიოდი	
03:24	ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
02:03	საჯარიმოები: 2/1 (3ძ, 74:72)
01:42	ფოლი: 2
01:42	შეცდომა: 2
00:01	მოხსნა: შეტ-2, დაც-1
IV პერიოდი	
10:48	ფოლი: 3
10:05	ფოლი: 4
10:05	ზაზა ჰორფორდმა შეცვალა

მანუჩარ მარკოიშვილი



ვიქტორ სანიკიძე

მარკოიშვილი, კანტუს სიმბოლო

სანიკიძე, როგორც მუტომბო

იტალიის ჩემპიონატში კვირას, ლამით ორმა ქართულმა გუნდმა სტუმრად გაიმარჯვა. **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა" უშუალო კონკურენტ „აველინოს" 82:79 სძლია, ხოლო **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ" „ბიელას" - 86:75.

■ ■ ■

ბიელაში გამართულ შეხვედრაში მანუჩარმა 23-ე წუთზე მესამე ჯარიმა მიიღო და დარჩენილ 17 წუთში მწვრთნელი **ანდრეა ტრინჩიერი** ცდილობდა, მანუ მოედანზე მხოლოდ კრიტიკულ მომენტებში შეეყვანა. მესამე პერიოდის ბოლოს „კანტუს" მასპინძელთა შეჩერება გაუჭირდა, ვერც შეტევაში მისდიოდა საქმე კარგად და 10-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ (50:60) მწვრთნელმა მარკოიშვილი მოედანზე დააბრუნა. ტრინჩიერის გადაწყვეტილებამ გაამართლა, მანუს შესვლის შემდეგ სტუმრები 7:1 გაიქცნენ და მეოთხე რაუნდის წინ სხვაობა 4 ქულამდე შემცირდა - 57:61.

მესამე პერიოდის ბოლოს ქართველმა უკანახაზელმა მეოთხე ჯარიმა მიიღო და მეოთხე ათწუთეული „კანტუმ" მის გარეშე დაიწყო. ჯერ **გრინმა** ჩააგდო ფარქვეშიდან, შემდეგ **მარაცინომ** სამქულიანი გამოიყენა, ამას მოჰყვა **ორტნერის** ოთხი, **მიკოვის** 1 ქულა და 13:2 სპურტი მარაცინოს სამქულიანით დაგვირგვინდა. „კანტუ" 70:63 დაწინაურდა. 36-ე წუთზე მოედანზე ოთხჯარიმიანი მარკოიშვილიც გამოჩნდა, რომელმაც უმალ ორქულიანი ჩააგდო და სტუმრები 9 ქულის სხვაობით დააწინაურა (74:65). ორიოდე წუთში მარკოიშვილი მეხუთედ დაჯარიმდა, თუმცა, როცა მოედანი დატოვა, შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო.

ახლა მატჩის ოქმში ჩავიხედოთ: მანუჩარ მარკოიშვილი სასტარტო იყო, 25 წუთში 5 ქულა (3-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი), 4 პასი და 2 მოხსნა მოაგროვა. 5 ჯარიმაზე უკვე მოგახსენეთ.

„კანტუს" ავსტრიელი ბენიამინ ორტნერი გაუძლვა - 24 ქულა.

მანუჩარის თამაში გამოცემა „რეალბასკეტმა" 5.5 ქულით შეაფასა: *„ჯარიმების სიუხვემ მარკოიშვილს ჩვეულად თამაშის საშუალება არ მისცა. მან ტყორცნების 29 პროცენტი გამოიყენა..."*

ახლა კანტუელთა დამრიგებლის ანდრეა ტრინჩიერის კომენტარს გავეცნოთ:

- მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. „ბიელა" პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის და ძლიერი შემადგენლობაც ჰყავს, თუმცა, რადგან მას მეორედაც მოვუგეთ, გამოდის, რომ სადღეისოდ „კანტუ" უკეთესი გუნდია. წარმატებას კონტრშეტევებით მივაღწიეთ. ამ კომპონენტში მანუჩარ მარკოიშვილი გამორჩეულია, სწრაფია და სწორედ მისი თამაში გახდა „კანტუს" სიმბოლო - სწრაფი შეტევებით მეტოქე ბოლო პერიოდში გავტეხეთ. ძალიან დაგვეხმარა აულელვებელი მარაცინოს სამქულიანები და ორტნერის ახლო მანძილიდან ჩაგდებული ქულები.

■ ■ ■

- ვიქტორ სანიკიძეს ფეხი აწუხებდა. მან რამდენიმე დღე დაისვენა და პირველი ვარჯიში „აველინოსთან" მატჩამდე ერთი დღით ადრე ჩაატარა, - განაცხადა „ვირტუსის" მთავარმა მწვრთნელმა **ლარდო ლინომ** და ვიქტორი ზედმეტად არ დატვირთა: მოედანზე პირველი პერიოდის ბოლოს შეიყვანა და მეორის მერვე წუთამდე ათამაშა. მატჩის მეორე ნახევარში სანიკიძე მოედანზე აღარ გამოჩენილა, თუმცა ბოლონიელებმა მის გარეშეც იმარჯვეს - 82:79. მატჩის ბოლო წუთზე **დიეგო ფახარდოს** მიერ ზედიზედ ჩაგდებული ექვსი ქულის წყალობით „ვირტუსი" 78:75 დაწინაურდა. უკანასკნელ წამებზე სტუმრები საჯარიმო ტყორცნებისას არ აღელვებულან და სერია A-ში მე-14 მატჩი მოიგეს.

ვიქტორმა 8 წუთში 4 ქულა (4-დან 4 საჯარიმო) და თითო მოხსნა-დაფარება მიითვალა. საიტ „ტელესანტერნოში" გამოქვეყნებულ მატჩის მიმოხილვაში სანიკიძის დაფარება **დიკემბე მუტომბოს** „ბლოკ-შოტებთანაა" შედარებული.

ვირტუსის გამარჯვება გუნდური თამაშის შედეგია, რასაც სტატისტიკაც მოწმობს: 10 ქულას 6 კალათბურთელი ასცდა, რომელთა შორის ყველაზე მეტი, 13 **პატრიციო პრატომ** ჩააგდო.

იტალიის პირველობის სატურნირო ცხრილში სანიკიძისა და მარკოიშვილის გუნდები კვლავ მეზობლად არიან: „ვირტუსს" 14 მოგება და 8 წაგება აქვს, ხოლო „კანტუს" - 13 გამარჯვება, 9 მარცხი. ბოლონიელები ცხრილში მე-5 ადგილზე არიან, ხოლო კანტუელები - მეექვსეზე.

■ ■ ■

გაზეთ „ბასკეტნეტმა" გამოაქვეყნა ვიქტორ სანიკიძის მინიინტერვიუ, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

- „აველინო" ორჯერ დავამარცხეთ - იტალიის თასზე და ჩემპიონატის პირველ წრეში თუმცა სტუმრად აქამდე არ გვითამაშია. ამიტომ აველინოელი გულშემატკივრების წინაშე თამაში გაცილებით რთული აღმოჩნდა. მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვეთ.

- „ვირტუსს" პლეი ოფში გასვლა თითქმის განაღდებული აქვს...

- მხოლოდ პლეი ოფში გასვლა არ კმარა. ვცდილობთ, სერია A-ს საუკეთესო ოთხეულში გავიდეთ. ამისთვის აუცილებელია, „მონტეპასკისთან" ფინალამდე შეხვედრა ავირიდოთ. ამიტომ რეგულარულ ეტაპზე ზედა სამეულში უნდა მოვხვდეთ. ვნახოთ, რა გამოგვივა.

- „ვირტუსთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გაქვს...

- დაბეჯითებით ვიტყვი - მომავალ სეზონშიც „ვირტუსში" ვითამაშებ, ვცდილობ, გუნდს სათანადოდ დავეხმარო, თუმცა მეტი შემიძლია... კალათბურთელის ღირებულება მატულობს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის კარგად ირჯება, არამედ მაშინაც, როცა მისი გუნდი წარმატებულად თამაშობს. ასე რომ, შესაძლებლობების დემონსტრირებისთვის „ვირტუსი" შესაფერისი ადგილია.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ზადარის გედის სიმღერა

ადრიატიკის თასზე რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა. რამდენიმე ტურით ადრე გაირკვა, რომ **ვლადიმერ ბოისას** „ზადარი" ნახევარფინალში ვერ გავიდოდა. პლეი ოფში ითამაშებენ „ციბონა", „პარტიზანი", „ჰემოფარმი" და „ოლიმპია".

„ზადარმა" ჯგუფური ეტაპი მერვე ადგილზე დაასრულა (13-13 მოგება-წაგება). ბოლო ტურში ხორვატებმა თანამემამულე „ზაგრებს" უმასპინძლეს და 72:65 დაამარცხეს.

ვლადიმერ ბოისამ 19 წუთი ითამაშა, 2 ქულა და თითო მოხსნა-პასი მიითვალა. მისმა თანაგუნდელმა **ჰროვე პერიჩმა** კი 19 ქულას მოუყარა თავი და მატჩის ბომბარდირი გახდა.

10 აპრილს ოლ სტარია

ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართება ტრადიციული ყველა ვარსკვლავის მატჩი (ოლ სტარი), რომელშიც ერთმანეთს სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშეები შეხვდებიან. გუნდები შესარჩევი გამოკითხვით დაკომპლექტდება.

მწვრთნელები იქნებიან ცხრილში პირველ და მეორე ადგილებზე მყოფი გუნდების თავკაცები.

ოლ სტარის ერთი გუნდისთვის მოთამაშეები შეირჩევიან იმ კლუბებიდან, რომლებიც აღნიშნული (22 მარტის) ტურის შემდეგ ცხრილში პირველ, მესამე, მეხუთე, მეშვიდე და მეცხრე ადგილებზე იქნებიან, ხოლო მეორე გუნდისთვის შეირჩევიან მოთამაშეები მეორე, მეოთხე, მეექვსე და მერვე ადგილებზე მყოფი კლუბებიდან.

გაიმართება ჩატენვებისა და სამქულიანების კონკურსები. შეჯიბრებაში მონაწილეობის საშუალება მიეცემათ შარშანდელ გამარჯვებულებს - სამქულიანებში გიორგი მარკოიშვილს და ჩატენვებში დავით ბარბაქაძეს, ასევე გამორჩეულ სუპერლიგის დანარჩენ მოთამაშეებს.

მატჩის ბოლოს გამოვლინდება ოლ სტარის საუკეთესო მოთამაშე. დაწესებულია საგანგებო პრიზები.

ჰოკეი — NHL რეგულარული ჩემპიონატი

სელიანე 600

"ანაჰაიმ დაქსის" ფინელმა თავდამსხმელმა **ტეემუ სელიანემ** ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მე-600 შაიბა გაიტანა. ვეტერანმა ჰოკეისტმა გუშინ, "კოლორადო ეველანშთან" მატჩში გამოიჩინა თავი. ფინელი მე-18 მოთამაშეა ლიგის ისტორიაში, ვინც რეგულარულ ჩემპიონატებში 600 გოლის გატანა შეძლო.

სელიანემ, რომელსაც 3 ივლისს 40 წელი უსრულდება, მეორე პერიოდის 34-ე წამზე გაიტანა საიუბილეო შაიბა. იმ დროს მისი გუნდი რიცხობრივ უმრავლესობაში იმყოფებოდა. ფინელს ასისტენტობა **სკოტ ნიდერმაიერმა** და **კორი პერიმ** გაუწიეს. ამავე შეხვედრაში ტეემუმ ერთი შედეგიანი პასიც ჩაიწერა აქტივში. 2009-10 წლების სეზონში ფინელ ფორვარდს 36 ქულა (21 გოლი+15 პასი) აქვს დაგროვებული.

მატჩის შემდეგ სელიანემ აღიარა, რომ ძალიან ნერვიულობდა: *"ვფიქრობდი, რომ თუ "კოლორადოს" წინააღმდეგ არ გავიტანდი მე-600 შაიბას, ამას ველარასოდეს გავაკეთებდი"*. ჰოკეისტის სიტყვებით, ასეთი შედეგის მისაღწევად აუცილებელია შრომისმოყვარეობა, დიადი პარტნიორები და იღბალი. *"მე ეს ყველაფერი მქონდა"*, - განაცხადა სელიანემ.

ფინელი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მე-16 სეზონს ატარებს. მას ათჯერ მიუღია მონაწილეობა "ყველა ვარსკვლავის მატჩში", 2007 წელს "ანაჰაიმთან" ერთად სტენლის თასი მოიპოვა. ფინეთის ნაკრების რიგებში ტეემუს ვერცხლის ერთი და ბრინჯაოს ორი ოლიმპიური მედალი აქვს მოპოვებული, გარდა ამისა, ოლიმპიადების ისტორიაში 38 ქულით საუკეთესო ბომბარდირიც გახლავთ.

ეჟვსასიანთა კლუბი	
1. უეინ გრეტცკი	894
2. გორდი ჰოუ	801
3. ბრეტ ჰალი	741
4. მარსელ დიონი	731
5. ფილ ესპოზიტო	717
6. მაიკ გარტნერი	708
7. მარკ მესიე	694
8. სტივ აიზერმანი	692
9. მარიო ლემიე	690
10. ლუკ რობიტაილი	668
11. ბრენდან შენეჰანი	656
12. იაროմირ იაგრი	646
13. დეივ ანდრეიჩუკი	640
14. ჯო საკიკი	625
15. ბობ ჰალი	610
16. დინო სისარელი	608
17. იარი კური	601
18. ტეემუ სელიანე	600

ბოსტონი–რეინჯერსი 2:1

0:0, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 შატანი-5 (ფერენსი-8, ბოიჩუკი-8), 2:0 ვიდემანი-4 (სობოტკა-5, ლუიჩიჩი-6), 2:1 დელ ზოტო-8 (მ. ეიველი-18, ჟირარდი-14).

ფილადელფია–ატლანტა 1:3

0:2, 0:0, 1:1

გოლები: 0:1 პეინსი-5 (მაკარტური-17, პეველი-32), 0:2 ტ. უაიტი-7 (სლეიტერი-6, პეინსი-18), 1:2 მ. რიჩარდსი-28 (კარლი-28), 1:3 პეველი-20 (პეინსი-19).

ედმონტონი–სან ხოსე 5:1

2:0, 1:0, 2:1

გოლები: 1:0 ნილსონი-10, 2:0 პენერი-27 (პოტულნი-11, მ. პუიო-5), 3:0 პიზანი-4 (გილბერტი-14, პორკოფი-18), 4:0 პორკოფი-12 (მორო-8, პიზანი-2), 5:0 ა. ჯონსონი-4 (პენერი-28, კოლიანი-14), 5:1 ქლოუ-18 (ბოილი-37, ჯ. ტორნტონი-65).

დალასი–ფინიქსი 2:3 (ბ)

0:1, 1:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 პრუხა-13 (ერბატა-19, პანგალი-22), 0:2 ერბატა-23 (ა. ოკუანი-20, ჟოვანოვსკი-21), 1:2 ბენი-19 (რობიდასი-28, გროსმანი-7), 2:2 ლ. ერიქსონი-26 (ბ. რიჩარდსი-59, მოროუ-24).

ბულიტები გაიტანეს: ბ. რიჩარდსი (დალასი), ერბატა (ფინიქსი), ა. ოკუანი (ფინიქსი).

მინესოტა–კალგარი 4:3

2:1, 2:1, 0:1

გოლები: 0:1 სტაიოსი-1 (ჰაგმანი-18, ლენგკოუ-23), 1:1 ბრუნეტი-21 (მ. კოივუ-45, შულტცი-15), 2:1 ლატენდრესი-26 (ნოლანი-16, ბარკერი-15), 3:1 კობესიუ-7 (ბროძიაკი-22), 3:2 ი. უაიტი-10 (იგინლა-34, სტაიანი-33), 4:2 კობესიუ-8 (ბერნსი-13, მ. კოივუ-46), 4:3 ნისტრიომი-10 (სერიჩი-4, სტაიანი-34).

კაროლინა–ბაფალო 3:5

0:1, 1:4, 2:0

გოლები: 0:1 კონოლი-16 (ვანეკი-23, დ. როი-35), 0:2 პებტი-18 (პომინვილი-32, კონოლი-48), 0:3 პებტი-19 (სტეფორდი-16, მიერსი-31), 0:4 ლიდმანი-3, 1:4 სამსონოვი-14 (კარსონი-8, ბრინდამორი-9), 1:5 ტიმ კენედი-8 (ვანეკი-24, დ. როი-36), 2:5 ბ. სუტერი-18, 3:5 ე. სტაალი-23 (მაკბეინი-4).

ფლორიდა–ტამპა ბეი 5:2

3:1, 0:0, 2:1

გოლები: 0:1 დაუნი-19, 1:1 პორტონი-18 (სტილმანი-19, უეისი-29), 2:1 ბუტი-6 (ბიტცი-6, ბალარდი-16), 3:1 სტილმანი-15 (პორტონი-32), 3:2 სტემკოსი-43 (ლეკავალიე-42, სენტ ლუისი-59), 4:2 უეისი-25 (ალენი-9, ბალარდი-17), 5:2 დვორაკი-12 (გარისონი-3).

სტ. ლუისი–ნეშვილი 2:3

1:0, 0:1, 1:2

გოლები: 1:0 კოლაიაკოვო-5 (ენდი მაკდონალდი-26, სტინი-22), 1:1 ბოიდი-9 (ტუტუ-10), 2:1 პერონი-19 (კოლაიაკოვო-20, სტინი-21), 2:2 პორნკვისტი-28 (სალივანი-30, ჯ. ო'რაილი-8), 2:3 ბოიდი-10 (ერატი-28, ბუიონი-8).

ანაჰაიმი–კოლორადო 5:2

2:0, 2:0, 1:2

გოლები: 1:0 ჯ. ბლეიკი-14 (ვიშნოვსკი-24, ს. ნიდერმაიერი-33), 2:0 ბელესკი-8 (გეტცლაფი-50, პერი-42), 3:0 სელიანე-21 (ს. ნიდერმაიერი-34, პერი-43), 4:0 ბოდი-5, 4:1 ტაკერი-7 (კ. სტიუარტი-32, სალეი-2), 4:2 სალეი-1 (გალიარდი-23, ქუინსი-21), 5:2 გეტცლაფი-19 (სელიანე-15, პერი-44).

ცხელი ხაზი

ფეხბურთი	
ინგლისი	
I ლიგა	
ლიდსი-მილუოლი	0:2
ესპანეთი	
II დივიზიონი	
ბეტისი-კასტელონი	2:0
გერმანია	
II ბუნდესლიგა	
ფორტუნა-კაიზერი	0:0
საფრანგეთი	
II დივიზიონი	
ანჟერსი-კაენი	2:2
ჰოლანდია	
II დივიზიონი	
ემენი-მაასტრიხტი	2:1
დენ ბოში-ვოლენდამი	3:0
ვეენდამი-ტოპ ოსი	4:1
დანია	
ბრონდბიუ-რანდერსი	1:1
ნორვეგია	
როზენბორგი-სტარტი	3:3
შვედეთი	
ატვიდაბერგი-გეფლე	0:1
ელფსბორგი-ჰალმსტადი	6:0
გიოტებორგი-ჰაკენი	0:1
შვეიცარია	
ჩელენჯლიგა	
კრინსი-ვილი	0:1
რუსეთი	
ტომი-რუბინი	0:1
საბერძნეთი	
II დივიზიონი	
პიერიკოსი-ეთნიკოსი (ა)	2:1
დიაგორასი-პანაიტოლიკოსი	2:1
თურქეთი	
ბურსა-დენიზლი	2:1
II დივიზიონი	
ქონია-რიზე	1:1
ჩეხეთი	
სლოვაცკო-სლავია	3:1
რუმინეთი	
უნირეა (ა)-უნირეა (უ)	1:2
ასტრა-ტიმიშოარა	1:3
ვასლუი-რაპიდი	1:0
ბულგარეთი	
სლივენი-მინიორი	1:3

ჰოკეი	
კჰლ	
სპარტაკი-ლოკომოტივი	3:2
დინამო (რ)-მვდ	3:1
სლოვაკეთი	
კოშიცე-პოპრადი	8:1
მარტინი-სკალიცა	1:3
ჩეხეთი	
ლიბერეცი-პლზენი	4:2
სლავია-ზლინი	3:3 ბულ. 1:0
შვედეთი	
ბრიუნესი-იურგორდენი	0:4
ტიმრა-ჰვ71	6:3
ფერიესტადი-აიკ	4:4 დ.დ. 1:0
ფრიოლუნდა-ლინჩოპინ.	1:1 დ.დ. 1:0

TV პროგრამა

23 მარტი. სამშაბათი

SPORT 1 (უკრაინა)

09:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ვესტ ჰემი.
12:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
13:15 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვერდერი-ვალენსია.
15:05 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
15:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
16:05 პოკერი.
17:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი (LIVE).
20:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
22:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-რეალი (LIVE).
01:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ცსკა-კახა ლაბორალი.
03:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ვესტ ჰემი.
05:15 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. შტუტგარტი. გერმანია.

SPORT 2 (უკრაინა)

08:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-სან ხოსე.
11:10 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. VI ტური. უნიკახა-ცსკა.
12:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
13:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ჩელსი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ბაიერნი.
16:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-შტუტგარტი.
18:30 პოკერი.
19:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ვესტ ჰემი.
21:15 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ცსკა-კახა ლაბორალი (LIVE).
23:10 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
00:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ვულვზი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-შტუტგარტი.
03:45 პოკერი.
04:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ბაიერნი.
06:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ვესტ ჰემი.

EUROSPORT

11:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
13:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. მასსტარტი. ოსლო. ნორვეგია.
13:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. მასსტარტი. ოსლო. ნორვეგია.
14:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.
15:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. აუცილებელი ცეკვა. ტურინი. იტალია (LIVE).
18:45 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-შვედეთი. სვიფტ-კარენტი. კანადა (LIVE).
12:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
23:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:10 ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. ტურინი. იტალია (LIVE).
02:00 ექსტრემალური სპორტი.
02:30 რალი. IRC-ის სერია. არგენტინა.
03:00 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ტრეკი.
04:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

კალათბურთი

ილგაუსკასი კლივლენდში ბრუნდება

ლიტველი ცენტრი **ჟიდრუნას ილგაუსკასი** სავარაუდოდ თავის ყოფილ კლუბში - "კლივლენდ კავალიერზში" გააგრძელებს კარიერას. როგორც იცით, მიმდინარე სეზონის მსვლელობისას ვეტერანი კალათბურთელი "ვაშინგტონში" აღმოჩნდა, მაგრამ საკუთარი კონტრაქტის გამოსყიდვა გადაწყვიტა.

ილგაუსკასი დღეს, ალბათ, "კავალერების" რიგებში დაბრუნდება. ლიტველის აგენტი **ჰერბ რუდოი** უახლოეს საათებში აპირებს მოლაპარაკებების გამართვას "კლივლენდის" გენერალურ მენეჯერ **დენი ფერისთან**.

"კლივლენდის" ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** განაცხადა, რომ პირველი მოულოცავს ჟიდრუნასს მშობლიურ კლუბში დაბრუნებას: *"ის ჩემი მეგობარი და კარგი პარტნიორია. ბედნიერი ვარ ილგაუსკასის დაბრუნებით"*.

მარბერი MVP გახდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილმა მოთამაშე **სტეფონ მარბერიმ** კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი ჩინეთის ლიგაში. ამჯერად "ნიუ იორკ ნიქსის" ყოფილი მოთამაშე იქაური "ყველა ვარსკვლავის მატჩის" საუკეთესო მოთამაშე გახდა.

მარბერიმ 30 ქულას მოუყარა თავი, ერთი ბურთი კი ცენტრიდან ჩააგდო. საბოლოოდ, ამერიკელის "ჩრდილოეთმა" 133:121 მოუგო "აღმოსავლეთს".

ერთადერთი, რაც სტეფონმა ვერ შეძლო, "საკალათბურთო ოსტატობის კონკურსში" გამარჯვებაა. ის აქ ადგილობრივ კალათბურთელთან **ლინ ჟიესთან** დამარცხდა.

დავამატებთ, რომ ამ მატჩს "ვაისკონგ არენაზე" 13 ათასი მაყურებელი დაესწრო.

ველოსპორტი

ლენსის გუნდი ჯიროზე არ წავა

ამერიკული ველოსაჯინიბო - RadioShack, რომლის შემადგენლობაში ირიცხება ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი **ლენს არმსტრონგი**, წელს ჯირო დ'იტალიაზე მონაწილეობას არ მიიღებს.

დღეს, იტალიური სუპერმარათონის ორგანიზატორი - კომპანია RCS Sport რბოლის მონაწილეებს გამოაცხადებს, მაგრამ როგორც ჩანს, ამ სიაში ვერ ვიხილავთ დებიუტანტ საჯინიბოს.

ცოტა ხნის წინ RadioShack-ის ხელმძღვანელმა **იოჰან ბრიუნელმა** იმედი გამოთქვა, რომ მისი ველოგუნდი მაინც მოახერხებდა იტალიაში გამგზავრებას, მაგრამ მისი თხოვნა და რჩევა არ იქნა გათვალისწინებული. "ჯიროზე" გამოუსვლელობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ ამერიკული გუნდის ლიდერები - ლენს არმსტრონგი და **ლევი ლაიპჰაიმერი** მაისში, "ჯიროს" პარალელურად გასამართ ამერიკულ "კალიფორნიის ტურში" მიიღებენ მონაწილეობას - ეს გუნდის ერთ-ერთი სპონსორის წინაშე აღებული ვალდებულება გახლავთ.

ვუელტა აფრიკაში მიდის

ამასობაში, რანგით მესამე ველომარათონის - ესპანური "ვუელტას" ხელმძღვანელობა ევროპის საზღვრებს გარეთ რბოლის პოპულარიზაციაზე ფიქრობს.

"ვუელტას" ბოსი **ხავიერ გილიენი** მომავალში ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიაზე გეგმავს რამდენიმე ეტაპის გამართვას. მას აგრეთვე სურს თავისი ველომარათონის ესპანეთის საზღვრებს გარეთ, ევროპის რომელიმე ქვეყანაში დაწყება - ეს ტრადიცია ლეგენდარულ ტურ დე ფრანსზეა დამკვიდრებული. სავარაუდოდ, "ვუელტას" პირველი აფრიკული ვიზიტი მაროკოში შედგება.

ფორმულა 1

შუმი ყველაზე სახელოვანია

ბრიტანული გამოცემა F1 Racing ყოველწლიურად აწყობს გულშემატკივართა გლობალურ გამოკითხვას. ამჯერად ეს ღონისძიება ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციასთან (FOTA) ერთად ჩატარდა. მისი შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ პირველმა ინფორმაციამ უკვე გაჟონა.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 90 ათასმა ადამიანმა. კითხვაზე - "ვის მიიცნევთ ფორმულა 1-ში ყველაზე სახელოვან პილოტად?" - 19.5 პროცენტმა გერმანელი **მიხაელ შუმახერი** დაასახელა.

მეორე ადგილზე გავიდა ესპანელი **ფერნანდო ალონსო** - 9.7 პროცენტი, მესამე იყო **კიმი რაიკონენი**, რაც მოულოდნელობად შეფასდა, რადგან ფინელი წელს საერთოდ არ მონაწილეობს ჩემპიონატში და რალიში ცდის ძალებს.

მძლეოსნობა

სიკვდილი სარბენ ბილიკზე

ერთ-ერთი სპორტსმენის სიკვდილით დასრულდა კენიის ქალაქ ნიერის სტადიონზე 5000 მეტრზე გარბენი.

დაღუპული მორბენლის გვარია - **პეტერ ისაბოკე მოგერე**, რომელიც ცნობილი კენიელი სტაიერის **ფილეს ონგორის** ძმა გახლავთ. ეს უკანასკნელი 2007 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე 10 ათას მეტრ დისტანციაზე ფინალში მონაწილეობდა.

პეტერი ძირითადად გრძელ დისტანციებზე დარბოდა. დეკემბრის ბოლოს მან მონაწილეობა მიიღო მარათონში, სადაც პირველ ათეულში დაიკავა ადგილი. გარდა ამისა, კენიელი ევროპაში კროსის გარბენებში მონაწილეობდა.

მოგერე გარბენის დასრულებისთანავე გარდაიცვალა. კენიელი ფინიშის შემდეგ ცივ უალკოჰოლო სასმელს სვამდა, როდესაც გონება დაკარგა. კოლეგებმა მისი გადარჩენა სცადეს და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მორბენალი გონს არ მოსულა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კალათბურთი — NBA რეგულარული ჩემპიონატი

კლივლენდი–დეტროიტი 104:79

28:20, 25:21, 28:18, 23:20

კ: პოუ (16+7 მოხსნა), ჯეიმსი (15+7 პასი), უესტი (15), ჰიქსონი (13+8 მოხსნა), უილიამსი (12+8 პასი), პარკერი (11+5 პასი).

დ: მაქსიელი (16+9 მოხსნა), ვილანუევა (11+5 მოხსნა).

ლეიკერსი–ვაშინგტონი 99:92

24:18, 35:15, 23:27, 17:32

ლ: გასოლი (28+12 მოხსნა), ბრაიანტი (24), არტესტი (16), ბრაუნი (13).

ვ: იანგი (22), ტორნტონი (18), ბლეტჩი (16+12 მოხსნა+5 პასი).

ნიუ იორკი–ჰიუსტონი 112:116

32:17, 32:45, 30:30, 18:24

ნ-ი: ლი (27+20 მოხსნა+6 პასი), დაგლასი (26), გალინარი (26), მაკგრეიდი (15+7 მოხსნა+5 პასი).

ჰ: მარტინი (28), ლოური (18+5 პასი), ბადინგერი (18+5 მოხსნა), ბრუქსი (16), ჰილი (13+5 მოხსნა), არიზა (12+7 მოხსნა+6 პასი).

კლიპერსი–საკრამენტო 89:102

19:32, 28:24, 22:25, 20:21

კ: გორდონი (23), დევისი (13+5 მოხსნა), კამანი (12+9 მოხსნა).

ს: ლენდრი (24+6 მოხსნა), უდრიხი (20+17 პასი), გარსია (16), ჰაუსი (13+10 მოხსნა), ნოჩიონი (10+5 მოხსნა).

ინდიანა–ოკლაჰომა 121:101

32:25, 27:23, 34:26, 28:27

ი: გრეინჯერი (32+7 მოხსნა), მერფი (22+13 მოხსნა), ჰიბერტი (20+8 მოხსნა), რაში (15), უოტსონი (11+8 პასი).

ო: გრინი (20+6 მოხსნა), დურანტი (16+5 მოხსნა), მეინორი (15+11 პასი), იბაკა (10+12 მოხსნა).

ატლანტა–ს ანტონიო 119:114 (ო)

22:33, 31:18, 28:27, 24:27, 14:9

ა: უილიამსი (26+9 მოხსნა), ჰორფორდი (22+18 მოხსნა), ჯონსონი (20+13 პასი), კროუფორდი (19+5 მოხსნა+5 პასი), სმიტი (13+7 მოხსნა+5 პასი).

ს-ა: ჯინობილი (38+6 პასი), დანკანი (29+13 მოხსნა), ჯეფერსონი (12+8 მოხსნა), ჰილი (11), ბონერი (10+6 მოხსნა).

ფინიქსი–პორტლენდი 93:87

21:26, 26:21, 17:21, 29:19

ფ: სტაუდმაიერი (18+14 მოხსნა), ნეში (17+8 პასი), რიჩარდსონი (16+5 მოხსნა), ჰილი (12+11 მოხსნა), დადლი (10).

პ: როი (23+8 მოხსნა), მილერი (22+9 პასი), ოლდრიჯი (16+8 მოხსნა), კემბი (7+16 მოხსნა+5 დაფარება).

სერბულ-ხორვატული ჭრიუმფი

ინდიან უელსის ტურნირი ტრიუმფალურად დასრულეს **ელენა იანკოვიჩმა** და **ივან ლუბიჩიჩმა.** სერბმა შარშან ცინცინატიში გამარჯვების შემდეგ პირველი ტიტული მოიგო, ხორვატმა კი 31 წლის ასაკში პირველ მასტერსზე გაიმარჯვა.

იანკოვიჩის მეტოქე დანიელი **კაროლინ ვოზნიაცი** იყო. ფინალის ამგვარი შემადგენლობა მოულოდნელობა გახლდათ, რადგან სეზონის დასაწყისში არც ერთი მათგანი არ ბრწყინავდა, იანკოვიჩმა კი მონტერეიში სრულიად უცნობ **ანასტასია სევასტოვასთან** ნაგება მოასწრო.

ინდიან უელსის ტურნირი ორივე ფინალისტისთვის არც ისე კარგად დაიწყო. ელენას მესამე წრეში სამსაათიანი მძიმე ბრძოლა ჰქონდა **სარა ერანისთან,** რომელმაც პირველი სეტი მოიგო და მეორეში ორი ბურთი აკლდა გამარჯვებამდე. ამ ურთულესი დაპირისპირების შემდეგ, სერბის საქმეები პრობლემებს ნაგიდა. მან ორ-ორ პარტიაში დაამარცხა **შაარ პეერი,** ალისა კლეიბანოვა და **სამანტა სტოსური.** ამათგან შედარებით რთული ბრძოლა კლეიბანოვასთან მატჩში ჰქონდა.

ვოზნიაცკიმ ფინალამდე კიდევ უფრო რთული გზა გაიარა, მას სამ მატჩში მოუწია სამი სეტის ჩაბარება. მაგრამ ყველაზე რთული აღმოჩნდა მეორე წრეში **ვანია კინგოსთან** შეხვედრა. იქ დანიელი მესამე სეტში 1:4-ს აგებდა, მაგრამ დროულად მოეგო გონს და ზედიზედ ხუთი გემი აიღო. შემდეგ კაროლინმა ბრძოლას გამოთიშა ორი რუსი - **მარია კირილენკო** და **ნადია პეტროვა,** რომლებსაც თითო სეტში მშრალი ანგარიშით მოუგო. მეოთხეფინალში ჩინელ **ჟი ჟენგს** გაუსწორდა - 6:4, 4:6, 6:1, ნახევარფინალში კი მეგობარ **აგნიეშკა რადვანსკას** მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო.

მაგრამ ფინალში კაროლინმა ლირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია უფრო გამოცდილ იანკოვიჩს. მატჩის დასაწყისში დანიელი ძალიან ნერვიულობდა, რის გამოც ხშირი იყო უხეიერი შეცდომა. იანკოვიჩმა კი თავიდანვე იცოდა, როგორ უნდა ემოქმედა ვოზნიაცკის წინააღმდეგ და შესაბამისად, სტარტიდანვე მოიპოვა ინიციატივა. პირველი სამი გეიმის შემდეგ კორტზე კაროლინის მამა და მწვრთნელი **პიოტრ ვოზნიაცი** გავიდა, რომელმაც ქალიშვილს ურჩია იანკოვიჩის ფორჰენდზე ეთამაშა. ამგვარმა ტაქტიკამ დანიელს დიდი დივიდენდები ვერ მოუტანა - მან მხოლოდ 0:4-ზე აიღო პირველი გეიმი, სულ კი პირველ პარტიაში მას ანგარიშზე ორი მოგებული გეიმი იყო - 6:2.

მეორე სეტში ბრძოლა უფრო დაძაბული გამოვიდა. მას შემდეგ, რაც ელენამ 2:0 ნაიყვანა ანგარიში, მატოქეები დამაფეთქებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მონოდებებს. დანიელს ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების შანსი. მან რამდენიმე ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში იანკოვიჩი კარგად აწვდიდა, დანიელი კი მიღებაზე არ ვარგოდა. მატჩბოლოს რეალიზაციასთვისაც ელენას ზუსტი მოწოდებაც საკმარისი აღმოჩნდა, რადგან მეტოქემ აუტები გაუშვა ბორით.

იანკოვიჩმა სეზონში პირველი და ჯერიერანში მე-12 ტიტული მოიპოვა და ამისთვის 700 ათასი დოლარი მიიღო.

■ ■ ■

მამაკაცთა ფინალის შემდგენლობაც ნაკლებად პროგნოზირებადი იყო. და თუ ქვნდი როდიკის ყოფნა დიდად არავის გაკვირვებია, **ივან ლუბიჩიჩის** პროგრესი მხოლოდ ტურნირის მთავარ სიურპრიზი აღმოჩნდა. ბევრ ჩოგბურთელს არ შეუძლია ერთ ტურნირზე **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **რაფა ნადალის** დამარცხება, ხორვატმა კი ეს მოახერხა.

ფინალის გეიმი ორმა ტაი-ბრეიკმა გაარკვია, თუმცა პირველ სეტში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ნესით საქმე „მე-13 გეიმამდე" არ უნდა მისულიყო. ლუბიჩიჩის უკეე პირველ გეიმში ჰქონდა სამი ბრეიკ-პოინტი, ხოლო მეოთხე გეიმში ანალოგიური სიტუაცია წინ ასევე ინდიან უელსში შეხვედრენ ერთმანეთს და მაშინ ორი ტაი-ბრეიკით როდიკმა გაიმარჯვა.

ივანმა პირველი გამარჯვება მოიპოვა მასტერსის სერიის ტურნირზე. აქამდე ხორვატმა სამჯერ უნია ფინალს და აქედან ორჯერ ხუთსეტიან მატჩში დამარცხდა. მაგრამ ახლა ლუბიჩიჩმა ნავსი გაგტეხა, თანაც იმ დროს, როცა ის ყველას ჩამორერიელი ეგონა. თუმცა როგორც ჩანს, ხორვატებს უკვე ტრადიციად ექცათ - **გორან ივანიშევიჩმაც** ხომ ჯარიერის ბოლოს მოიგო უმბლდონი.

„ჩემი კარიერის შემხედვარე ვგრძნობდი, რომ რაღაც მაკლდა. ფანტასტიკური გრძნობაა მასტერსის პირველად მოგება. დევისის თასის მფლობელი ვიყავი, მოგებული მაქვს ოლიმპიური მედალი, ორჯერ დავასრულე წელი რეიტინგის პირველ ათეულში, ერთხელ - ხუთეულში, და აი, ახლა ჩემს კოლექციაში ერთი მასტერსიც გაჩნდა, რაც ჩემს კარიერას უფრო წარმატებულს ხდის", - აღნიშნა ლუბიჩიჩმა.

ATP

BNP PARIBAS OPEN. ინდიან უელსი (აშშ)

საპრიზო ფონდი: 3 645 000 დოლარი. პარიზი

ფინალი

ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 20) - ქვნდი როდიკი (აშშ, 7) 7:6(3), 7:6(5).

WTA

BNP PARIBAS OPEN. ინდიან უელსი (აშშ)

საპრიზო ფონდი: 4 500 000 დოლარი. პარიზი

ფინალი

ელენა იანკოვიჩი (სერ, 6) - კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 2) 6:2, 6:4.

„მოგეხსენებათ, რომ ის წიგნი, ფეხბურთის ისტორიაში ყველა ინოვაციურად ითვლება. ყველაზე მეტად ის გამოირჩევა ინფორმაციის სიზუსტით. ჩვენ მოვედით. შეხვედრა ჩვენ მოვიგეთ. ჩვენ ვიცით, რა გვინდა. ჩვენ ვიცით, რა გვჭირდება. ჩვენ ვიცით, როგორ მივაღწიოთ ამას. ჩვენ ვიცით, როგორ გავაკეთოთ ეს. ჩვენ ვიცით, როგორ გავხდეთ საუკეთესო. ჩვენ ვიცით, როგორ გავხდეთ ჩემპიონები. ჩვენ ვიცით, როგორ გავხდეთ ლეგენდები. ჩვენ ვიცით, როგორ გავხდეთ ისტორია. ჩვენ ვიცით, როგორ გავხდეთ ფეხბურთი."

ჟოზე ფერნანდეშ ფერეირა

ეკითხეთ წიგნის მაღაზიებში

როლან გაროსი დისნეილენდში?

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **ფრანჩესკო რიჩი-ბიტიმ** მხარი დაუჭირა „დიდი სლემის" ერთ-ერთი ტურნირის - როლან გაროსის პარიზიდან დისნეილენდში გადატანის იდეას.

„როლან გაროსი ამერიკაში რომ იმართებოდეს, ყველაფერი გაცილებით იოლი იქნებოდა: ამერიკელები ევროპელებზე მარტივად იღებენ გადაწყვეტილებას. ჩვენ, ევროპელები, ისტორიასა და ტრადიციებზე ვართ მიჯაჭვულნი და ბოლომდე ვებღაუჭებით მას", - ამბობს რიჩი-ბიტი.

საფრანგეთის მთავარი საჩოგბურთო ტურნირის დისნეილენდში გადატანაზე გასული წელს ალაპარაკდნენ. როლან გაროსის ამჟამინდელი კომპლექსი, რომელმაც 2008 წელს 80 წლისთავი იზეიმა, არაერთხელ გაააკრიტიკეს იმის გამო, რომ ფართობით ის მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა სამი ქვეყნის (ავსტრალია, ბრიტანეთი, აშშ) საჩოგბურთო ცენტრებს, რომლებიც „დიდი სლემის" ტურნირებს მასპინძლობენ.

„ამ საკმე ფინანსურ დანაბარჯებში არ არის, უბრალოდ ახალი გამოწვევა გვაშინებს", - თქვის ფედერაციის პრეზიდენტი.

რიჩი-ბიტის სიტყვებით, მას კარგად ესმის, თუ რა დიდებამ დგას საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის წინაშე, მაგრამ გადაწყვეტილება სასწრაფოდ არის მისაღები. ფრანგებს ტურნირის ადგილმდებარეობის შეცვლას დღეს არსებული საჩოგბურთო კომპლექსის გაფართოება და რეკონსტრუქცია ურჩევნიათ.

„საბარაუდოდ, საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაცია მოელაპარაკებათ რიზის მერიას დამატებითი ტერიტორიის გამოყოფაზე, მაგრამ მთავარი პრობლემა ისაა, რომ როლან გაროსი მდიდრულ კვარტალში მდებარეობს, სადაც რთულია მსხვილი პროექტების განხორციელება", - ასკვნის რიჩი ბიტი.

2010 წელს როლან გაროსი 23 მაისს დაიწყება.

გვერდი მოამზადა
გია თევზაძემ